პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდ. მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის – 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 23 მარტი 1930 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 66 (2714)

## დ ღ ი უ რ ი

- მუშურ-გლეხური ბლოკის გამარჯვება რუმინეთში
- ინგლისის საწინააღმდეგო დემონსტრაციები ეგვიპტეში
- კრებები საბჭოთა კავშირის დასაცავად ნიუ-იორკში
- მოძრაობა მირუტის პატიმართა განთავისუფლების სასარგებლოდ ინგლისში
- თბილისში იხსნება ჩაის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტი
- მოსკოვის მშრომელთა დემონსტრაციები პაპის პროვოკაციული გამოსვლის წინააღმდეგ

# კოლმეურნეობათა შემდგომი განვითარების აუცილებელი პირობა

ფართოდ განვითარებულ ჩვენს საკოლმეურნეო მოძრაობაში, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ არა ერთხელ, ადგილი ჰქონდა პარტიული ხაზის მთელ რიგ დამახინჯებებს, რომლებიც უმთავრესად ხასიათდებიან კოლექტივებში შესვლის ნებაყოფლობის პრინციპის უხეში დარღვევით და ადგილობრივი პირობებისათვის ანგარიშის არ გაწევით, ე. ი. იმის შეუსრულებლობით, რაც, ამხ. სტალინის სიტყვით, შეადგენს „სალი საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ წინასწარ პირობას". რაც დრო მიდის, მით უფრო თანდათან აშკარავდებიან ეს შეცდომები და საშუალება გვეძლევა ფარდა ავხადოთ ადგილობრივი მუშაკების თუ ძირეული ორგანიზაციების მიერ პარტიის დირექტივების გადამახინჯების ფაქტებს. ჩვენ არა ერთხელ გვქონდა შემთხვევა გამოგვეტანა სააშკარაოზე ასეთი ფაქტები და ამავე წესით არ შეგვიძლია ჩვენი მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ იმ ცნობებს, რომლებიც გადმოგვცა ჩვენმა კორესპონდენტმა კახეთის ოლქიდან და გამოვაქვეყნეთ ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში.

ზედმეტია ლაპარაკი კოლმეურნეობათა სიმტკიცეზე და სოფლის ჩამორჩენილი მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ჭეშმარიტი აზრის შეთვისებაზე გლეხების მიერ იქ, სადაც კოლექტივებში ძალდატანებით ერეკებიან გლეხებს დაპატიმრების ან ისეთი მუქარით, რომ მათ არავითარ საშუალებას არ მისცემენ ისარგებლონ კოოპერატივით, რომ მათ უარს ეტყვიან საბჭოთა დაწესებულებებში რაიმე მათთვის საჭირო მოწმობის მიღებაზე, თუ არ დასთანხმდებიან შევიდნენ წევრად კოლექტიურ მეურნეობაში. ამას ერთვის კოლექტივში შესვლის მოწინააღმდეგეთამდი მუქარა შავ სიაში მათი შეტანის შესახებ. აღსანიშნავია აგრეთვე სხვა ხასიათის გადამახინჯებანი. მაგალითად განკულაკება ისეთი მეურნეობის, რომლისაც თვით მათი მდგომარეობის გამო, არ შეიძლება შეეხოს ასეთი ზომა და, რაც კიდევ უარესია, ჯიუტობა და უარის თქმა ასეთი აშკარა და მყვირალა შეცდომის გამოსწორებაზე მას შემდეგ, რაც ადგილობრივ ზემდგომი ორგანოები მიუთითებენ მსგავს ფაქტზე. აქ უკვე საქმე გვაქვს არა უბრალო შეცდომასთან, არამედ უკანონო, დანაშაულებრივ ქმედობასთან. ჩვენ არას ვიტყვით აქ უკვე ცნობილ უამრავ ფაქტებზე „ყოვლისფრის" განსაზოგადოების შესახებ, რაზედაც ჩვენ არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი და რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა მოძრაობას, ხელი შეუწყო ამ მოძრაობის სახელის გატეხას ზოგიერთ ადგილებზე. მოვიყვანთ აქ პირდაპირ დაუჯერებელ ცნობას, რომლის მიხედვით სოფელ ძველ-ანაგაში წითელ-არმიელ ბეგაშვილის ხეხილის ბაღი გადასცეს კოლექტივს. ხოლო კოლექტივმა ეს ბაღი „აკაფა"— თქვენ იკითხავთ, რისთვის? იმისთვის, რომ შეშათ მოეხმარათ. ჩვენ არ ვიცით რა „კოლექტივია" ამ დანაშაულების ჩამდენი და ვინ არის ასეთი კოლექტივის მონაწილე ან ხელმძღვანელი. მაგრამ რა საჭიროა თუ გინდ ერთი სიტყვის თქმა იმაზე, რომ მას სრულიად არავითარი საერთო არ შეუძლია ჰქონდეს კოლექტიურ მეურნეობასთან და ამ ბოროტების ჩამდენთ არავითარი მსგავსება— საკოლმეურნეო მოძრაობის ნამდვილ მუშაკებთან, ეს არის დანაშაული, რომელიც უნდა დაისაჯოს და სასტიკადაც.

არაფერს ვიტყვით აქ ისეთ ამაშფოთებელ სისულელეებზეც, რომელიც მდგომარეობს „ვიჩინის" „განსაზოგადოებაში", რასაც, როგორც ფაქტს, გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს: ჩვენი კორესპონდენტის სიტყვით, ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც „გაერთიანეს" კოლექტივის დაარსებამდე მოწეული მოსავალი. ესეც, რასაკვირველია, ადგილობრივი მუშაკების საკუთარი „შემოქმედების" დამახასიათებელი დანაშაულებრივი აქტია. (ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ შეგვიძლია აქვე არ გავფანტოთ ის ეჭვები, რომლებიც, ჩვენი ცნობით, არსებობს კოლმეურნეობათა წევრებს შორის შემოდგომის ნათესების შესახებ, რომლებიც დამუშავებული იყო კოლმეურნეობათა დაარსებამდე. ამ ნათესების მოსავალი რჩება კოლექტივის წევრთა საკუთარ განკარგულებაში. ამისა და მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან საკითხების შესახებ ჩვენ გამოვაქვეყნებთ შემდეგ ნომერში სათანადო ორგანოების განმარტებას, რომ უფრო გარკვეული იქნეს ეს საკითხები და ბოლო მოეღოს მსგავს ეჭვებს).

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა ის დამახინჯებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა და აქვს კიდევ აქა-იქ ადგილებზე.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართვაში ადგილობრივი ორგანიზაციებისადმი — საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის გამრუდების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ — სწერდა შემდეგს:

„ცენტრალური კომიტეტი სთვლის, რომ ყველა ეს გამრუდებები ამჟამად წარმოადგენენ **ძირითად დაბრკოლებას საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი ზრდის საქმეში,** წარმოადგენენ **ჩვენი კლასობრივი მტრების პირდაპირ დახმარებას.** ცენტრალური კომიტეტი სთვლის, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი სწრაფი ზრდა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია **შეუძლებელია ამ გამრუდებათა დაუყოვნებლივი ლიკვიდაციის გარეშე**".

ჩვენი მოვალეობაა ურყევად გავატაროთ ახლავე ცხოვრებაში ის დავალება, რომელსაც იძლევა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, გამოვასწოროთ ის შეცდომები, რომლის წინააღმდეგ არა ერთხელ გაუფრთხილებია ადგილობრივი ორგანიზაციები და მუშაკები საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. და ეს ტარდება კიდევაც ადგილებზე, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ყველგან და ყველა ავტორები ხსენებული უხეში შეცდომებისა და გადამახინჯებების, რომ ყველა, რომლებმაც ასე გაამრუდეს პარტიის ხაზი და ზიანი მიაყენეს გლეხობის თვალში ამ დიად მოძრაობას, ვერ ვიტყვით, რომ ყველა ისინი „ხალისით" უდგებოდნენ ამ შეცდომების გამოსწორებას. მოიპოვებიან ისეთებიც, რომლებსაც ეს მუშაობა, გამრუდებული ხაზის გამოსწორება, „უკან დახევად" მიაჩნიათ.

„უკან დახევა"!

მათ უნდა შევასმინოთ, რომ ეს არის უკან დახევა უმეცრებისა ან დანაშაულებრივი მოქმედებისაგან.

თუ ეს არის უკან დახევა — მხოლოდ დახევა „მემარცხენე" ფრაზიორობისაგან, „მემარცხენე ბალღობისაგან", მემარცხენე „გაქანებისაგან", რომლის გადაღმა თვით „ვიჩინა", ქათმები და კვერცხებიც აღარ რჩება. ყოველ შემთხვევაში ეს არ არის უკან დახევა პარტიული პოზიციიდან, არამედ გამაგრება ამ პოზიციაზე და კურსის აღება პარტიის მიერ არა ერთხელ მითითებული ხაზით, მსვლელობა პარტიის მიერ ნაჩვენები გზით. ეს უნდა შევაგნებინოთ მათ. და ყოველი ცდა ჯიუტობის, ყოველი ქანაობაც კი ამ საქმეში და მერყეობა უნდა წააწყდეს და წააწყდება შეუდრეკელ და მტკიცე ნებისყოფას, როგორიც სჩვევია ყოველთვის ჩვენს პარტიას.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს, რომ „ის მუშაკები, რომელთაც არ აქვთ უნარი **ან სურვილი აწარმოონ გადამჭრელი** ბრძოლა პარტიული ხაზის გამრუდებებთან, **გადააყენონ თანამდებობიდან და სხვებით შესცვალონ**", ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ „უკან დახევის" მეზღაპრეები იმაში, რომ, როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიაც პარტიის სიტყვისა და საქმის შუა არავითარი „ზღვარი" არ იქნება და ის გამოასწორებს საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომებს, გამოასწორებინებს ადგილობრივ მუშაკებს ამ შეცდომებს, რადგან მოძრაობის **„შემდგომი სწრაფი ზრდა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია შეუძლებელია ამ გამრუდებათა ლიკვიდაციის გარეშე"**.

# ბრიანი აღიარებს საზღვაო კონფერენციის სრულ მარცხს

## ეკონომიური კრიზისი შეერთებულ შტატებში ფართოვდება.--პურის ფასების დაცემა

## რევოლიუციონური პროფოპოზიციის გამარჯვება ქარხკომების არჩევნების დროს გერმანიაში

### საზღვაო კონფერენცია დაშლის წინ

ბრიანი პარიზში დაბრუნდა

**ლონდონი,** 21 მარტი. ხუთ სახელმწიფოს საზღვაო კონფერენციის პერსპექტივები მეტად უიმედოა. ბრიანის გამგზავრებას პარიზში პრესა აფასებს როგორც კონფერენციის საბედისწერო აღსასრულის დასაწყისს.

ბრიანმა განაცხადა: „რა სარგებლობა მოაქვს ჩემს ყოფნას ინგლისში და სასტუმროს ფანჯრებიდან ლონდონის კარგი ამინდის ჭვრეტას. არსებულ პირობებში ხუთ სახელმწიფოს შეთანხმების არავითარი იმედი არ არის. (ადს)

### „მემარცხენეთა" თვალთმაქცური მანევრი

### ინგლისის მუშათა მასების მოსატყუებლად

**ლონდონი,** 21 მარტი. მუშათა პარტიის „მემარცხენე" დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ჰენდერსონის ულტიმატუმი საპარლამენტო ფრაქციის პლენუმზე ვერ აიძულებს მათ ხელი აიღონ დამოუკიდებელ გამოსვლებზე თემთა პალატაში, თუ ისინი დაინახავენ, რომ საქმის ვითარება მოითხოვს მათგან ამგვარ გამოსვლას (ჰენდერსონი თავის ულტიმატუმში ლაპარაკობდა მტკიცე დისციპლინის საჭიროებაზე და წინადადებას აძლევდა დამოუკიდებელი მუშათა პარტიის დეპუტატებს საბოლოოთ გადაეწყვიტათ — სურთ თუ არა მათ პარტიის რიგებში დარჩენა).

„მემარცხენეები ბრალს სდებენ მთავრობას, რომ მან უღალატა მუშათა პარტიის პრინციპებს. არის ცნობები, რომ დამოუკიდებელი მუშათა პარტიის დეპუტატების უმცირესობა და მათი მომხრეები 24 მარტს, არმიის ბიუჯეტის განხილვის დროს, თემთა პალატაში შეიტანენ წინადადებას არმიის შემცირების შესახებ 100.000 კაცამდე. ეს ფაქტიურად ინგლისის არმიის გაუქმების მომასწავებელი იქნებოდა".

მუშათა პარტიის დეპუტატმა ბროუნმა გამოაქვეყნა წერილი მაკდონალდის მთავრობის საქმიანობის შესახებ ათი თვის განმავლობაში.

ბროუნი კიცხავს ტომასის პოლიტიკას და უარყოფს მის მტკიცებას, თითქო „რაციონალიზაციას შეუძლია ჩიხიდან გამოიყვანოს ინგლისი".

დასასრულ ბროუნი აცხადებს: „თუ ინგლისის პოლიტიკური მოღვაწეები ვერ შეიგნებენ სრულიად ახალი სისტემის საჭიროებას, მომავალი ისტორიკოსები ახლანდელ პერიოდს შეაფასებენ, როგორც „კერენშჩინას ინგლისში". „კერენსკის შემდეგ, — ხუმრობს ბროუნი,— თუ კერენსკის ფეხი წაუცდა, სცენაზე გამოჩნდება ლენინი".

ეხება რა „მემარცხენეთა" „ამბოხებას" კომუნისტური „დეილი უორკერი" აღნიშნავს, რომ „მემარცხენეებს სრულიად არ სურთ მაკდონალდის მთავრობის მდგომარეობის გართულება. მათ სურთ შექმნან ილუზია, თითქო „მემარცხენეთა" ზეგავლენით მაკდონალდის მთავრობა ყურადღებას აქცევს მუშათა კლასის ინტერესებს. მექსტონსა და კომპანიას სურს იხსნან მაკდონალდის მთავრობა დამხობისაგან, რომელიც მოელის მას მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობის აზვირთების ზეგავლენით" (ადს).

### მოითხოვენ მირუტის პატიმრების განთავისუფლებას

**ლონდონი,** 21 მარტი. თანდათან ფართოვდება მუშათა მასების მოძრაობა ლოზუნგით: **„მოვითხოვთ მირუტის პატიმრების— ბრიტანეთის იმპერიალიზმის ტყვეების—განთავისუფლებას".**

მთავრობის ორგანო „დეილი ჰერალდ"-ი იძულებულია წამოაყენოს მოთხოვნილება მირუტის პროცესის დაჩქარების შესახებ. გაზეთი სწერს: „ეს ხალხი ამ ერთი წლის წინად დააპატიმრეს. 12 თვე ისინი საპყრობილეში სხედან. მათ უარი უთხრეს იმაზე, რომ მათი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განეხილა. დღემდე გამოურკვეველია იმ დანაშაულის ხასიათი, რომელიც მათ მიაწერეს. ინდოეთის საქმეთა მდივანმა განაცხადა, რომ მას არ სურს ჩაერიოს სასამართლო გამოძიების მიმდინარეობაში. ჩვენ გვსურს ვაიძულოთ იგი—დაფიქრდეს, ნორმალურია თუ არა ასეთი მდგომარეობა. მირუტის პატიმართა წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები გარკვევით უნდა ჩამოყალიბდეს, ხოლო სასამართლო გამოძიება დაჩქარდეს. რაც უფრო დიდხანს გაჭიანურდება ეს საქმე, მით უფრო ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს იგი ინდოეთში"

„დეილი უორკერ"-ი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დეილი ჰერალდ"-ი მოითხოვს არა პატიმართა განთავისუფლებას, არამედ მხოლოდ ბრალდების გარკვევით ჩამოყალიბებას.

**ლონდონი,** 21 მარტი. გაზეთები იუწყებიან, რომ მირუტის პატიმართა კვირეული ინგლისში მუშათა მასების ყურადღებას იპყრობს. კრებებზე მიღებულ რეზოლიუციებში მუშები მოითხოვენ მირუტის საქმის შეწყვეტას და პატიმართა განთავისუფლებას (ადს).

### ქარხკომების არჩევნები გერმანიაში

რევოლიუციონური პროფოპოზიციის გამარჯვება

**ბერლინი,** 21 მარტი. ქარხკომების არჩევნების დროს კრუპის ქარხნებში (ესსენში) **რევოლიუციონურმა ოპოზიციამ მიიღო 3.633 ხმა ნაცვლად წარსულ წელს მიღებულ 3.393 ხმისა.** სოციალ-ფაშისტებმა მიიღეს 7.384 ხმა (შარშან — 7.795 ხმა).

**შტეტინის ნავთსადგურის მუშებმა ოპოზიციონურ სიას მისცეს 1302 ხმა, სოციალ-ფაშისტებმა მიიღეს მხოლოდ 225 ხმა.**

**ხემნიცის ოთხ საწარმოში ახალ ქარხკომებში არჩეულია მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლები,** რადგან სოციალ-ფაშისტებმა, ვერ შესძლეს თავისი სიის წამოყენება.

ქარხანა „აკანია"-ში (ბერლინი) რევოლიუციონურმა ოპოზიციამ **ხუთი წარმომადგენელი** გაიყვანა ქარხკომში, სოციალ-ფაშისტებმა კი — მხოლოდ ორი.

„შვარცკოპფ"-ის საწარმოში (ბერლინში) პროფოპოზიციამ ქარხკომში **მიიღო 4 ადგილი** (წინად ჰქონდა ერთი).

„ბეღონის" ელექტრო-საწარმოში, სადაც პროფოპოზიციამ პირველად **წამოაყენა თავისი სია, მან მიიღო სამი ადგილი.** (ადს).

### დემონსტრაციები ინგლისის წინააღმდეგ ეგვიპტეში

**ლონდონი,** 21 მარტი. ქაირიდან მიღებული ცნობებით, ეგვიპტის პრემიერის ნახასფაშას მეთაურობით ლონდონში გაემგზავრა ვაფდის დელეგაცია. დელეგაციის გამგზავრებამ გამოიწვია **დიდი ანტიბრიტანული დემონსტრაცია** იმ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, რომელიც ვაფდის დელეგაციამ უნდა აწარმოოს ლონდონში ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების შესახებ.

მიუხედავათ პოლიციის ღონისძიებებისა, **სადგური დემონსტრანტებით აივსო.** როგორც გაზეთ „მორნინგ პოსტ"-ის ქაირელი კორესპონდენტი იუწყება, დელეგაციის გამგზავრების წინ გამართულ თათბირზე ვაფდისტებმა გადასწყვიტეს — მოითხოვონ 1899 წლის კონდომინიუმის აღდგენა სუდანში, ე. ი. საერთო მმართველობა. „მორნინგ პოსტ"-ი მოწინავე წერილში მოუწოდებს ჰენდერსონს, —არ წავიდეს რაიმე შემდგომ დათმობაზე და მტკიცედ დაიცვას ინგლისის ბევრ უკვე წამოყენებული მოთხოვნები (ადს).

### კლასობრივ სასამართლოს „მართლმსაჯულება"

ციხე — მუშებისათვის

**ბერლინი,** 21 მარტი. სასამართლომ ხარტმანსდორფში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის წევრს კომუნისტ მუშა-ქალს კნოტს მიუსაჯა 1 წლითა და სამი თვით დაპატიმრება. დანარჩენ ბრალდებულებს მიესაჯა 3-დან 5 თვემდე პატიმრობა.

შენიშვნა: როგორც მკითხველებმა იციან, რამდენიმე თვის წინად ხარტმანსდორფში პოლიციამ სროლა აუტეხა გაფიცულ მუშების დემონსტრაციას, მოკლა ხუთი მუშა და მრავალი დასჭრა. მაგრამ პასუხისგებაში მისცეს არა პოლიციელები, არამედ მუშები.

მუშების მკვლელები გაამართლეს

**ნიუ-იორკი,** 21 მარტი. გასტონის სასამართლომ გაამართლა საფეიქრო საწარმოს 5 მოხელე, რომელთაც ჰბრალდებოდათ ფეიქარი ქალის უიგინსის მკვლელობა.

**უიგინსი მოკლულ იქნა 1929 წლის სექტემბერში,** იმ დროს, როდესაც ფეიქართა რევოლიუციონური პროფკავშირების მიერ გამართულ მიტინგზე დასასწრებლად მიმავალ გაფიცულ ფეიქრებს ფაშისტების ბრბოები დაესხნენ თავს (ადს).

### ეკონომიური კრიზისი ამერიკაში ფართოვდება

ელევატორები გაივსო პურით.—კრიზისისაგან თავის დასაღწევად მოუსავლობას ნატრობენ

**ლონდონი,** 21 მარტი. „დეილი ტელეგრაფის" ნიუ-იორკელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ შეერთებულ შტატებს ემუქრება უდიდესი კრიზისი, თუ 1930 წელი შემთხვევით მოუსავლიანი არ დარჩა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამერიკის მთავრობა პურზე არსებული ფასების შენარჩუნების მიზნით, აწარმოებს პურის მთელი თავისუფალი მარაგის შესყიდვას. ამის გამო შეერთ. შტატების ყველა ელევატორები გაივსო პურით. პურის არსებული ფასების შენარჩუნების ცდები გამოწვეულია შეერთ. შტატებში დაწყებული ეკონომიური კრიზისის მთელ რიგ მრისხანე ნიშნების ზეგავლენით.

ასე, მაგალითად, საშემოსავლო გადასახადიდან 1929 წ. ხაზინაში 500.000.000 დოლარით ნაკლები შევიდა, ვიდრე 1928 წ. არაჩვეულებრივად შემცირდა ბანკებში ანაბარების ჯამი. მეანაბარეთა რიცხვმა ერთი წლის განმავლობაში ნახევარი მილიონით იკლო.

**„ქველმოქმედება" ძალაუნებურად**

**ნიუ-იორკი,** 21 მარტი. სენატორმა მაკმასტერმა შეერთებული შტატების სენატში შეიტანა წინადადება, რომ მთავრობას მიეცეს უფლება გაჰყიდოს 25 მილიონი დოლარის ხორბალი, რომელიც გატანილი იქნება ჩინეთში დამშეულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ჩინეთში ხორბლის გატანის გეგმა წამოყენებულია ხორბლის ფასის არაჩვეულებრივად დაცემის ზეგავლენით (ადს).

### ანტი-საბჭოთა წირვა-ლოცვის მარცხი

საბჭოთა კავშირის დასაცავად

**ლონდონი,** 21 მარტი. როგორც ნიუ-იორკიდან იუწყებიან, საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებამ გამართა კრება საბჭოთა კავშირის დასაცავად. კრებაზე გამოცხადდა 25 ათასი კაცი.

სიტყვები წარმოსთქვეს კომუნისტმა ფოსტერმა და პროფკავშირთა მთლიანობის ლიგის და უღმერთოთა კავშირის წარმომადგენლებმა.

**ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს საბჭოთა კავშირის დაცვას და მიმართულია საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ.**

კრების მოლოდინში მოხდა 500 პოლიციელის მობილიზაცია (ადს).

**ჯვაროსნული ლაშქრობა ჩაიშალა**

**რომი,** 21 მარტი. ანტისაბჭოთა საეკლესიო ვედრება, რომელიც იტალიის ზოგიერთ პროვინციალურ ქალაქში გაიმართა, მარცხით დამთავრდა. ამ ვედრებას ისე ცოტა ხალხი დაესწრო, რომ მის შესახებ გაზეთებმა დუმილი ამჯობინეს (ადს).

ბერლინის ეკლესიებს პოლიცია მფარველობს

**ბერლინი,** 21 მარტი. ანტისაბჭოთა კამპანიის დამარცხებას ბერლინში მოწმობს ის გარემოება, რომ პოლიციის უფროსმა, მუშების კონტრ-დემონსტრაციებთან დაკავშირებით, განკარგულება გასცა ეკლესიების დაცვის შესახებ. განკარგულებაში ნათქვამია, რომ მახლობელი დროის განმავლობაში პოლიციელთა პატრულებმა ხშირ-ხშირად უნდა შემოიარონ ეკლესიების რაიონები. მუშათა უბნების სხვადასხვა რაიონში უნდა მოთავსდნენ პოლიციელთა დიდი რაზმები ავტომობილებით. პოლიციის მოხელეებმა მუდმივი კავშირი უნდა დაიჭირონ სამღვდელოებასთან, რომ საჭიროების დროს შესაძლებელი იყოს პოლიციის გაწვევა. გარდა ამისა, პოლიცია სამრეწველოებს ურჩევს მოაწყონ დაცვის საქმე საკუთარი ძალებითაც (ადს).

**ვენა,** 21 მარტი. უნგრეთის გაზეთების ცნობით, უნგრეთის ეპისკოპოსებმა ეპარქიებს დაუგზავნეს ბრძანება — გამართონ 23 მარტს ლოცვა-ვედრება „საბჭოთა კავშირში ქრისტიანების დევნის" წინააღმდეგ (ადს).

### ანტი-საბჭოთა კონფერენცია ბერლინის არისტოკრატიულ კლუბში

„ველტ ამ აბენდ"-ის ახალი მხილებანი

**ბერლინი,** 21 მარტი. „ველტ ამ აბენდ"-ი აქვეყნებს ახალ ცნობებს ბერლინის არისტოკრატიულ კლუბში მომხდარი საიდუმლო სხდომის შესახებ.

კათოლიკეთა თვალსაჩინო ბელადს, მიუნხენელ მრეწველს კრამერკლეტს განუცხადებია, რომ გერმანიის მრეწველობამ უნდა შექმნას ბოლშევიზმთან ბრძოლის ფონდი. ამ ფონდის ძირითადი თანხა 10 მილიონ მარკას უნდა უდრიდეს და იგი თანდათან უნდა გადიდდეს საეკლესიო სახსრებიდან მიღებული თანხებით. კრამერკლეტს აღუნიშნავს, რომ ამ მიზნით პაპი გერმანიის საეპისკოპოსოს სასარგებლოდ გადასდებს პეტრე-პავლობის შემოსულ შემოწირულებათა 50 პროცენტს. კრამერკლეტმა აღნიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა ამ საქმეში ჩაბმულ იქნას ინგლისის ნავთის მრეწველობის კაპიტალი.

ცენტრის ორგანოს „გერმანია"-ს მთავარმა აქციონერმა ფონ-პაპენმა განაცხადა, რომ იმ სარწმუნო წყაროების თანახმად, რომლებიც მას გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიუღია, გერმანიის მთავრობა, რა თქმა უნდა, არაოფიციალურად, მხურვალედ მიესალმება ანტისაბჭოთა ბრძოლას კულტურულ ფრონტზე.

რამდენიმე სიტყვის შემდეგ რეიხსბანკის თავმჯდომარემ ლიუტერმა და ყოფილმა სამხედრო მინისტრმა გესლერმა, რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ, წასვლა ამჯობინეს, მაგრამ განაცხადეს, რომ ისინი იწონებენ ყველა ანტისაბჭოთა ძალების კონსოლიდაციის იდეას.

„ველტ ამ აბენდ"-ი აცხადებს, რომ უსაფუძვლო უარყოფით არ შეიძლება მიფუჩეჩებულ იქნას ეს ანტისაბჭოთა მოქმედება, რომლის მიზანიცაა ურთიერთობის გაწყვეტა და ინტერვენცია.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვერავინ ვერ გაბედა ამ მხილების უარყოფაც კი (ადს).

### მდგომარეობა ინდოეთში

„სამოქალაქო ურჩობის" კომედია

**ლონდონი,** 21 მარტი. განდის ლაშქრობა გრძელდება. თუმცა განდიმ რამდენჯერმე წარმოსთქვა სიტყვა იმ რაიონებში, სადაც ეს აკრძალულია, მაგრამ ინდოეთის მთავრობა მაინც არ აპატიმრებს მას. მორიგ სიტყვაში განდიმ განაცხადა: „თუ გლეხების აქტივობის გამო, მათ წინააღმდეგ ძალადობას მიმართეს, მათ სიხარულით უნდა გადაიტანონ ძალადობა. თუ სროლა აუტეხეს, ისინი უდრტვინველად უნდა დაიხოცონ".

„დეილი უორკერ"-ი ეხება ინდოეთში შექმნილ მდგომარეობას და სწერს: „იმპერიალიზმი კარგად იცნობს თავის მტრებს. მაშინ, როდესაც მირუტის პატიმარნი საპყრობილეში სხედან მუშათა ბრძოლისათვის ხელმძღვანელობის გაწევის გამო, განდის საშუალება აქვს განაგრძოს თავისი სასაცილო ურჩობის კამპანია. განდი სცდილობს დააპატიმრონ, ჯერ-ჯერობით კი იგი კომედიას თამაშობს" (ადს).

**ლონდონი,** 21 მარტი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესის აღმასკომმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ავალებს განდის — დაიწყოს და აწარმოოს სამოქალაქო ურჩობის კამპანია, უმთავრესად მარილის კანონის წინააღმდეგ, მთელ ინდოეთში. რეზოლიუცია ავალებს პროვინციალურ კრებებს — დაუყოვნებლივ დაიწყონ ურჩობის კამპანია იმ შემთხვევაში, თუ განდი დააპატიმრეს. (ადს).

### უმუშევრობა პოლონეთში

**ვარშავა,** 21 მარტი. დომბროვის რაიონში 8 მარტისათვის ირიცხებოდა 80.000 უმუშევარი და 20.000 ნაწილობრივ მომუშავე. ოჯახის წევრებთან ერთად უმუშევართა რიცხვი 100.000 კაცს აღწევს.

„არასოდეს დღემდე უმუშევრობა და შიმშილობა ამ ზომამდე არ მისულა", — სწერს პოლონეთის სოციალისტური პარტიის გაზეთი „რაბოტნიკ"-ი.

გაზეთის აზრით, მდგომარეობა უფრო გაუარესდება, რადგან ფოლადის ჩამომსხმელ საწარმოებში მოსალოდნელია მუშების მასიური დათხოვნა (ადს).

### მო-დე-გუის განცხადება

**ტოკიო,** 21 მარტი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, მო-დე-გუიმ განაცხადა, რომ მიდის მოსკოვში ჩინეთ-საბჭოთა 10 აპრილის კონფერენციაზე დასასწრებლად. მასთან ერთად მიდიან ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს და გზათა სამინისტროს წარმომადგენელნი, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის წევრი ლი-შაო-შენი და დიპლომატიური კომისიის მოადგილე ხარბინში — ვანი (ადს).

# პირუტყვის კონტრაქტაცია ამიერ-კავკასიაში

(საუბარი ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისართან, ამხ. ბუკრეევთან)

პირუტყვის კონტრაქტაციის ახალი ფორმების შესახებ ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. ბუკრეევმა განაცხადა შემდეგი:

„იმ მიზნით, რომ სახელმწიფო დამამზადებელმა აპარატმა უფრო სრულად მოაქციოს თავისი მოქმედების სფეროში ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის საბაზრო პირუტყვი, როგორც უშუალოდ საკლავად, ისე გასასუქებლად, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ შედარებით სუსტად მიმდინარეობს ხორცის დამზადება, საჭირო გახდა იმ მეურნეობათა რიცხვის გაფართოება, რომლებთანაც კონტრაქტაცია იდება. იმ მეურნეობათა რიცხვში, რომლებთანაც კონტრაქტაცია იდება, კოლმეურნეობათა და უმარტივეს გაერთიანებათა გარდა, შეყვანილნი იქნებიან ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობებიც, რომლებსაც აგრეთვე ეძლევათ ავანსები განსაზღვრული დიფერენციაციით, ე. ი. ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის კოლმეურნეობებთან და უმარტივეს გაერთიანებებთან შედარებით, გათვალისწინებულია რამდენადმე შემცირებული ნორმები.

ამასთან ერთად კონტრაქტაცია გავრცელდება კულაკურ მეურნეობებზედაც, რომლებსაც მიეცემათ ფულადი ავანსები და სამრეწველო საქონელი საშუალო გლეხური მეურნეობებისათვის დაწესებული ნორმების 50 პროცენტის რაოდენობით. ამ ღონისძიებებმა უთუოდ უნდა გააძლიერონ ხორცის დამზადება და უზრუნველჰყონ იმ დავალებათა შესრულება, რომლებიც მოცემულია გეგმით 1929—30 წლისათვის.

დამამზადებელ ორგანოებს მიეთითათ პირუტყვის დამზადების დროს შეისყიდონ ბაზარზე გამოყვანილი მთელი პირუტყვი, კერძოდ, ახალგაზრდა მუშა და მეწველი საქონელი, რომელიც დაცვის მიზნით გადაეცემა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს და ამიერ-კავკასიის ახალ საზოგადოებას „სკოტოვოდ"-ს, რომელიც ახლად ეწყობა. ამის შესახებ ადგილებს მტკიცე მითითებანი აქვთ მიცემული.

კონტრაქტაციის ხელშეკრულებანი კულაკებთან განსაკუთრებული სახით დაიდება. ამ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული იქნება მთელი რიგი გარემოებანი, რომლებიც კულაკურმა მეურნეობებმა უნდა შეასრულონ. მაგალითად, მათ მთლიანად უნდა ჩააბარონ მთელი სასაქონლო ბაზარზე გამოსატანი პროდუქცია, რომლის სიდიდესაც სოფლის საბჭოები განსაზღვრავენ, სასტიკად განახორციელონ დაწესებული ზოომინიმუმი და სხვ.

სამრეწველო და სასურსათო საქონლის გაცემა კულაკური მეურნეობებისათვის დაწესებული ნორმებით მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ეს მეურნეობანი ასი პროცენტით შეასრულებენ ხელშეკრულებებით დაკისრებულ ვალდებულებებს. დაწვრილებითი განკარგულებები აღნიშნულ ღონისძიებათა შესახებ ტელეგრაფით გაეგზავნა ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკათა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს, ნახიჩევანის ავტონომიურ ოლქის სახკომსაბჭოს და „ხორცის კავშირის" საზოგადოებას.

მთელმა ამ ღონისძიებებმა უთუოდ უნდა გააცხოველოს ხორცის დამზადება ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში, რაც განსაკუთრებით უზრუნველყოფილი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ადგილები თავის დროზე და საკმაო ენერგიით გაატარებენ ამ ღონისძიებებს და არ დაუშვებენ დირექტივის არავითარ გამრუდებას". (ადს)

### ჩაის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტი

**მოსკოვი,** 22 მარტი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ჩაის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის დაარსება.

**ინსტიტუტი დაარსდება თბილისში,** საცდელი სადგურები მოეწყობა **ჩაქვში და ოზურგეთში.**

ჩაის ინსტიტუტი შეუდგება ჩაის კულტურათა წარმოების ორგანიზაციის ტეხნოლოგიის და ეკონომიკის შესწავლას (ადს).

### პაპის პროვოკაციის წინააღმდეგ

მოსკოვის მშრომელთა დემონსტრაციები

**მოსკოვი,** 22 მარტი. დღეს გაიმართა მოსკოვის მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია ხუცების ანტისაბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ. დემონსტრანტთა კოლონებით გაიჭედა მოსკოვის ყველა ქუჩები, დემონსტრანტები გაემართნენ ცენტრისაკენ, სადაც მათ კავშირთა სახლიდან მიესალმნენ პროფკავშირთა წარმომადგენელნი. როდესაც დაბნელდა, დემონსტრანტებმა ჩირაღდნები აანთეს და მაშხალებს ისროდნენ. მოსკოვის საბჭოს აივნიდან დემონსტრანტებს მიესალმნენ ამხ. ბაუმანი, უხანოვი და სხვები. მუშათა კოლონებს შორის იყო ბევრი წითელარმიელი. დემონსტრანტებს მოჰქონდათ პლაკატები წარწერებით: „ძირს ინტერვენციის პროვოკატორები", „ხუთწლიანი გეგმით გავსცეთ პასუხი ხუცების მზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯვაროსნული გამოლაშქრებისათვის", „სამრეწველო-საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულება — აი ჩვენი პასუხი იმპერიალისტთა ახალ პროვოკაციაზე" და სხვ. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 750.000 კაცმა. დემონსტრაციის წინ ქარხნებსა და დაწესებულებებში გაიმართა სახელდახელო მიტინგები, რომლებზედაც მიღებულ იქნა მკაცრი საპროტესტო რეზოლიუციები ხუცების ლაშქრობის წინააღმდეგ.

დიდი ანტირელიგიური დემონსტრაციები, ხუცების ანტისაბჭოთა ლაშქრობასთან დაკავშირებით, გაიმართა აგრეთვე ტომსკში, სარატოვში, ტულაში, პერმში, ტვერში, ნოვოსიბირსკში, სმოლენსკში და სხვა ქალაქებში. ლენინგრადში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით ნახევარ მილიონმა კაცმა. განსაკუთრებით ეჩქეოდა სამეცნიერო აკადემიის კოლონა აკადემიკოსთა ჯგუფის მეთაურობით. (ადს).

**მოსკოვი,** 22 მარტი. როგორც იუწყებიან, კავშირის ბევრ ქალაქში გაიმართა საპროტესტო მიტინგები იმპერიალისტების ცდის წინააღმდეგ—შექმნან მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტი. რეზოლიუციების უმრავლესობას საჭიროდ მიაჩნია სასტიკი პასუხის გაცემა ახალი სისხლისღვრის ორგანიზატორებისათვის და ენერგიის გაათკეცება ხუთწლიანი გეგმის შესრულებისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის გაძლიერებისათვის.

მუშები აგროვებენ ფულს ისეთი ფონდისათვის, რომლითაც აგებულ უნდა იქნეს აეროპლანები და ტანკები—„ჩვენი პასუხი რომის პაპს".

### ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში

/ ახალი სესხის ძირითადი დებულებანი

**მოსკოვი,** 22 მარტი. სახელმწიფო კრედიტის ხელისშემწყობმა ცენტრალურმა კომისიამ მოკავშირე რესპუბლიკების და მოსკოვის უდიდესი ქარხნების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიმუშავა ძირითადი დებულებანი ახალი სესხისა: „ხუთ წლიანი გეგმა ოთხ წელიწადში", რომელიც გამოშვებული იქნება 1930 წლის 1 აგვისტოსათვის.

როგორც პროექტი ითვალისწინებს, სესხი გამოშვებული იქნება 10 წლით; სესხი იქნება პროცენტიანი (8 პროც.) და უპროცენტო. ყოველ წელიწადს მოხდება ექვსი ტირაჟი. უპროცენტო ობლიგაციები წაუგებელი იქნება, ე. ი. სესხის ვადის განმავლობაში ყოველი ობლიგაციამ უნდა მოიგოს. მოგება იქნება 50 მანეთიდან 1.000 მანეთამდე.

კომისია სთხოვს საბჭოთა კავშირის ფინსახკომს — დაამუშაოს ინდუსტრიალიზაციის სესხებისა და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის ახალ სესხზე გადაცვლის საკითხი ახალი სესხის რეალიზაციის დაწყებამდე. (ადს).

### საბჭ. აეროპლანის ავარია

**ვარშავა,** 21 მარტი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„დისნის მაზრაში, პოლონეთ-საბჭოთა საზღვრიდან 20 კილომეტრის მანძილზე დაეშვა საბჭოთა აეროპლანი ორი მფრინავით. მფრინავებმა განაცხადეს, რომ მათი დაშვება პოლონეთის ტერიტორიაზე გამოიწვია გზის დაკარგვამ. სწარმოებს მოლაპარაკება საბჭოთა ხელისუფლებასთან, რის შემდეგ მფრინავებს საშუალება მიეცემა დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირში". (ადს).

### ამხ. რიაზანოვის იუბილე

**მოსკოვი,** 23 მარტი. კომუნისტურ აკადემიაში გაიმართა ამხ. რიაზანოვის პატივსაცემი საღამო. ამხ. კალინინმა წაიკითხა საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილება ამხ. რიაზანოვის დაჯილდოების შესახებ შრომის წითელი დროშის ორდენით და გადასცა ორდენი იუბილიარს, რასაც დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

დიდი მოხსენება ამხ. რიაზანოვის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ამხ. პოკროვსკიმ. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. კატაიამმა — კომინტერნის აღმასკომის სახელით, ამხ. ლოზოვსკიმ — პროფინტერნის სახელით, ბახმა — სამეცნიერო დაწესებულებათა სახელით, ამხ. ბუხარინმა — სამეცნიერო აკადემიის სახელით, ამხ. ხალატოვმა და სხვებმა. (ადს).

# საზღვაო კონფერენცია აღსასრულის წინ

**საზღვაო კონფერენცია აღსასრულის წინ.**

როდესაც იძულებული და არავისათვის სამწუხარო შესვენების შემდეგ ლონდონის საზღვაო კონფერენციამ მუშაობა განაახლა, მისმა მონაწილეებმა საჭიროდ ჩასთვალეს კვლავ საჯაროდ გაეცხადებინათ თავიანთი ოპტიმიზმი. მაგრამ რამდენიმე დღესაც არ გაუვლია, რომ კონფერენციის მიმდინარეობის ირგვლივ პრესის მიერ გადმოცემულმა ცნობებმა მომაკვდავის მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებული ბიულეტენების სახე მიიღეს. „ავადმყოფი კიდევ ცოცხალია, მაგრამ სუსტად უცემს", — ამ ფორმულით შეიძლება განისაზღვროს გაზეთების უმრავლესობის კომენტარიები. მართლაც, მოლაპარაკებამ განახლებისთანავე გამოააშკარავა სწორედ იმ ანტაგონიზმთა და წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება, რომლებმაც ჩიხში მოამწყვდიეს კონფერენცია მისი მუშაობის პირველ თვეს და რომლებიც ახლა დაჩირქებული იარებსავით გაიხსნენ. ყოველივე ამის შედეგად ოფიციალურმა ოპტიმიზმმა ადგილი დაუთმო იმედის დაუფარავ და ულრმეს გაცრუებას. საკმარისია გადაათვალიეროთ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და იტალიის პრესის უკანასკნელი კომენტარიები, რათა დარწმუნდეთ, რომ კონფერენციის ჩაშლის ფაქტი არავის ეჭვს არ იწვევს და არავინ ამ ფაქტს სადაოდ არ სთვლის. საქმე მხოლოდ იმაშია, მოახერხებენ დაფარონ ეს უნუგეშო სინამდვილე თვალთმაქცური ლაყბობისა და უშინაარსო ფორმალურ შეთანხმებათა ჩვეულებრივი ფარდით, როგორიც არის ვაშინგტონის ხელშეკრულება წყალქვეშა ომის „სათნოიანად" წარმოების შესახებ, თუ ეს სინამდვილე მთელ მსოფლიოს წინაშე დაუფარავად გამოჩნდება.

უახლოესი, მაგრამ არა ერთად-ერთი და შეიძლება არც მთავარი ფაქტორი, რომელიც იწვევს კონფერენციის ჩაშლას, არის, როგორც ვიცით, საფრანგეთის მთავრობის შეურიგებელი პოზიცია. საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ტონაჟი ამჟამად ძლივს სჭარბობს ექვსას ათას ტონას, ხოლო ყველა სამშენებლო პროგრამების შესრულების შემდეგ 671,000 ტონას მიაღწევს. ამავე დროს კი საფრანგეთმა მინიმალურ ნორმად 724.000 ტონა მოითხოვა (შემდეგ ეს ციფრი შესწორებულ იქნა 712 ათას ტონამდე). თავის თავად იგულისხმება, რომ საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ასეთი ბუმბერაზული გადიდება აიძულებს სხვა სახელმწიფოებს, სათანადოთ გააძლიერონ თავიანთი სამხედრო-საზღვაო მშენებლობა. საფრანგეთის მოთხოვნები ააშკარავებენ, თუ რამდენად თვალთმაქცურია ყბადაღებული „შეიარაღების შეზღუდვა", რომელიც სინამდვილეში შეიარაღების შემდგომ ზრდას მოასწავებს. მაგრამ საფრანგეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ მას მხოლოდ იმ პირობით შეუძლია შეამციროს საფრანგეთის ფლოტის ეს „აბსოლუტური საჭიროებანი" თუ საფრანგეთი პოლიტიკური „უშიშროების" ახალ საერთაშორისო გარანტიებს მიიღებს. საფრანგეთის იმპერიალიზმი მოითხოვდა ინგლისისა და ამერიკისაგან საგარანტიო შეთანხმების დადებას, რომელიც უნდა უზრუნველჰყოფდეს საფრანგეთის ფაქტიურ ჰეგემონიას ხმელთაშუა ზღვაზე და კაპიტალურ დასაყრდენს წარმოადგენდეს ხელშეკრულებათა და კავშირთა მთელი იმ სისტემისათვის, რომელზედაც ემყარება საფრანგეთის ბატონობა ომის შემდეგ კონტინენტალურ ევროპაში. ეს მოთხოვნა თავიდანვე უარჰყვეს სხვა სახელმწიფოებმა, ვინაიდან ამერიკა გადაჭრით უარს ამბობს ევროპაში ასეთი ვალდებულებანი იკისროს, ხოლო ინგლისის მთავრობა ყველაზე ნაკლებ არის დაინტერესებული იმით, რომ ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონია განმტკიცდეს და ამით საფრანგეთმა გაბატონებული მდგომარეობა მიიღოს ინგლის-საფრანგეთის ანტანტაში ან იმაში, რაც ჯერ კიდევ დარჩენილა ამ ანტანტისაგან. ვინაიდან ტარდიეს ახალი მთავრობა ამ საკითხში ისევე ჯიუტი გამოდგა, როგორც ძველი, ბიულეტენებს კონფერენციის ჯანმრთელობის შესახებ არ შეიძლებოდა დასამარების ელფერი არ მიეღოთ.

საფრანგეთის ამ პოზიციასთან დაკავშირებით, პარიზში გაიელვა ხმამ, რომ, ხუთ საზღვაო სახელმწიფოს ხელშეკრულების დადების ნაცვლად, შესაძლებელია სამთა შეთანხმების დადება ინგლისსა, ამერიკასა და იაპონიას შორის. ეს იდეა აშკარად ფანტასტიურია, ვინაიდან, ჯერ ერთი, ინგლისსა და ამერიკას შორის სრულებითაც არ არსებობს თანხმობა და მორიგება, მეორე — საქმის შინაარსის მიხედვით ინგლისს არ შეუძლია დასთანხმდეს თავისი ტონაჟის რაიმე შეზღუდვაზე, თუ საფრანგეთის მშენებლობა შეუზღუდავი დარჩა და, მესამე, კვლავ მოუგვარებელია ამერიკისა და იაპონიას შორის არსებული უთანხმოება იმის ირგვლივ, თუ რა პროპორციის უნდა იყოს იაპონიის ტონაჟი ამერიკის საზღვაო ძალებთან შედარებით. მეორე მხრივ ცხადია, რომ საფრანგეთს არ შეუძლია პოლიტიკურად სავსებით გამართლებული წავიდეს კონფერენციიდან და თან იკისროს ფორმალური პასუხისმგებლობა მოლაპარაკების ჩაშლისათვის. ამასთან მის პირვანდელ მოთხოვნებში აღნიშნული ტონაჟის ციფრები მეტისმეტად გაზვიადებულია; ეს ციფრები მიუღწეველია არა მარტო იმიტომ, რომ მკვეთრად არღვევენ სხვადასხვა სახელმწიფოს ძალთა შეფარდებას, არამედ იმიტომაც, რომ ეს ციფრები საფრანგეთის საფინანსო რესურსებს არ შეეფერებიან. უკანასკნელ მომენტში საფრანგეთის დელეგაციამ შეამცირა ეს ციფრები ჯერ 650.000, ხოლო შემდეგ 600.000 ტონამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საფრანგეთმა განაცხადა, რომ იგი მზად არის აღუთქვას სახელმწიფოებს — შეიარაღების „შეზღუდვისა და შემცირების" შედეგად ერთნახევარჯერ მეტად არ გაადიდოს სამხედრო-საზღვაო ძალების სიდიდე (ამ ძალების სიმძლავრე შეუზღუდავი რჩება). ამ დათმობაზე საფრანგეთი წავიდა მხოლოდ იმ პირობით, თუ შეთანხმება უმთავრესად მიმართული იქნება კონფერენციის ყველაზე სუსტ მონაწილის იტალიის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა უნდა უარჰყოს თავისი მოთხოვნა თეორეტიული სამხედრო-საზღვაო თანასწორობის შესახებ საფრანგეთთან და დასთანხმდეს, რომ მის სამხედრო-საზღვაო ძალებსა და საფრანგეთის ძალებს შორის დარჩეს განსხვავება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ 200 ათასი ტონით მაინც. ამ მოთხოვნათა აზრი სავსებით ნათელია. როგორც ინგლისი, ისე საფრანგეთი სცდილობდნენ გამოეყენებიათ კონფერენცია თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად ევროპაში. საფრანგეთი ხმელთაშუა ზღვის საგარანტიო პაქტის დადებას სცდილობდა სწორედ იმიტომ, რომ უზრუნველეყო თავისი არსებული უპირატესობანი და განემტკიცებია ხმელთაშუა ზღვის აუზში მისთვის ხელსაყრელი ახლანდელი მდგომარეობა, რომელსაც საფრთხეს უქმნიან იტალიის უფრო ახალგაზრდა იმპერიალიზმის მოთხოვნები, 200 ათასი ტონის უპირატესობა ამავე მიზნის მიღწევას სხვა საშუალებებით უზრუნველჰყოფს. ის გარემოება, რომ საფრანგეთი თავიდანვე ფიქრობდა იტალიის წინააღმდეგ მიემართა თავისი მოთხოვნები, სჩანს ტარდიეს ცნობილი განცხადებიდან კონფერენციის მუშაობის ჯერ კიდევ პირველ სტადიაში. ტარდიემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთს ვერ წარმოუდგენია ომი ინგლისთან და ამერიკასთან, მაგრამ ტარდიემ შეგნებულად არ მოიხსენია იტალია.

ამ უკანასკნელს მშვენივრად ესმის, რომ საფრანგეთის წინადადების მიღება იტალიისათვის ნიშნავს ყველა იმედების უარყოფას შემდგომ კოლონიალურ ექსპანსიაზე იმ ტერიტორიების შემოერთებით, რომლებსაც საფრანგეთი თავისი გავლენის სფეროდ სთვლის. ამ წინადადების მიღება უდრის იმას, რომ იტალიამ განუსაზღვრელი დროით სცნოს თავისი მეორე ხარისხოვანი და დაქვემდებარებული მდგომარეობა ხმელთაშუა ზღვაზე. თავის მხრივ იტალია გადაჭრით უარჰყოფს საფრანგეთის იმპერიალიზმის მოთხოვნას. მას იმედი აქვს, — და არც თუ უსაფუძვლოდ, — რომ თუმცა ინგლისის მთავრობამ დახმარება აღუთქვა საფრანგეთის დელეგაციას, მაგრამ იგი არც ისე დაინტერესებულია იმაში, რომ განამტკიცოს თავისი მთავარი კონკურენტის პოზიციები ევროპის პოლიტიკის ასპარეზზე. ინგლისელები სავსებით გულწრფელი ოხვრით იძულებულნი არიან აღიარონ, რომ იტალია არავითარ არგუმენტებს არ ემორჩილება. ყოველივე ამის შედეგად კონფერენცია ისევ ჩიხში მოემწყვდა.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ლონდონის კონფერენცია ამით გამოეთხოვება სიცოცხლეს. მთელი ამ თვალთმაქცური ისტორიით იმპერიალისტები ანხორციელებენ ახალი ომისათვის მზადებას, ამიტომ კონფერენციის სრული ჩაშლის აშკარად აღიარება უდიდესი პოლიტიკური სკანდალი იქნება იმპერიალისტებისათვის. სწორედ იმის გამო, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი მწვავე და გადაუჭრელია, ისინი ურთიერთო ინტერესების დასაცავად იძულებულნი არიან შეთანხმდნენ, თუ როგორ დაფარონ ეს წინააღმდეგობანი. შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ უკანასკნელ მომენტში ისინი გააკეთებენ ყოველსავე შესაძლებელს, რათა მშრომელი მასების საზოგადოებრივ აზრს დაუმალონ იმის ნამდვილი ხასიათი, რაც კონფერენციაზე ხდებოდა. ამას ახლავე აკეთებენ სოციალ-ფაშისტები და ყვითელი პროფბიუროკრატები. მათ მეორე ინტერნაციონალის და ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომების საერთო სესიაზე მიიღეს თვალთმაქცური რეზოლიუცია, რომელშიაც სცდილობენ ცრუ პაციფისტური და რეფორმისტული ლაყბობით დაფარონ გადაუჭრელი წინააღმდეგობანი.

მაგრამ იმპერიალისტების და მათი სოციალ-ფაშისტი დამქაშების ეს ხრიკები მაინც უბადრუკი ხერხია, რომელსაც არ შეუძლია მოატყუოს ვინმე, გარდა იმათი, ვისაც სურს მოტყუებული იყოს. სულ ერთია, მოხერხდება თუ არა ბოლოს და ბოლოს საფრანგეთის ან იტალიის დაყოლიება და დადება თუ არა შეთანხმება ტონაჟის ორმაგად ან ერთნახევარჯერ გადიდების საფუძველზე, იმპერიალისტური და სოციალ-ფაშისტური ლაყბობის უილაჯობა და სიცრუე განიარაღების ან შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მაინც საბოლოოდ გამომჟღავნებულია. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ფლოტის შემცირება პრაქტიკულად მოასწავებს მის გადიდებას, ხოლო შეიარაღების შეზღუდვად მისი განუსაზღვრელი ზრდის დაკანონება უნდა ვგულისხმობდეთ. ამასთან კონფერენციის მუშაობის მიმდინარეობამ ცხადჰყო, რომ იმპერიალისტებს არ ძალუძთ, თუნდაცა მოკლე ხნით, მოაგვარონ თავიანთი უთანხმოებანი და მოსპონ თავიანთი წინააღმდეგობანი. ცხადად გამოირკვა, რომ თუმცა იმპერიალისტურ მსოფლიოს ბუნდოვანად შეგნებული აქვს, თუ რა კატასტროფა მოჰყვება ახალ ომს, მას მაინც არ ძალუძს თავიდან აიშოროს ეს ომი ან თუნდაც გადადოს მისი ვადა.

საზღვაო კონფერენციის ჩაშლას, რა თქმა უნდა, ორმაგი მნიშვნელობა ეძლევა იმ პირობებში, როდესაც გამწვავებულია ურთიერთობა და წინააღმდეგობა იმპერიალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის. უთუოდ იმპერიალისტების ცდები — მოაგვარონ თავიანთი დავა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ასუსტებს მათ მისწრაფებას — შეთანხმდნენ, რომ შეერთებულად გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„იზვესტია", 22 მარტი.

### უკრაინელ კონტრ-რევოლიუციონერთა პროცესი

ბრალდებულ პავლუშკოვის ჩვენება

**ხარკოვი,** 22 მარტი. მთავრდება ბრალდებულ პავლუშკოვის დაკითხვა. მის დაკითხვას შეუდგა პროკურორი ახმატოვი. მან გაარკვია იმ ლაპარაკის ხასიათი, რომელიც „სვუ"-ს ხელმძღვანელებს ჰქონიათ საბჭოთა ექიმების მუშაობის შესახებ.

პროკურორის, შეკითხვაზე — როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ეფრემოვზე ლენინის სიკვდილმა, პავლუშკოვმა სრულიად დამშვიდებულად, თითქო ჩვეულებრივ საგანზე ლაპარაკობდეს, მიუგო: „მე ვგრძნობდი, რომ ეფრემოვი ამ ცნობას შეხვდა ისევე, როგორც შეიძლება შეხვდეს კაცი ცნობას დიდი ადამიანის სიკვდილის შესახებ, მაგრამ იმავე დროს, მან სთქვა, რომ ამ სიკვდილს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ექნება. იქვე მან გამოსთქვა ასეთი აზრი: „სამწუხაროა, რომ თავის დროზე კაპლანმა არ დაამთავრა თავისი საქმე ან ის ექიმები, რომლებიც ლენინს მკურნალობდნენ, არ დაეხმარნენ მას ამ საქმის დამთავრებაში".

როგორც შემდეგ გამოირკვა, „სვუ" იმ აზრისა იყო, რომ ზოგიერთ საბჭოთა ექიმებს კომუნისტების მკურნალობის დროს უნდა გამოეყენებიათ თავიანთი მდგომარეობა იმგვარად, რომ შეუძლებელი გამხდარიყო ამ კომუნისტების განკურნება. ეს, რასაკვირველია, ლოღიკურად გამომდინარეობდა მათი შეხედულებიდან ტერორზე. შემდგომი შეკითხვების დროს პავლუშკოვი აღიარებს, რომ ბოლშევიკებისაგან განთავისუფლების შესაძლებლად იქნა ცნობილი პეტლიურას ჯარის ნაშთების გაერთიანება პოლონეთის ჯართან და სოლიდარულად მოქმედება რუს თეთრგვარდიელებთან და ყველა არა საბჭოთა ელემენტებთან, ოღონდ მოხერხებულიყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა.

სასამართლოს თავმჯდომარეს აინტერესებს საკითხი ტერორის შესახებ, განსაკუთრებით ის, თუ როგორ უყურებდა ტერორს ეფრემოვი.

შეკითხვების საპასუხოდ ბრალდებული აცხადებს: ლენინის სიკვდილის მეორე დღეს ეფრემოვი და სხვები ამბობდნენ, რომ სასარგებლო იქნება პარტიის, 10-15 უფრო ცნობილი მოღვაწის მოსპობა და ამრიგად პარტიის დაშლა, ამასთან ძალიან მოხერხებულ მომენტად ამ ტერორისტული აქტებისათვის მათ მიაჩნდათ ლენინის სიკვდილი. ეს საკითხი განხილულ იქნა აგრეთვე „სვუ"-ს ხუთეულის სხდომაზე.

სასამართლოს წევრის სკოლიანსკის შეკითხვაზე — თუ როგორ აფასებს იგი თავის წარსულს, პავლუშკოვმა განაცხადა — მთელი ჩემი წარსული მოქმედება კონტრ-რევოლიუციონერობით მიმაჩნია.

პავლუშკოვის დაკითხვის შემდეგ საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა ლიუბჩენკომ წაიკითხა ადგილები იმ ანგარიშიდან ხარკოვის პროცესის შესახებ, რომელიც მოთავსებულია ლვოვის გაზეთ „დილო"-ში. ამ წუთებმა დიდად გამხიარულეს სასამართლოს დარბაზი. იცინოდა მთელი დარბაზი, იცინოდნენ მხარეები, ვერ შეიკავა ღიმილი თვით სასტიკმა სასამართლომაც. იცინოდნენ აგრეთვე ბრალდებულნი.

„დილო" იუწყება, რომ ეფრემოვი დაკითხვის დროს წამებამდე მიიყვანესო; მან ხუთჯერ ითხოვა დაკითხვის მცირე ხნით შეწყვეტა, მაგრამ სასამართლომ მისი თხოვნა არ შეიწყნარაო. ეს აბდა-უბდა ისე ეწინააღმდეგება სინამდვილეს, რომ მან, საზიზღრობის გარდა, კომიკური ხასიათი მიიღო. „დილო"-ს არ უნდა გამოეთხოვოს იმ ზღაპარს, რომელიც ეფრემოვს ეროვნულ გმირად სახავს და ამიტომ იგი ბეჭდავს, რომ ეფრემოვმა სასამართლოში წამოიძახა პეტლიურას ლოზუნგი: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ უკრაინას"-ო.

როცა ლიუბჩენკო შეეკითხა ეფრემოვს — არის თუ არა თუნდაც ერთი სიტყვა მართალი „დილო"-ს ამ ცნობაში, მან მიუგო: „ყველაფერი ეს სიცრუეა"-ო.

სასამართლო შეუდგა ბრალდებულის მატუშევსკის დაკითხვას. (ადს).

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა აპრილისათვის

მთ. კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81

# კოლექტივიზაციის ფრონტზე მიღწეულ შედეგების განმტკიცებისათვის საჭიროა

**შეურიგებელი ბრძოლა პარტიის დირექტივების ყოველგვარ დამახინჯებასთან**

**ხელმძღვანელობის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესება**

**ყველა ძალების მობილიზაცია თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად, წარმოების და შრომის მოსაწესრიგებლად კოლმეურნეობებში**

## ღარიბ-საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობები ზოგან არ არიან მზად თესვისათვის.--დავეხმაროთ მათ თესლით და გამწევი ძალით, უზრუნველვყოთ მათში სათესი სივრცის გაფართოება

## სას.-სამ. არტელების გადაყვანა საბოლოო წესდებაზე

მოსკოვი, 22 მარტი. საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს მახლობელ დღეებში დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო არტელების გადაყვანა საბოლოო წესდებაზე კოლმეურნეობების წევრებთან მასიური მუშაობის გზით. ამასთან ერთად მთელი ძალღონე მიმართულ უნდა იქნას თესვის ნამდვილ მომზადებისაკენ (ცხენების უზრუნველყოფა საკვებით, ცხენების სათანადოთ მოვლის ორგანიზაცია, მანქანების წესრიგში მოყვანა, მუშა-ხელის, მუშა-საქონლის და მანქანების დაყოფა ბრიგადებად, საცდელი მუშაობა მინდორში).

კოლმეურნეობრივ — კოოპერატიული სისტემის და სამიწადმოქმედო ორგანოების ყველა მუშაკნი, რომელნიც წინააღმდეგობას უწევენ პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, დაუყოვნებლივ უნდა იქნან მოხსნილნი სამუშაოდან და მათ ადგილზე გაიგზავნონ უკეთესი მუშაკები (ადს).

## არც ერთი სას.-სამ. სპეციალისტი კანცელარიებში

### მობილიზაქმნილი სპეციალისტები გამოყენებულ უნდა იქნენ მხოლოდ კოლმეურნეობებში

მოსკოვი, 22 მარტი. საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მიიღო ცნობები, რომ მთელ რიგ რაიონებში სამიწადმოქმედო ორგანოები მობილიზაციაქმნილ სასოფლო-სამეურნეო სპეციალისტებს და სტუდენტებს გზავნიან სამუშაოდ მმართვა-გამგეობის აპარატებში.

საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამობილიზაციო შტაბმა მიწათმოქმედების ყველა ორგანიზაციებს მიმართა დეპეშით, რომელშიაც კატეგორიულ წინადადებას აძლევს არავითარ შემთხვევაში არ იქნას დატოვებული აპარატში სამუშაოდ არც ერთი მობილიზაციაქმნილი სპეციალისტი და სტუდენტი და გამოყენებულ იქნან ისინი მხოლოდ და მხოლოდ კოლმეურნეობებში.

შტაბმა საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს პროკურორს მიმართა თხოვნით პასუხისგებაში მისცეს სამიწადმოქმედო ორგანოების ის ხელმძღვანელნი, რომელნიც მობილიზაციაქმნილ სასოფლო-სამეურნეო სპეციალისტებს აჩერებენ მმართვა-გამგეობის აპარატებში. (ადს)

## კოლმეურნეობების მიწადმოწყობა --დაკვრითი ამოცანაა

ამიერ-კავკასიის მიწადმოქმედების სახალხო კომისარმა და თესვის კამპანიის რწმუნებულის მოადგილემ ამიერ-კავკასიაში ამხ. ერზინკიანმა თესვის ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომისიების რწმუნებულებს, რესპუბლიკანურ მიწსახკომებს და სადგილ-მამულო ორგანოებს დაუგზავნა შემდეგი ცირკულიარი:

„გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მსვლელობიდან სჩანს, რომ ადგილებზე მოსამზადებელი მუშაობა შედარებით გამოცოცხლდა, მაგრამ მუშაობის ცალკე მაჩვენებლები მეტად არადამაკმაყოფილებელია და სასწრაფო ყურადღებას მოითხოვენ.

ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელია ის, რომ მუშაობა კოლმეურნეობათა გამიჯვნისათვის მეტად ნელი ტემპით სწარმოებს, მაშინ, როდესაც კოლმეურნეობათა ტერიტორიების დროზე გამიჯვნის გარეშე, კოლმეურნეობის არსებობა შეუძლებელია, რადგან ტერიტორიის გამიჯვნა წარმოადგენს კოლმეურნეობის მატერიალური ჩამოყალიბების პირველ და ყოვლად აუცილებელ პირობას და ბაზას კოლმეურნეობის წარმოების გაშლისა და სწორი ორგანიზაციისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობათა ტერიტორიის გამიჯვნას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ იწყება პრაქტიკული თესვა, რომელშიაც კოლმეურნეობათა სექტორს მთავარი როლი ეკუთვნის, —გამიჯნულ კოლმეურნეობათა რიცხვი რესპუბლიკებში არ აღემატება კოლმეურნეობების მთელი ფაქტიური რიცხვის ნახევარს, ხოლო ცალკე რაიონებში ნახევრამდისაც ვერ აღწევს. ამრიგად, იმ დროს, როცა კოლმეურნეობებში უკვე იწყებენ თესვას, კოლმეურნეობების საგრძნობმა ნაწილმა არც კი იცის—სად და როგორ უნდა თესოს.

ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია. იგი საფრთხეში აგდებს გაზაფხულის თესვის კამპანიას. ამიტომ თესვის ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომისიების რწმუნებულებს და რესპუბლიკების მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატებს წინადადება ეძლევათ—მიიღონ გადამწყვეტი ზომები იმისთვის, რომ დაუყოვნებლივ და სავსებით იქნას ჩატარებული ყველა გაუმიჯნავ კოლმეურნეობათა ტერიტორიების გამიჯვნა, რისთვისაც უნდა მოხდეს ყველა მიწისმზომელთა და ტეხნიკოსთა მობილიზაცია, გარდა იმ მიწისმზომლების და ტეხნიკოსებისა, რომელნიც მუშაობენ საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიის გამიჯვნაზე.

ეს მუშაობა, როგორც დაკვრითი ამოცანა, ჩატარებულ უნდა იქნას ყოველგვარი დაყოვნების გარეშე და ამ საქმეში გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას ბიუროკრატიზმისა და საქმის აჭიანურების ყოველგვარი შთანასახი.

ამიერ - კავკასიის მიწადმოქმედების სახალხო კომისარი და თესვის ჩამტარებელი კომისიის რწმუნებულის მოადგილე ამიერ - კავკასიაში **ერზინკიანი.**

## დიდი შაბათობა

### (წერილი ზუგდიდიდან)

მდინარე ფიცუ გაზაფხულზე ხშირად გადმოდის ნაპირებიდან და აფუჭებს ნათესებს თეკლათის თემის ყანებში. მოსახლეობა ძლიერ შეწუხებულია ამ მდგომარეობით. უკვე მესამე წელია, რაც ისინი შუამდგომლობენ მაზრის ხელისუფლების წინაშე მდინარის მიმართულების შეცვლაზე უფრო ნაკლებ ზარალიანი მიმართულებით, მაგრამ ამის მოგვარება არ მოხერხდა. კოლმეურნეობა, რომელიც დაარსდა ამ ადგილებზე, კატეგორიულად მოითხოვდა ფიცუს მიმართულების შეცვლას.

მაზრის ხელისუფლებამაც მიიღო საჭირო გადაწყვეტილებანი.

მაგრამ ამ საქმეს სჭირდებოდა დიდი ხარჯები და შრომა.

მარტო ერთი სოფელი ამას ვერ შესძლებდა. გათხრილი იყო ახალი არხი მდინარისათვის ახალი მიმართულების მისაცემად ერთ ნახევარი კილომეტრის მანძილზე. ან ეხლა ან არასოდეს,— ასე დადგა წელს ეს საკითხი.

სოფლის გასაჭირს ყურადღება მიაქცია ქალაქის მშრომელმა მოსახლეობამ და შაბათს, 10 მარტს დილის 7 საათზე ბარებით შეიარაღებული, მუსიკით წინ მიადგა არხის გასაჭრელ ადგილს. მათ შეუერთდნენ სოფლის მშრომელი გლეხები და მუსიკის გრიალით 2000 მუშა ხელი: კაცი, ქალი, მუშა-გლეხი, მოსამსახურე შეუდგნენ მუშაობას—არხის თხრას. მეორე დღესაც, 11 მარტს, ისევ იმავე წესით, ისეთივე ენტუზიაზმით ქალაქის მოსახლეობა გამოვიდა სამუშაოზე. მეორე დღესაც ორი ათასი მუშა-ხელი ძალღონის დაუზოგავად მუშაობდა მდინარის მიმართულების შესაცვლელად.

ამნაირად გაკეთდა დიდი მნიშვნელობის საქმე ისე, რომ თითქმის არაფერი დახარჯულა. გაკეთდა ღირსშესანიშნავი საქმე, რომელმაც საუკეთესო ნაყოფიერი მიწები არგუნა კოლმეურნეობას.

**ბ. უჩანეიშვილი.**

## ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტებისა და ამიერ- კავკ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

### მახინჯი კოლმეურნეობა

გორი, 21 მარტი. (საქ. კორ.). კავთისხევის თემის სოფ. ჩიჩითის კოლმეურნეობის გამგეობამ დაადგინა აუკრძალოს ყველას ღვინის სმა (!!), ამავე გამგეობამ დაადგინა, ვისაც კი საარაყე ქვაბები აქვს ჩამოერთვას და ერთ ადგილზე შეინახოს.

ერთი ღარიბი გლეხი, რომელსაც არ ჰყავდა მუშა-საქონელი, გამგეობამ აიძულა კოლმეურნეობაში შეეყვანა თავისი ერთი სანაშენო ღორი, რომელიც გამგეობამ დაჰკლა და გირვანქობით გაჰყიდა. ასეთ მოქმედების გამო კოლმეურნეობის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით გამგეობა დაუყოვნებლივ იქნა გადარჩეული. ახალ გამგეობაში არჩეული იქნა ღარიბებ და საშუალო გლეხთა ავტორიტეტიანი პირები.

— : —

### წლიური საწარმოო გეგმები გაუგებარია

გორი, 21 მარტი. (საქ. კორ.) მთელ რიგ კოლმეურნეობებში უკვე დამთავრდა კოლმეურცენტრის მიერ გადმოგზავნილი საწარმოო გეგმის ფორმების შევსება. მისი განხილვის დროს გამოირკვა, რომ იგი მეტად ძნელი გასაგებია არა კოლმეურნეობის წევრთათვის, არამედ თვით აგრონომებისა და მოანგარიშეთათვისაც. სოფ. თეძში და ოკამში მოანგარიშემ ვერ გაიგო გეგმის შედგენის გზა-კვალი და თავი დაანება მის შედგენას.

— : —

### ზედმეტი მუშა-ხელი ქალაქის წარმოებას

გორი, 21 მარტი. (საქ. კორ.) მთელ რიგ კოლმეურნეობებში თესვა უახლოეს კვირეებში დამთავრდება. კოლმეურნეობების გამგეობები ამჟამად ადგენენ სეზონურად მომუშავე პირთა ბრიგადებს. მაგ. კასპის ცემენტის ქარხანა სამუშაოზე ღებულობს კოლმეურნეობების მიერ გამოგზავნილ მუშების ბრიგადებს.

— : —

### თესვა ამ დღეებში დამთავრდება

გორი, 21 მარტი. (საქ. კორ.) ახალციხეში წარსულ წელში არსებობდა პატარა კოლმეურნეობა, რომელიც პირველად აერთიანებდა 15 მეურნეს. უახლოეს დროს სოფელი გადავიდა მთლიან კოლექტივიზაციაზე და თავის რიგებში გააერთიანა 120 მეურნეობა. კოლმეურნეობა გავიდა მინდვრად სამუშაოზე. ამ დღეებში დამთავრდება გაზაფხულის ქერის და პურის თესვა და დაიწყება სიმინდის თესვა. კოლმეურნეობა სახნავ ფართობს წარსულ წელთან შედარებით აფართოებს 71 ჰექტარით.

— : —

### შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 15 პროც.

გორი, 21 მარტი. (საქ. კორ.) ქვემო გომის კოლმეურნეობა, რომელიც აერთიანებს 158 კომლს უკვე გადავიდა მინდვრად სამუშაოთ. დღემდის კოლმეურნეობამ მოხნა 100 ჰექტარი მიწა და დათესა 67 ჰექტარი გაზაფხულის ქერი და პური. მუშაობაში წევრებს დიდი სიხალისე ეტყობათ. გუთნეულის უკანასკნელ უღელზე ფრიალებს პატარა წითელი დროშა და გუთნის დედის მხიარული ყიჟინით ახალი ცხოვრების გმირები მედგრად აბრუნებენ მრავალ წლის განმავლობაში მინდვრად ქცეულ მიწებს. მუშა-საქონელს კვებისათვის მიჩენილია გამოცდილი პირები. მუშა-საქონლის საკვები ნორმა ერთი ორად აქვს გადიდებული და ამიტომაა რომ შრომის ნაყოფიერება კერძო მეურნეობასთან შედარებით გაზრდილია 15 პროც., მაგ., თუ ერთი გუთნეული ხნავდა 1200—1300 საჟ. მიწას, ეხლა დღეში ხნავს 1500—1600 საჟ.

— : —

### ხვნა გაძლიერებული ტემპით სწარმოებს

გორი, 22 მარტი. გორის ოლქში მუშაობს 36 ტრაქტორი და 20 ტრიერი. გაწმენდილია 1.605 ტონა თესლი. შეწამლულია 524 ტონა. ოლქში მოეწყო 1 კოლონა, რომელიც 77 ხარისაგან შესდგება. ხვნა გაძლიერებული ტემპით სწარმოებს, დაიხნა 12.000 ჰექტარი. მუშაობს 76 აგრონომი, 17 მიწათ-მომწყობი, 70 აგროტეხნიკოსი და მობილიზაციით გაწვეული 32 სტუდენტი. მიღებულია 1.124 გუთანი, 37 ტრიერი, 157 სათესი მანქანა. მიღებულია აგრეთვე 12 ვაგონი ქერი სათესლედ. დაკონტრაქტებულია 9.931 ჰექტარი სიმინდი, 8.200 ჰექტარი პური და 4.000 ჰექტარი ქერი.

ხვნა დაიწყო 12 მარტს. (ადს).

### მანქანების მიღებას აგვიანდება

ცაგერი, 22 მარტი. (საქ. კორ.). „სოფლის კავშირი" დროზე არ გზავნის საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო მანქანებს. საკრედიტო ამხანაგობის მიერ გამოწერილი გუთნები, სათესი მანქანები და ტრიერები ჯერ არ არის მიღებული. ამის მაგივრად „სოფლის კავშირმა" გამოგზავნა საზაფხულო მანქანები.

— : —

### საგაზაფხულო მუშაობა ქვემო სვანეთში

ცაგერი, 22 მარტი. (საქ. კორ.). სოფ. ლუჯის გლეხობა მთლიანად გადავიდა კოლექტივიზაციაზე ჩოლურის და ლაშხეთის მინდვრებისათვის გლეხობა ტრაქტორს მოითხოვს. „სოფლის კავშირი" არ აჩქარებს მანქანა-იარაღების შემოზიდვას. ქვემო სვანეთში საჭიროა 10 ტრიერი, 15 ფარცხი და სათესი მანქანები. საჭიროა აგრეთვე მიწადმომწყობი და აგრონომი. საერთოდ ქვემო-სვანეთის არტელების მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

— : —

ცაგერი, 22 მარტი. (საქ. კორ.). ამჟამად ქვემო-სვანეთში ექვსი სას.-სამ. არტელია, რომლებშიაც გაერთიანებულია 255 კომლი. არის აგრეთვე 5 მესაქონლეობის არტელი, რომლებშიაც გაერთიანებულია 150 კომლი. მათ განკარგულებაშია 420 ძროხა. მეფუტკრეობის სამ არტელში გაერთიანებულია 60 კომლი. დაიწყო საგაზაფხულო მუშაობა. არტელების წევრები სამუშაოდ გადიან მთელი ასი პროცენტით. სათესლე მასალა შეგროვილია 200 ფუთის გადაჭარბებით.

— : —

### ხვნა სამხრეთ ოსეთში

ცხინვალი. 22 მარტი. (საქ. კორ.) ტყვიავის კოლმეურნეობამ დაამთავრა თავისი რიგების გაწმენდა მერყევი ელემენტებისაგან და შეუდგა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. სამუშაოზე გასულია 9 გუთანი. ბაღების გასხვლა, დარგვა, ახვევა და შეწამვლა, უმეტესად დამთავრებულია. დაიწყო სასუქის გაზიდვა ბაღ-ბოსტნებში და მათი დაბარვა. მდინარე ლიახვის ნაპირების გასამაგრებლად გაყვანილია მუშა-ხელის საკმაო რაოდენობა. კოლექტივში დარჩენილ წევრთა სულისკვეთება კარგია.

### მოხნულია მიწების 48 პროც.

ახალსენაკი, 22 მარტი. (საქ. კორ.). საგაზაფხულო სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს. მოხნულია სათესი ფართობის 48 პროც. კოლექტივები ორგანიზაციულად მტკიცდებიან, რაც სჩანს სამუშაოზე ერთსულოვნად გამოსვლიდან. სათესლე მასალის უმეტესი ნაწილი განაწილებულია. ზოგან თესვა დაიწყო, ხოლო პირველ აპრილიდან ყველგან დაიწყება.

— : —

### მოანგარიშეები კოლმეურნეობათათვის

სტალინისი, 22 მარტი. 22 მარტს გამოშვებულ იქნა და გაიგზავნა კოლექტივებში სამუშაოდ კოლმეურნეობათა რაიონულ კავშირთან არსებულ მოანგარიშეთა კურსების მსმენელები. კურსები დაამთავრა 40 კაცმა.

— : —

### კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმები

ოზურგეთი, 22 მარტი ყველა კოლმეურნეობებში ამთავრებენ საწარმოო გეგმების შედგენას. გეგმების შედგენაში მონაწილეობას იღებენ აგრონომები. (ადს).

— : —

### ჩაის პლანტაციების გაშენება

ოზურგეთი, 21 მარტი. გეგმის მიხედვით, ოზურგეთის მაზრაში 15 აპრილისათვის ჩაით უნდა დაითესოს 1.650 ჰექტარი. აქამდის დასათესად მზადაა მხოლოდ 1.155 ჰექტარი, ე. ი. 70 პროცენტი. უკვე დაითესა 575 ჰექტარი. პლანტაციები თესლით სავსებით უზრუნველყოფილნი არიან.

ნასაკირალის და ლაითურის ჩაის კოლმეურნეობებს, გეგმის მიხედვით, მიმდინარე წელს უნდა გაეშენებიათ 950 ჰექტარი ჩაი, ნამდვილად კი ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობაში დასათესად მზადაა 150 ჰექტარი, ხოლო ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში — 15 ჰექტარი. (ადს).

— : —

### გურიანთის კოლექტივი შეუდგა მუშაობას

ოზურგეთი, 22 მარტი. გურიანთის კოლექტივის წევრები პრაქტიკულად შეუდგნენ საგაზაფხულო სას.-სამ. მუშაობას. 700 მუშა-ხელიდან გუშინ სამუშაოზე გამოვიდა 680 კაცი. დაბარეს 2 ჰექტარი ჩაის პლანტაციის გასაშენებელი მიწა, სიმინდისათვის მოხნეს 4 ჰექტარი. დღეს კოლექტივის წევრები მთელი 100 პროცენტით გამოვიდნენ სამუშაოზე და შეუდგნენ ჩაის პლანტაციების შემოღობვას. ხვნა-თესვა დაიწყება 22 მარტს

### ალმაშფოთებელი მოვლენა

ქუთაისი, 20 მარტი. სადგურ კოპიტნარში ორ კვირაზე მეტია გაუტვირთავად დგას ვანის რაიონის კოლმეურნეობათა პირუტყვის საკვებად მიღებული 8 ვაგონი თივა, ხოლო საკვების უქონლობის გამო რაიონში ადგილი ჰქონდა საქონლის დახოცვის შემთხვევებს. (ადს).

— : —

### კოლმეურნეობათა წმენდა

ქუთაისი, 20 მარტი. ოლქში დაიწყო კოლმეურნეობათა წმენდა. სახჩერის რაიონის არგვეთის თემის კოლმეურნეობიდან, რომელიც 1.300 მეურნეობას და ცხრა სოფელს აერთიანებს, გამორიცხულ იქნა 200 მეურნეობა: ყოფილი აზნაურების, მამასახლისების, მენშევიკთა კომისრების, კულაკებისა და მათი დამქაშების, გამორიცხულთა შორის არიან მთელ ოლქში ცნობილი ყოფილი მემამულეები კურცხალიები და მაჭავარიანები.

ღარიბი და საშუალო გლეხები დაჟინებით მოითხოვდნენ კოლმეურნეობის გაწმენდას ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან. (ადს).

— : —

### ნაადრევი ხვნა

ქუთაისი, 20 მარტი. 20 მარტისათვის კოლმეურნეობებში ნაადრევად მოხნულია 45.000 ჰექტარი, 126.300 ჰექტარიდან. ქვემო ზოლში მოხნულია მინდვრების 80 პროცენტი, ზემო ნაწილში ხვნა ამ დღეებში დაიწყება. (ადს).

— : —

### ნდობა ვერ გაამართლეს

ქუთაისი, 22 მარტი. ადგილობრივი გაზეთი „ლენინის გზით" 20 მარტის ნომერში ამხელს ქვედა საფეხურის ზოგიერთი მუშაკის საქციელს: გორის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე არავითარ მონაწილეობას არ იღებდა სასოფლო - სამეურნეო კამპანიაში. მან განკარგულება მისცა კოლმეურნეობის წევრებს — აძლიონ მას და მის თანამშრომლებს მზამზარეული სადილები და ვახშმები. კოლმეურნეობის წევრები ორი კვირის განმავლობაში ასრულებდნენ სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნას, სანამ საქმეში არ ჩაერია საოლქო ხელისუფლება.

სოფელ უხუთში სათესლე მასალის შეგროვებაში სოფლის საბჭო მონაწილეობას არ იღებდა. საბჭოს თავმჯდომარე ეხმარებოდა კულაკებს მათი მიწების გაყიდვაში. სოფელ მუხიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე და პარტუჯრედის მდივანი მუშაობენ კულაკების სასარგებლოდ; მათ თავიანთი მიწები კოლმეურნეობაში არ შეუტანიათ. ისინი აიძულებენ კოლმეურნეობათა წევრებს გააერთიანონ კარმიდამოს მიწები.

დვალიშვილების სოფლის საბჭოს არ განუხილავს საკითხი სასოფლო - სამეურნეო კამპანიის შესახებ. საბჭოს 30 წევრი არჩევის შემდეგ არც ერთხელ არ დასწრებია საბჭოს სხდომას. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ფარცხანაყანების კოლმეურნეობაში შედიან შავსიელები — კულაკური ელემენტები, რომელნიც ძირს უთხრიან კოლმეურნეობას. (ადს)

— : —

### გაზაფხულის თესვის კამპანიის მიმდინარეობა

ახალციხე, 21 მარტი. ახალქალაქის მაზრაში 20 მარტისათვის დაკონტრაქტებული იყო სულ 6.167 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.220 ჰექტარისა. აქედან პური დაკონტრაქტებულია 3.393 ჰექტარი, ქერი — 2.774 ჰექტარი. დანარჩენი კულტურების დაკონტრაქტება ჯერ არ მომხდარა. დაარსდა 56 კოლექტიური მეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებულია 5.143 მეურნეობა, 20.143 ჰექტარი სახნავი მიწა და 13.428 სული საქონელი. კოლმეურნეობებში შეგროვდა 222 ტონა თესლი. გაიწმინდა 157 ტონა თესლი. შეწამვლა სუსტად მიმდინარეობს. შეწამლულია მხოლოდ 10 ტონა. გეგმის თანახმად, შემოტანილ უნდა იქნას 345 გუთანი, 10 კულტივატორი, 25 სათესი მანქანა და 20 ტრიერი. უკვე მიღებულია 420 გუთანი, 17 სათესი მანქანა, 20 ტრიერი. გარდა ამისა, მაზრაში არის 1.361 გუთანი, 41 კულტივატორი, 22 სათესი მანქანა და 26 ტრიერი.

— : —

### დამკვრელი ბრიგადები

სოხუმი, 22 მარტი. აქ მიღებული ცნობით, აფხაზმა სტუდენტებმა, რომელნიც მოსკოვში სწავლობენ, თავიანთი თავი გამოაცხადეს მობილიზაციაქმნილად კოლმეურნეობათა მშენებლობისათვის. სტუდენტები აწყობენ სამ დამკვრელ ბრიგადას. აღნიშნული ბრიგადები საზაფხულო არდადეგების დროს საქართველოს კომპარტიის (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის და კოლმეურნეობათა ცენტრის განკარგულებაში იქნებიან (ადს).

## აგრო-ინდუსტრიალური კომბინატი დასავლეთ საქართველოში

### კომბინატის მდგომარეობა და საზღვრები

სუბტროპიკული აგრო - ინდუსტრიალური კომბინატი ეწყობა დასავლეთ საქართველოში (კოლხიდაში). კომბინატის ტერიტორია შეიცავს სენაკის მაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს და ყოფილ ქუთაისის მაზრის დასავლეთ ნაწილს. აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან კომბინატს საზღვრავს მდინარე რიონი, დასავლეთიდან სოფ. საქოჩაკიძეო, ქვალონი, მდ. ცივა, ნაქალაქევი, მთაგორიანი ზოლი ცხენისწყლამდე. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან კომბინატის საზღვარი მდებარეობს სოფ. ნახახულევისა და საწულუკიძეოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეს სოფ. წყალტუბომდე, საიდანაც საზღვარი გადადის ქუთაისისაკენ.

კომბინატისათვის გამოყოფილი ადგილის სივრცე უდრის დაახლოებით 132.000 ჰექტარს, რომელიც ამჟამად დანაწილებულია შემდეგ ნაირად: სახნავ-სათესი—85.000 ჰექტარი, სამოსახლო—16.000—17.000 ჰექტარი, გზები—5 ათასი ჰექტარი, ტყე, მდინარეები, ჭაობები და სხვა უვარგისი მიწები—25.000 ჰექტარი. ხსენებული რაიონი თავისი ნესტიანი სუბტროპიკული კლიმატიური პირობებით იშვიათ გამონაკლისს შეადგენს, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე ამიერ-კავკასიაშიაც. აქ მოცემულია სუბტროპიკებისა და სამხრეთის კულტურების განვითარების სრული შესაძლებლობა.

### რაიონის სასოფლო მეურნეობა ამჟამად

აგრო-კომბინატის რაიონში ამჟამად მეურნეობის მთავარ დარგს შეადგენს მემინდვრეობა, უმთავრესად ითესება სიმინდი, ღომი და ძაძა. მესაქონლეობა რაიონში წარმოადგენს დამხმარე დარგს. მსხვილფეხა მესაქონლეობა აქ ატარებს მხოლოდ სამომხმარებლო ხასიათს. მეღორეობასა და წვრილფეხა მესაქონლეობას კი მიღებული აქვს სასაქონლო ხასიათი. რაიონში მებრეშუმეობას ეწევა მოსახლეობის 50 პროც. თითოეული მეურნეობის წლიური სამთლიანო შემოსავალი რაიონში ამჟამად უდრის 560 მანეთს. აქედან სასოფლო მეურნეობის შემოსავალი უდრის დაახლოებით 400 მანეთს (300 მანეთი მემინდვრეობის და 100 მანეთი მესაქონლეობის შემოსავალი). თითოეული ჰექტარი მიწის შემოსავალი ამჟამად არ აღემატება 160 მანეთს.

### კომბინატის ძირითადი მიზნები

სუბტროპიკული აგრო-კომბინატის მოწყობის ძირითად მიზანს შეადგენს ამ რაიონის განსაკუთრებული პირობების მაქსიმალურად გამოყენება მთელი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიზნებისათვის. ამიტომ მთავარ კულტურებს, რომლებიც განსაზღვრავენ რაიონის მეურნეობის მთელ სტრუქტურას — წარმოადგენენ სუბტროპიკულ-საფეიქრო მცენარეები და, პირველ რიგში, რამის კულტურა. რომლის გავრცელებაც შესაძლოა მხოლოდ დასავ. საქართველოში, საგრძნობი ადგილი ეთმობა აგრეთვე სხვა დანარჩენ ტეხნიკურ მცენარეებს. კომბინატში საპატიო ადგილი დაეთმობა მებოსტნეობასაც, ვინაიდან კლიმატიური პირობების გამო მას შეუძლია მთელი წლის განმავლობაში მიაწოდოს საკავშირო ბაზარს ნაადრევი და საზამთრო ხილი და ბოსტნეული. დიდი ყურადღება მიექცევა მებრეშუმეობასა და მეფრინველეობას, რომლებსაც რაიონის მეურნეობაში უკვე მოპოვებული აქვთ საგრძნობი ხვედრითი წონა და რომლების განსავითარებლად აქ მრავალი ხელსაყრელი პირობაა. მესაქონლეობის დანარჩენ დარგებს აქ არა აქვთ განვითარების დიდი პერსპექტივები. განზრახულია ამ დარგების შედარებით შეკუმშვა (ამასთანავე იწარმოებს საქონლის ხარისხისა და ჯიშის გაუმჯობესება). ძროხისა და ხარის ადგილზე გათვალისწინებულია კამეჩისა და განსაკუთრებით ფურ-კამეჩის გამრავლება, ვინაიდან ფურ-კამეჩი იძლევა გაცილებით უკეთეს რძეს და როგორც გამწევ ძალას შეუძლია ორი ხარის შეცვლა. შემცირებული იქნება აგრეთვე სიმინდის კულტურაც, რომლის ადგილსაც დაიჭერენ უფრო სასარგებლო და ძვირფასი კულტურები.

### საფეიქრო და სხვა ტეხნიკური მცენარეულობა

სუბტროპიკულ აგრო-კომბინატის რაიონში ყველაზე მეტად გაშენებული იქნება რამის კულტურა, რომელიც საფეიქრო მრეწველობისათვის იძლევა ყველაზე ძვირფასს და მაღალი ხარისხის ბოჭკოს. რამის ბოჭკო ორჯერ და სამჯერ უფრო მაგარია, ვიდრე ბამბის ბოჭკო. ამასთანავე რამის ბოჭკოს სიგრძე აღწევს 150—200 მილიმეტრს, ბამბის ბოჭკოს სიგრძე კი საერთოდ არ აღემატება 40—50 მილიმეტრს, ხოლო ამიერ-კავკასიის ბამბის—25—28 მილიმეტრს.

გარდა ამისა, რამის კულტურის მოსავალი ერთ ჰექტარზე უდრის 6—10 ცენტნერს, ბამბა კი ამიერ-კავკასიაში იძლევა ჰექტარზე არა უმეტეს 0,25 ტონისა, ხოლო საბჭოთა კავშირის დანარჩენ რაიონებში—ნახევარ ტონამდე. ამრიგად ნათელია, თუ რა უპირატესობა აქვს საფეიქრო მრეწველობისათვის რამის კულტურას, რომელსაც კომბინატის ტერიტორიაზე დაეთმობა 50.000 ჰექტარის სივრცე.

რამი დასავლეთ საქართველოში პირველად გადმოუტანიათ 50 წლის წინეთ. როგორც სჩანს, ეს კულტურა სრულიად უყურადღებოთ ყოფილა მიტოვებული, მაგრამ მან აქამდე მოაღწია. ზუგდიდის მაზრაში წელს აღმოჩენილ იქნა ამ კულტურის 6.000 ჩირგვი, რაც ნათლად მოწმობს, რომ კომბინატის რაიონი რამის კულტურის გავრცელება-გაფართოებისათვის ხელსაყრელ რაიონს წარმოადგენს. გარდა ზემოხსენებულ უპირატესობისა, რამის ღირსებას შეადგენს ის, რომ რამის მოსავლიდან მრეწველობა გამოიყენებს მხოლოდ 20 პროცენტს, დანარჩენი მასა კი გამოყენებული იქნება საქონლის საკვებად და მიწის სასუქად (1 ჰექტარი რამის ნათესი იძლევა 2 ათას ფუთ მოსავალს).

რამის კულტურის გარდა კომბინატის ტერიტორიაზე გაშენებული იქნება ახალ ზელანდიის სელი (საფეიქრო კულტურა), რომელსაც დაეთმობა 10.00 ჰექტარი. ეს მცენარე შეგუებულია დასავლეთ საქართველოს კლიმატთან. ახალ ზელანდიის სელი 1 ჰექტარზე იძლევა 15 ტონამდე ნედლ მასალას, რომლიდანაც მრეწველობა მიიღებს 20 პროც. ბოჭკოს. ამ ბოჭკოდან მზადდება მაღალი ხარისხის ბაგირი (კანატი) და სხვ. დეფიციტიანი საქონელი, რომელიც დღემდე საზღვარგარეთიდან შემოდის საბჭოთა კავშირში.

გარდა ამისა, ბამბუკს დაეთმობა 2.000 ჰექტარი, ევკალიპტის აკაციას—1.000 ჰექტარი, ტუნგის ხეს—10.000 ჰექტარი, ზეთისხილის ხეს—1.000 ჰექტარი, ეფირის მომცემ მცენარეებს—5 ჰექტარი და სხვ.

### ბაღ-ბოსტნეები

მებაღეობა კომბინატში გათვალისწინებულია ორ ჯგუფ კულტურათა მიხედვით — ნაადრევ-კურკოვან ხილის ნარგაობანი (ატამი, ბალი, ალუბალი, ქლიავი) და სუბტროპიკული ხეხილი—იაპონური ხურმა, იაპონური მუშმულა, „ფეიხოია" და სხვ. მეხილეობას დაეთმობა სულ 3.500 ჰექტარი. აქედან 2.500 ჰექტარი, დაკავებული იქნება წმინდა ხილის ნარგაობით, ხოლო 1.000 ჰექტარზე ხეხილთან ერთად დარგული იქნება ზეთის-ხილის მცენარე. მებოსტნეობის კომბინატში ეთმობა 3.600 ჰექტარი მიწა. მებოსტნეობის უპირატესობა ამ რაიონში იმაში მდგომარეობს, რომ სუბტროპიკულ კლიმატის გამო აქ შესაძლო ხდება წელიწადში სამი მოსავლის აღება. 3.000 ჰექტარი მიწა გამოყოფილი იქნება სეზონურ ბოსტნებისათვის, ხოლო 600 ჰექტარი მრავალწლოვან ნარგაობათათვის. მებოსტნეობის პროდუქციის დიდი ნაწილი ნედლად გაიტანება საკავშირო ბაზარზე, ხოლო ნაწილი გადამუშავდება ადგილობრივ.

### მემინდვრეობა

მემინდვრეობას კომბინატში დაეთმობა — 30.000 ჰექტარი მიწა. აქ შემოღებული იქნება თესლბრუნვა, რომლის გატარების დროსაც მაქსიმალური ყურადღება მიექცევა სპეციფიკურ სუბტროპიკულ ტეხნიკურ კულტურებს, როგორიც არის არახისი და ძაძა. არახისით და ძაძით დათესილი იქნება 15 ათასი ჰექტარი. არახისი დაითესება ცალკე, ხოლო ძაძა—სიმინდთან ერთად. სიმინდისათვის (ძაძასთან და ლობიოსთან შერევით) გამოყოფილი იქნება 10.000 ჰექტარი, ე. ი. სახნავად გამოსადეგ მიწების 8 პროც.; ეხლა კი სიმინდს უკავია გამოსადეგი მიწების თითქმის 90 პროც.

სიმინდის თესვის ასეთი შემცირება იმით არის ნაკარნახევი, რომ ეს სუბტროპიკული რაიონი, (რომლის მსგავსიც კავშირში არ მოიპოვება) მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მრეწველობისათვის საჭირო დეფიციტიანი ნედლეულის დამზადების გასაძლიერებლად.

### მებრეშუმეობა

კომბინატის რაიონს მებრეშუმეობის დარგში ამჟამად საპატიო ადგილი უკავია. „საქართველოს აბრეშუმი"-ს ცნობით, წელს ამ რაიონში დარიგდება 25 ათასი კოლოფი აბრეშუმის თესლი, ე. ი. თითოეულ მეურნეობაზე მოდის დაახლოებით 0,5 კოლოფი. ინდივიდუალურ მეურნეობათა არსებობის პირობებში მებრეშუმეობის მეტი განვითარება ამ რაიონში თითქმის შეუძლებელია. მეურნეობათა განსაზოგადოების შემდეგ კი შესაძლო იქნება მებრეშუმეობის რაციონალურად დაყენება და მაქსიმალური მექანიზაცია.

მებრეშუმეობის განვითარების ძირითად პირობას შეადგენს თუთის ფოთლის მარაგის გადიდება. ამჟამად რაიონში არსებული თუთის ნარგაობა გამოყენებულია მაქსიმალურად. თუთის დიდი ხეების გაშენება მოითხოვს დიდ დროს, ეს ხე ნაყოფს იძლევა მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ. ამიტომ განზრახულია არა ხეების, არამედ თუთის მეორე ჯიშის ჩირგვების გაშენება, რომელიც საკვებს იძლევა მეორე წელიწადს. ასეთი ჩირგვების პლანტაცია გაშენებულ იქნება 2.000 ჰექტარის სივრცეზე. ამის შემდეგ მებრეშუმეობა 25 ათას კოლოფ თესლიდან გაფართოებული იქნება 75 ათას კოლოფამდე, ხოლო მებრეშუმეობის პროდუქცია აყვანილ იქნება 3.75 მილიონ კილოგრამამდე და მებრეშუმეობის წლიური შემოსავალი მიაღწევს 5,6 მილიონ მანეთს. მებრეშუმეობის მთელი პროდუქცია სასაქონლოა და გადამუშავებული იქნება ადგილობრივ საწარმოებში, რომლების გაფართოებაზედაც დაიხარჯება 2 მილიონ მანეთამდე.

### მეფრინველეობა

მეფრინველეობა, ისევე როგორც მებრეშუმეობა, შეადგენს რაიონის მეურნეობის ერთ-ერთ გავრცელებულ დარგს. ამ რაიონში მეფრინველეობა წინადაც ფართოდ იყო გავრცელებული. მეფრინველეობის პროდუქცია საღდებოდა როგორც რუსეთის, ისე უცხოეთის ბაზრებზე. კომბინატში მთავარი ყურადღება მიექცევა მეფრინველეობის კულტურულად დაყენებას და ჯიშიან ფრინველის მოშენებას. სულ განზრახულია 200.000 ფრთა ჯიშიანი ფრინველის მოშენება, რომელიც წლიურად მოგვცემს 20 მილიონამდე კვერცხს. აქედან 2.250.000 ცალი გადაიდება ინკუბაციისათვის, ხოლო 17,5 მილიონი ცალი სასაქონლოდ, რომლის მეტი ნაწილი (დაახლოებით 10 მილიონი ცალი) გამოყოფილი იქნება საექსპორტოდ. ინკუბაციის წესით ყოველწლიურად მივიღებთ 1.9 მილიონ წიწილას. მეფრინველეობას კომბინატში მიეცემა მსხვილი სამრეწველო მეურნეობის ხასიათი. ფრინველის სადგომები და ინკუბატორები მოეწყობა კოლმეურნეობათა ჯგუფური განაერთიანებით, რომლებიც სანაშენო ფრინველს მიაწვდიან კოლმეურნეობებს. მეფრინველეობის პროდუქციის გადამუშავება და საბაზროდ გამზადება იწარმოებს სპეციალურ ინდუსტრიალურ საწარმოებში.

### მესაქონლეობა

1929 წელში შეგროვილ ცნობების მიხედვით, რაიონში ირიცხებოდა 24.000 ძროხა და 4.000 ფურ-კამეჩი. ვინაიდან კამეჩი მეტად შეთვისებულია ამ რაიონის ბუნებრივ პირობებთან, იძლევა კარგი ხარისხის რძეს და ამავე დროს თამამად იცვლის ერთ უღელ ხარის ადგილს, როგორც გამწევი ძალა—განზრახულია ძროხების რაოდენობის თანდათანობით შემცირება და ფურ-კამეჩების რაოდენობის გადიდება. ფურ-კამეჩების ჯოგი აყვანილი იქნება სულ 30.000 სულამდე. თითოეული ფურ-კამეჩი წელიწადში მოიწველის 20 ცენტნერ რძეს, რაც წლიურად მოგვცემს დაახლოებით 6 მილიონ მანეთს. კომბინატის რძის ნაწარმოები მთლიანად დაიხარჯება ადგილობრივ. ბაზარზე გაიტანება მხოლოდ ყველი.

აგრო-კომბინატის რაიონში ამჟამად საკმაოდ განვითარებულია მეღორეობა, რომელიც საგრძნობ სასაქონლო პროდუქციას იძლევა. კომბინატის მეურნეობის სპეციალიზაციასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია მეღორეობის ხვედრითი წონის შემცირება. მიუხედავად ამისა, გათვალისწინებულია ღორის ჯიშის გაუმჯობესება შეჯვარების გზით და ჯიშიანი ღორების გამრავლება. სულ კომბინატში მოეწყობა 5 სადგომი. კომბინატში მოშენებული იქნება 5.000 სული ჯიშიანი ღორი. მეღორეობის წლიური პროდუქცია ნავარაუდევია 875 ათასი მან. რაოდენობით. მეღორეობას კომბინატში ექნება წმინდა სამომხმარებლო ხასიათი.

### მესაქონლეობისა და მცენარეულობის პროდუქცია

კომბინატის სასოფლო მეურნეობის წლიური პროდუქცია ნავარაუდევია 117.560.000 მანეთის რაოდენობით; აქედან მცენარეულობის [illegible] 101.875.000 მანეთის ღირებულებით, ხოლო მისი სასაქონლო ნაწილი — 92.940.000 მანეთის რაოდენობით. მესაქონლეობის მთელი პროდუქცია უნდა გამოიხატოს 15.685.000 მანეთში, მისი სასაქონლო ნაწილი კი 7.370.000 მანეთში. კომბინატის მთელი სასაქონლო პროდუქცია გათვალისწინებულია 100.110.000 მანეთის ღირებულებით.

ამჟამად კომბინატის რაიონის თითოეული ჰექტარის შემოსავალი არ აღემატება 160 მანეთს. გეგმით გათვალისწინებულ მეურნეობის რეკონსტრუქციის შემდეგ კი თითოეული ჰექტარის შემოსავალი აყვანილ იქნება 988 მანეთამდე.

### მუშა-ხელის ბალანსი

ინტენსიური მეურნეობის მოწყობის საქმეში ერთი მთავარი ფაქტორი არის მუშა-ხელის მარაგი, რომელიც კომბინატის რაიონში უდრის (დასასვენებელი და ავდრიანი დღეების გამოკლებით) 23.587.200 კაც-დღის. გეგმით გათვალისწინებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის კი წლიურად საჭიროა დაახლოებით 13,5 მილ. კაც-დღე. ამრიგად, მუშა-ხელის ნაკლებობას კომბინატში ადგილი არ ექნება. ხოლო ზედმეტი მუშა-ხელი (10 მილიონამდე კაც-დღე) ნაწილობრივად გამოყენებული იქნება პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში.

### კომბინატის მოსაწყობად საჭიროა ძირითადი ღონისძიებანი

კომბინატის ძირითად ამოცანას შეადგენს მარცვლეულის (უმთავრესად სიმინდის) რაიონის გარდაქმნა მთლიან განსაზოგადოებულ სამეურნეო კომპლექსად, სადაც ტეხნიკა და სას.-სამეურნეო წარმოება დაყენებულ უნდა იქნეს უმაღლეს საფეხურზე და სადაც ტეხნიკურმა და სუბტროპიკულმა კულტურებმა უნდა მიიღონ მაქსიმალური სპეციალიზაცია. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა მთელი რიგი სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ჩატარება, რომელთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს კომბინატის ტერიტორიის მოწყობას. კომბინატის მოწყობის გამო რაიონის მიწების მთელი ფონდი განსაზოგადოებულია, აქ საჭირო არ იქნება ჩვეულებრივი მიწადმოწყობა. კოლმეურნეობათა შორის წარმოებული მიწად მოწყობა დამთავრდება მოკლე ხანში და შემდეგ საჭირო იქნება მიწების მოწყობა ცალკე კულტურათათვის (დარაიონება), თესლთბრუნვისათვის, მიწების გამოყოფა საზოგადოებრივ საჭიროებათათვის, გზებისათვის და სხ.

კომბინატის მთავარი მასივი მდებარეობს მდინარეების ხეობებში, რომლებსაც წყალდიდობის დროს დიდი ზიანი მოაქვთ მეურნეობათათვის. ამიტომ დაჩქარებით უნდა დაიწყოს მდინარე რიონის და განსაკუთრებით ცხენის-წყლის ნაპირების გამაგრება. ამასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის ტყლით, კირით და სილით გამოხმობრებას, რომ მისი ნაყოფიერება აყვანილ იქნას სასურველ დონემდე.

რაიონის სასაქონლო მეურნეობის ზრდასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა გზათა მშენებლობას და საჭირო ხდება როგორც არსებული გზების კაპიტალური შეკეთება, ისე მთელი რიგი ახალი გზატკეცილების და სასოფლო გზების გაყვანა. ამასთანავე საჭირო იქნება ნაოსნობის მაქსიმალურად განვითარება. კომბინატის სასოფლო მეურნეობის მაქსიმალური ინტენსიფიკაციის მისაღწევად საჭიროა სოფლის მეურნეობის ზედმიწევნითი მექანიზაცია, რა მიზნითაც კომბინატში უნდა იმუშაოს 274 ტრაქტორმა. საჭირო იქნება აგრეთვე მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღი.

### ელექტროფიკაცია

აგრო-კომბინატის რაიონის ელექტროფიკაციას აადვილებს ის გარემოება, რომ ეს რაიონი მდებარეობს ორ მძლავრ ჰიდრო-ელსადგურებს შორის, რომლების ელექტრო-გამტარი ხაზი გადის კომბინატის ტერიტორიაზე. ამ რაიონში ელექტრო ენერგია გამოყენებული იქნება როგორც განათებისათვის (განათებული იქნება 70 სოფელი), ისე აგრო-კომბინატის სხვადასხვა წარმოებებისათვის.

### კაპიტალური დაბანდებანი და ფინანსების მიწოდება კომბინატისათვის

აგრო-ინდუსტრიალური კომბინატის კაპიტალური დაბანდებათა ჯამი უდრის 124 მილიონ მანეთს. აქედან საერთო ხასიათის ხარჯები შეადგენს 14,7 მილიონ მანეთს, ინდუსტრიალურ აღმშენებლობისა და მცენარეულობის გაშენებისათვის საჭირო ხარჯები 92 მილიონ მანეთს, ხოლო მესაქონლეობის განსავითარებლად საჭირო ხარჯები 17,6 მილიონ მანეთს.

კომბინატის მშენებლობისათვის გათვალისწინებულ ხარჯებიდან (124 მილიონი მანეთი) 57 მილიონი მან. დაფარული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის შრომითა და ფულადი სახსრებით, ხოლო 67 მილიონი მანეთი გაწეული იქნება სახელმწიფოს მიერ.

### რა სამეურნეო ეფექტს მოგვცემს კომბინატი

ის დიდი თანხები, რომლების დაბანდებაც გათვალისწინებულია აგრო-ინდუსტრიალურ კომბინატში—მთლიანად ანაზღაურებული იქნება იმ სამეურნეო ეფექტით, რომელსაც მისგან მივიღებთ.

მეურნეობის მაქსიმალური სპეციალიზაციისა და სუბტროპიკულ და ტეხნიკურ კულტურათა განვითარების გამო კომბინატის პროდუქცია მიიღებს მაღალ სასაქონლო ხასიათს. კომბინატის მთელი პროდუქციის 86 % იქნება წმინდა სასაქონლო პროდუქცია. ამასთან ერთად სასაქონლო პროდუქციის მთავარი ნაწილი მოცემული იქნება სამრეწველო ნედლეულის სახით. კომბინატის სამრეწველო ნედლეულის პროდუქცია გათვალისწინებულია 91.455.000 მან. რაოდენობით. აქედან საფეიქრო ნედლეული შეადგენს 56 მილიონ მანეთს.

## გამოვასწოროთ შეცდომები

ამჟამად წერა, ლაპარაკი და დადგენილებების გამოტანა და გატარება გვიხდება ჩვენი მუშაობის ნაკლისა და დეფექტების შესახებ. ბოლშევიკური თვითკრიტიკით შეიარაღებულნი მოურიდებლად ვხდით ფარდას და ვამჟღავნებთ ყველა იმ შეცდომებსა და გადამახინჯებებს, რომლებიც მთელ რიგ რაიონებში იქნა დაშვებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გატარებასთან დაკავშირებით.

პარტ-ორგანიზაციებს, ცალკე მუშაკებსა და პრესას აქვთ უკვე მიცემული მთელი რიგი სრულიად გარკვეული მითითებანი და დირექტივები ამ შეცდომების შესახებ: „ვის ესაჭიროება ეს დამახინჯება, ეს ჩინოვნიკური ბრძანებლობა საკოლმეურნეო მოძრაობაში, ეს არა საკადრისი მუქარა გლეხების მიმართ? არავის, ჩვენი მტრების გარდა. რის გამოწვევა შეუძლია ამ დამახინჯებას? ჩვენი მტრების გაძლიერება და საკოლმეურნეო მოძრაობის იდეისათვის სახელის გატეხა. განა ცხადი არ არის, რომ ამ დამახინჯებათა ავტორები, რომელთაც თავი მოაქვთ „მემარცხენეებათ", სინამდვილეში წყალს ასხამენ მემარჯვენე ოპორტუნიზმის წისქვილზე".

„ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია, ჩვენთვის დაბრკოლება არ არსებობს" (აქ ლაპარაკია უპასუხისმგებლო ელემენტების განწყობილებაზე).

„აქედან გამომდინარეობს ჩვენი პრესის ამოცანა: სისტემატიურად ამხილოს ეს და ამის მსგავსი ანტი-ლენინური განწყობილება".

„აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა—გადამჭრელი ბრძოლა გაუმართოს ამ საშიშარ და საქმისათვის საზიანო განწყობილებას და განდევნოს ისინი პარტიიდან".

ზემოთ მოყვანილი, ჩემ მიერ ხაზგასმული მითითებანი და დირექტივები მოცემულია ამხ. სტალინის უკანასკნელ წერილში „თავბრუდახვევა წარმატებისაგან".

ამავე საგანზე ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 1930 წ. 9 მარტის დადგენილებაში (იხ. 11 მარტის „კომუნისტი") სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი: „ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ გლეხების ღარიბი და საშუალო მასების შემჭიდროება პარტიის პოლიტიკის ირგვლივ და კულაკების იზოლიაცია მთელ რიგ რაიონებში დღემდე ფერხდება იმ პარტიული ორგანიზაციების უხეში შეცდომებით, რომელნიც ადმინისტრატიულ ზომებს მიმართავენ, არა სერიოზულად ეპყრობიან კოლექტივიზაციას, არღვევენ ს. კ. პ. (ბ) ც. კ.-ს დირექტივებს, რაც კერძოდ, გარკვეული იყო ამხ. სტალინის წერილში „თავბრუდახვევა წარმატებისაგან" და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დირექტივებს (6 თებერვლის თარიღით).

საჭიროა მახლობელ დღეებში ცალკე რაიონებში მთელი ენერგიით გამოსწორებულ იქნას აქ საფრთხე პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მოწყვეტისა ღარიბ და საშუალო მასებისაგან, პარტიული ხელმძღვანელობის დაკარგვა და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩაშლა".

„ეს დამახინჯებანი გამოსწორებულ უნდა იქნან გაშლილი თვითკრიტიკით პრესაში" და სხვ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში (8 მარტის თარიღით) მოცემულ მითითებებსა და დირექტივებს შორის ვკითხულობთ: "ამასთან ერთად ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ მთელ რიგ რაიონებში ალაგა ჰქონდა და კიდევ აქვს ჩვენი საკოლმეურნეო პოლიტიკის უხეშ დამახინჯებას".. და სხვა.

დადგენილება აქაც იძლევა გადაჭრილ დირექტივებს, როგორც მემარჯვენე გადახრების, ისე „მემარცხენე" გადახვევების წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის წარმოების აუცილებლობის შესახებ.

ამრიგად, ზემოდ მოყვანილი მითითებანი და დირექტივები ერთის მხრით დაშვებულ შეცდომებსა და პარტიის პოლიტიკის დამახინჯებას აშკარა და უდავო ფაქტად აღიარებს, ხოლო მეორეს მხრით ავალებს ყველა ჩვენგანს პარტიასთან ერთად გაუმართოს სასტიკი ბრძოლა ხსენებულ შეცდომებსა და გადამახინჯებებს, იმ მიზნით, რომ ისინი საბოლოოდ აღმოფხვრილ იქნან ახლო მომავალში. და ამისათვის პირველ ყოვლისა საუკეთესო საშუალება არის ბოლშევიკური თვითკრიტიკა და პრესა. ამას გარდა უნდა ვსთქვათ ისიც, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საერთო ფრაზებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და მცირედად მაინც უნდა მოვიმარჯვოთ ანალიზის იარაღი.

რას გვასწავლიდა ამხ. ლენინი: „უფრო დინჯად, უფრო წინდახედული, უფრო სისტემატიურად გადასვლა სოციალიზმზე"—ეუბნება იგი 1921 წელში საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის და სხვა განაპირა რესპუბლიკების კომუნისტებს და განაგრძობს: „აი, რა უნდა შეიგნოთ, აი, რა უნდა განახორციელოთ ჩვენს ტაქტიკასთან განსხვავებით). (ლენინის თხზულებანი, ტომი IБ).

ახლა ყური დაუგდოთ ამხ. ლენინის საუკეთესო მოწაფეს ამხ. სტალინს, თუ რას ამბობს იგი დღეს: „ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონების პირობებისათვის ანგარიშის გაწევის პრინციპი ნებაყოფლობის პრინციპთან ერთად წარმოადგენს ლენინური კოლმეურნეობრივი მოძრაობის ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ წინასწარ პირობას.

„ნამდვილად კი ზოგჯერ რა ხდება ჩვენში? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ნებაყოფლობისა და ადგილობრივ თავისებურებათათვის ანგარიშის გაწევის პრინციპი მთელ რიგ რაიონებში არ ირღვევა. არა, სამწუხაროდ ამის თქმა არ შეიძლება" (იხ. ამხ. სტალინის წერილი „თავბრუდახვევა წარმატებისაგან").

მაშასადამე თავისებურობათათვის ანგარიშის გაწევის პრინციპი აუცილებელია სწორი ხელმძღვანელობისათვის. იგი თავიდან აგვაცდენს ხეპრეობას დიდი მიზნებისა და რთული ამოცანების განხორციელებისა და გადაჭრის დროს. იგი ყოველთვის მჭიდროთ დაგვაკავშირებს ლენინიზმთან.

აბა ახლა თვალი გადავავლოთ სინამდვილეს ადგილებზე ჩვენში, გადავხედოთ მთელ რიგ რაიონებს, ავათვალ-დავათვალიეროთ, შევამოწმოთ, გავსინჯოთ ჩვენი მუშაობა და ვიკითხოთ: არის წინდახედულობა და სიდინჯე? არის სერიოზულობა, შესაფერი ალღოს აღება, ადგილობრივ თავისებურობათათვის ანგარიშის გაწევის პრინციპებით თავის დროზე ხელმძღვანელობა? სამწუხაროდ უნდა გამოვტყდეთ: არა, არ არის.

და აი, შეიძლება ითქვას, რომ ხშირად სწორედ ამიტომ გვაქვს პარტიის პოლიტიკის უხეშად დამახინჯების ფაქტები, გადახრები, გადახვევები, დაუშვებელი შეცდომები და სანიმუშო სახელის ღირსი ხეპრეობაც კი.

ყველაფერი ეს გამოაშკარავებულია პარტიის მიერ და გატარებული ბოლშევიკური თვითკრიტიკის ქარცეცხლში. მაგრამ ამ „ქარცეცხლის" შენელება არ შეიძლება. პირიქით: იგი უნდა გავაძლიეროთ, ვინაიდან, როგორც სჩანს, არის იმის ნიშნები, რომ ჩვენ თურმე ჩვენი შეცდომებისა და დეფექტების გაკვეთილებზე ძალიან ცოტას ვსწავლობთ.

ამ წერილში მთავარ ჩვენს ყურადღებას ვაქცევთ და ხაზს ვუსვამთ პარტიის პოლიტიკის დამახინჯების საკითხებს კოლმეურნეობრივ მოძრაობაში, ამ შემთხვევაში დაშვებულ შეცდომებსა და უხეშ მიდგომას. ყველა ამის თავის დროზე გამოსწორება უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანათაგანი ყველა ჩვენგანისათვის.

ამჟამად პარტია და ხელისუფლება ბოლშევიკურის სიმტკიცით და ენერგიით შეუდგა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნას, შეუდგა კოლექტივიზაციის გატარებას სოფლად. ამასთან დაკავშირებით პარტიის დირექტივების თანახმად უნდა მოხდეს მთლიანი კოლექტივიზაციისა და მის გარშემო ღარიბი და საშუალო მასების აქტიური დარაზმულობის და ამ უკანასკნელთა მხრით ერთსულოვანი შეგნებული მონაწილეობისა და ძირითადი საწარმოო საშუალებების გაერთიანების ნიადაგზე კულაკის ლიკვიდაცია, როგორც კლასის. ეს გასაგებია ყველასათვის, აქ ჩვენი პოლიტიკა ნათელია, და ვინც აქ ხელის შემშლელად მოგვევლინება, ვინც ასეთ პირობებში ჩამოყალიბებული დიადი გარდატეხის პოლიტიკას წინ აღუდგება და მის წინააღმდეგ გამოილაშქრებს, აქაც პროლეტარიატის დიქტატურის მტკიცე ხელი მაგრად დაჰკრავს მოწინააღმდეგე ელემენტებს და ძირფესვიან ჩამოკლავს მათ შავ განზრახვებს. და აქ ამ შემთხვევაშიაც გაუგებარი არაფერი იქნება მშრომელი მასისათვის, იგი აქ გაიზიარებს ჩვენს პოლიტიკას და ჩვენს გვერდში დადგება კლასიური მტრის წინააღმდეგ, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს შეგნებული, თუ შეუგნებელი გაღიზიანებისა და უკმაყოფილების შექმნის საბაბს იმათ მიმართ. აქ არ არსებობს მოწყვეტის საფრთხე, აქ მჭიდრო კავშირია, აქ დაცულია ლენინიზმი, დაცულია პარტიის პოლიტიკა.

მაშ როდის, რომელ შემთხვევაში იქნება ჩვენი მოქმედება გაუგებარი ფართე მშრომელი მასებისათვის? სად და როდის შეხვდება ის ამ მოქმედებას უნდობლობის თვალით? როდის არის მოსალოდნელი უკმაყოფილების გამოთქმა, როდის არის მოსალოდნელი მოწყვეტისა და ხელმძღვანელობის დაკარგვის საფრთხე?

მაშინ, როცა თქვენ წინასწარი პირობების მოსამზადებლად თითქმის არაფერი გაგიკეთებიათ და თუ გაგიკეთებიათ, ისე ცუდათ, რომ უკეთესი იყო სულ არ მოგეკიდათ ხელი. არ ჩაგიტარებიათ სათანადო მუშაობა, არ შეგიმჩნევიათ იმნაირი მდგომარეობა, რომლის შესახებ ჩვენ გაკვრით ზემოდ ვილაპარაკეთ. ნაცვლად ამისა ქაღალდზე დაარსებული კოლექტივების სიით ხელში (მოგეხსენებათ, რომ კოლექტივის ქაღალდზე დაარსება უფრო ადვილია, ვინემ დედამიწაზე მისი მოწყობა) მიდიხართ მასებთან როგორც „მარჯვე ადმინისტრატორი", და... მიძვრებით საქათმეში გლეხის შინაური ფრინველების დასათვლელად, კულაკად ნათლავ საშუალო გლეხს და ავიწროვებ მას, და ასე დაუვიწყარი მუშაობა გატაცებული უხეშად ამახინჯებ ყველაფერს. ხელოვნურად ჰქმნი ჩუმსა და აშკარა უკმაყოფილებას, ხელს უწყობ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი უნდობლობის შექმნას, სახელს უტეხ პარტიის პოლიტიკას, მის საქმიანობას და დიად მიზნებს. ეს დიდი დანაშაულია. ეს მახვილი დანაა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის უდიდესი მიღწევების, ზურგში უმეცარის ხელით ჩასაცემად მომარჯვებული.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება აუარებელ რამეს აკეთებს ჩვენი ქვეყნისა და მშრომელი მასების საკეთილდღეოთ, აუარებელ თანხებს აბანდებს ახალ კაპიტალურ სამუშაოებში, სოციალისტურ აღმშენებლობაში, აუარებელ ენერგიასა და ძალღონეს ხარჯავს მშრომელი მასების საბოლოო გამარჯვებისათვის: ახალი გიგანტი ფაბრიკა-ქარხნები, ახალი გიგანტი ელექტრო-სადგურები, ტეხნიკური კულტურების უამრავი ახალი პლანტაციები, ახალი სასოფლო-სამეურნეო კომბინატები, ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, განახლებული სასწავლებლები, უამრავი მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსები, ახალი გზები, ახალი არხები, რადიოები და სხვადასხვა. ყველაფერი ეს ფაქტია, ყველაფერი ეს ვითარდება, იზრდება და ძლიერდება ჩვენშიც. ამას კარგად ხედავენ მშრომელი მასები, რომელთა ნდობა-კმაყოფილების განწყობილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, მის გმირულ საქმიანობასა და აღმშენებლობის ძლიერი ტემპით ზრდასთან ერთად, ლოღიკურად, თანმიმდევრობით და თანაბრად აუცილებლად უნდა იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს. პარტია და ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ასეთი განწყობილების შესაქმნელად და იგი კიდევაც არსებობს. მაგრამ აი, აქ ხელის შემშლელად გვევლინება პარტიის პოლიტიკის უხეშად დამამახინჯებელი, უხეში შეცდომების ჩამდენი, გამაღიზიანებელი საბაბის მიმცემი, რომელთა მოქმედება ნდობის მაგიერ უნდობლობის საფრთხეს ამზადებს, კმაყოფილების მაგიერ ქმნის უკმაყოფილებისა და გადაკიდების განწყობილების ნიადაგს.

ვინც თავისი მოქმედებით ასეთ საქმეს ხელს უწყობს, იგი (სულ ერთია შეგნებულად თუ შეუგნებლად) მთელი ჩვენი მუშაობის ღირსებისა და შინაარსის ჩამქოლველია, იგი ამ მუშაობის სახელის გამტეხი და მისი მდიდარი შინაარსის ჩამხშობელია: ვინაიდან, თუ ჩვენ კაბინეტებსა და პოსტებზე ვზივართ მშრომელი მასების ნება-სურვილის თანახმად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვზივართ და ვმუშაობთ არა პოსტებისა და პირადულ წვრილმან მოსაზრებათა გულისთვის, არა ვისმეს ხათრისა და მოყვრების გულისთვის, არამედ მშრომელი მასებისათვის, მშრომელი მასსა,—ეს შინაარსია მთელი ჩვენი პრაქტიკული მუშაობის, ეს შინაარსია თითოეული ჩვენი ნაბიჯის, ეს შინაარსია საბჭოთა ხელისუფლების არსებობის, მისი სიმტკიცისა და ძლიერების.

და არის „ერთგული" ხალხი, რომელიც ფეხზედ არ ეკიდება ამ შინაარსს.

არიან ერთგული „მოყვრები" ჩვენს რიგებში, რომლებიც თავისი მოქმედებით ასუსტებენ ამ შინაარსს. ეს არის დიდი და მიუტევებელი დანაშაული პარტიისა და ხელისუფლების წინაშე. ეს არის მახვილი დანა უმეცარი და სულელი „მოყვარის" უგუნური ხელებით ჩვენი საქმიანობისაკენ გამოტყორცნილი.

სასტიკი ბრძოლა ამ სისულელეს, სასტიკი ბრძოლა მატრაკვეცობასა და დათვურ სამსახურს, სასტიკი ბრძოლა ხეპრულ და ზერელე მუშაობის მეთოდებს, სასტიკი ბრძოლა სერიოზულ და ფრიად საპასუხისმგებლო საქმიანობაში უპასუხისმგებლო თამაშს. ამას ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ.

ეხლა ვიკითხოთ: ვინ სჩადის მერე ყველა ამას? ვინ ამახინჯებს უხეშად პარტიის პოლიტიკას? ვინ უტეხს სახელს ზოგიერთ ადგილას დიადი გარდატეხის დიად იდეას? ვინ გვშლის ხელს?

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხდენილი და სწორი თქმის თანახმად, ესენი არიან „ბრძენი" ადამიანები.

მაგრამ მაინც ვინ არიან ისინი? როგორ საიდან გვევლინება ეს მათი „ბრძნობა".

და აი, აქ ჩვენ პირველყოვლისა ხელახლა თვალწინ გვეტუზება ყველასათვის კარგად ცნობილი, ძველი, მაგრამ მუდამ ახალი პრობლემა, რომლის გადაჭრა ჩვენ დღემდის ვერ მოგვეხერხებინა. ეს გახლავთ მუშაკების აღზრდის, შერჩევისა და მათი გამოყენების საკითხი, რომელსაც ჩვენ ჯერ კიდევ ზერელედ ვეკიდებით.

მე შეგნებულად ვცდილობდი, რომ ამ წერილში არ შემეხებინა ჩადენილი შეცდომებისა და უხეში დამახინჯების მნიშვნელობა იმ მიზნით, რომ ეხლავე გამოვასწოროთ ისინი და მომავალისათვის გამოვიყენოთ მისი გაკვეთილები მსგავსი შეცდომებისა და გადამახინჯებების თავიდან ასაცილებლად.

**ა. დოლიძე.**

## ყველა კუთხეებიდან

● კახეთის ოლქში ხვნა დაიწყო. ტრაქტორები გასული არიან მინდვრად, მაგრამ ხშირად ფუჭდებიან, რის გამო მიმართავენ წნორის სახელოსნოს. სახელოსნო ვერ უწევს მათ ჩქარ დახმარებას, რადგანაც მოძრავი სახელოსნო გაუქმებულია. ამაზე დაიწერა კიდეც გაზეთებში, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია და, ამგვარად, შორეული სოფლები მოკლებული არიან დახმარებას. საჭიროა ამ მდგომარეობის გამოსწორება. მგზავრი.

— : —

● ნატანების კოლექტივმა დაამთავრა საწარმოო გეგმის შედგენა. გეგმით დაითესება სიმინდი 1.000 ჰექტარზე, სოია 400 ჰექტარზე, კანაფი—30 ჰექტარზე, ბრინჯი—20 ჰექტარზე და რამი 5 ჰექტარზე. კოლექტივი სიმინდის თესლით უზრუნველყოფილია, მაგრამ სრულებით არა აქვს სოიას, ლობიოს, კანაფის, ბრინჯის და რამის თესლი. თესლის შეძენაზე არავინ ზრუნავს. კ. უ.

— : —

● ლანჩხუთის კომკავშირმა 120 დღის განმავლობაში დახმარება გაუწია კოლექტივს ყანების გაწმენდაში. 16 მარტს ამავე სამუშაოზე გავიდა 600 კომკავშირელი. კომკავშირელები ავრცელებენ გაზეთ „კოლექტივიზაცია"-ს. უ—ძე.

● ონის რაიონის კოლმეურნეობათა კავშირის ყრილობამ რაიონის ძირითად დარგად მიიჩნია მესაქონლეობა და დამატებით მემინდვრეობა. ყრილობამ დაამტკიცა წლიური საწარმოო გეგმა. ნ. დემაშვილი.

— : —

● ტყვიავის რაიონში ჩატარდა კოლექტივის წევრთა წმენდა. უკვე დაიწყო ხვნა, ხოლო ზოგიერთ სოფლებში დაითესა ქერი. დღემდე შეკეთებულია 108 გუთანი. ზოგ სოფლებში უკმაყოფილებას არიან გამგეობების სუსტი ხელმძღვანელობით. ნ. პატარიძე.

● ნიგოითში მოეწყო აგრომინიმუმის შემსწავლელი კურსები, რომელსაც ხელმძღვანელობს ადგილობრივი სკოლის აგრონომი. კომკავშირის ყველა უჯრედებთან ჩამოყალიბებულია სას.-სამ. წრეები. მ. ა—ძე.

— : —

● სოფ. დიდ თონეთში (გორის ოლქი) კოლექტივში შეძვრა კულაკი სიმონ მაკიევა. გლეხობა მოითხოვს მის სასწრაფოდ გაძევებას. გ—ძე.

— : —

● ოზურგეთის კოლმეურნეობა შეუდგა ხილის საშრობი ქარხნის აგებას. ქარხნის მოწყობილობა და სამშენებლო მასალა უკვე შეძენილია. ქარხნის აგება დამთავრდება მიმდინარე წლის ივნისში. ქარხანა დაჯდება 120.000 მანეთი. ფ—ძე.

● მემინდვრეობის ლანჩხუთის რაიონულმა კავშირმა რაიონში შემავალ 13 თემს განაწილა შემდეგი სასოფლო-სამეურნეო იარაღები: 273 რკინის გუთანი, 62 ფარცხი, 33 სათესი მანქანა და 21 კულტივატორი. კავშირს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული „სოფლის კავშირთან" 5.000 ფუთი სოიას და 2.000 ფუთი სიმინდის დამზადებაზე. დამზადება გადაჭარბებით შესრულდა. დამზადებულია 10.000 ფ. სოია და 2.000 ფ. სიმინდი. რაიონში შესაძლებელია დამზადდეს კიდევ 20.000 ფ. საუკეთესო ხარისხის სათესლე სიმინდი, მაგრამ მემინდ. კავშირს საკმაო შესაძლებლობა არ გააჩნია, ხოლო ზემდგომი ორგანოები ამ საქმეს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. კ. უჯმაჯურიძე.

— : —

● ზუგდიდის მაზრაში დიდი ხანია დაიწყო საბჭოების საანგარიშო კამპანიისათვის მზადება. შედგენილია კამპანიის ჩატარების გეგმა, დამზადებულია ყველა საჭირო მასალები, რომლებიც უკვე გადაეგზავნათ ადგილებს. ყველა რაიაღმასკომებში შეიქმნა თათბირები, სადაც დამუშავდა საანგარიშო კამპანიის მასალები. მიმდინარე საანგარიშო კამპანია საგრძნობლად გააუმჯობესებს საბჭოების მუშაობას და ხელს შეუწყობს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას. ი. ლ—ია.

# საქართველოში 1930-31 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ

## საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

ს. ს. რ. კ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 23-ის დადგენილებით დამტკიცებულია და სამოქმედოდ შემოღებული 1930-31 წლისათვის ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ახალი დებულება, რომელიც განვითარებულ და დამატებულ იქნა ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ის ტერიტორიაზე შესაფარდებლად ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილებით „1930-31 წლის ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის კანონის ძირითად დებულებათა შესახებ". ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის დებულების გადასინჯვა გამოწვეულია შემდეგი მოსაზრებით:

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ზრდას, რამაც უკვე მოიცვა საგლეხო მეურნეობათა თვალსაჩინო ნაწილი, ცალკეული რაიონების გადასვლას მთლიან კოლექტივიზაციაზე და აქედან წარმოშობილ ამოცანას — კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა ამ რაიონებში, აგრეთვე კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკის უფრო გადაჭრით გატარება ყველა დანარჩენ რაიონებში ჰქონის აუცილებლობას, რათა ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის კანონი გადასინჯულ იქნეს იმ ხაზით, რაც უზრუნველჰყოფს დიდროვანი კოლექტიური სასოფლო მეურნეობის ზრდისათვის ყოველმხრივ ხელისშეწყობას.

კოლექტივიზაციის შემდგომი ზრდისათვის, კოლექტიურ მეურნეობათა გადიდრონებისათვის, მათი შემოსავლიანობისა და მათი განსაზოგადოებული ფონდების გადიდებისათვის ხელისშემწყობად საჭიროა მომავალი წლიდან კოლექტიურ მეურნეობათა მიმართ პროგრესიულ დაბეგვრიდან პროპორციულ დაბეგვრაზე გადასვლა: პროპორციული დაბეგვრით, რაც ინდივიდუალურ მეურნეობათა დაბეგვრის წესისაგან განსხვავდება, შემოსავლის თვითეულ მანეთზე დაწესებული განაკვეთი გადიდებულ არ უნდა იქნეს კოლექტიური მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდების მიხედვად.

ამასთან ერთად, რადგანაც ა.-კ. ს. ფ. ს. რესა და კერძოდ საქართველოს ს. ს. რ-ის პირობებში ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათ ჯერ კიდევ უპირატესი მნიშვნელობა აქვთ სასოფლო - სამეურნეო წარმოებაში, ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობამ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონით მისთვის მინიჭებული უფლების თანახმად, არა მარტო შეუნარჩუნა ინდივიდუალურ მეურნეობათ ამა 1929-30 წელს მოქმედი კანონით გათვალისწინებული შეღავათები, არამედ თვალსაჩინოდ გააფართოვა ეს შეღავათები, განსაკუთრებით იმ საგლეხო მეურნეობათათვის, რომელნიც აუმჯობესებენ თავიანთ მეურნეობას, ადიდებენ ნათესებს და ამრავლებენ პირუტყვთა რიცხვს.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა საფუძველზე გამოცემული სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი ანიჭებს მთელ რიგ ახალ შეღავათებს ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობათ, რომელნიც აფართოებენ და აუმჯობესებენ ბამბისა, რამისა, კანაფისა და სხვა ძვირფასი კულტურების ნათესებს; ეს კულტურები — კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის, რომელნიც აწვდიან საქონელს როგორც ქალაქის მუშებს, ისე სოფლის მოსახლეობას.

იმ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა წასახალისებლად, რომელნიც ცდილობენ გაადიდონ ისეთი პროდუქციის რაოდენობა, რაც ბაზარზე იყიდება ან რასაც კოოპერატიული ორგანიზაციები ყიდულობენ სამრეწველო მეცხოველეობის რაიონებში, — ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ის მთავრობამ შემოიღო მთელი რიგი დამატებითი შეღავათები, სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ახალი კანონით გათვალისწინებული შეღავათების გარდა.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო, იღებს რა სახელმძღვანელოდ ს. ს. რ. კ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 23-ის დადგენილებით დამტკიცებულ ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის დებულებას (ს. ს. რ. ცენ. აღმ. კ-ტისა, სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს „იზვესტია"-ს 55 №-ი 1930 წ. თებერვლის 25-სა) და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილებას "1930-31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ძირითად დებულებათა შესახებ" („ზარია ვოსტოკა"-ს 64 №-ი 1930 წ. მარტის 11-სა), ადგენს:

დამყარებულ იქნეს 1930-31 წელს შემდეგი წესი ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ჩატარებისა საქართველოს ს. ს. რ-ში მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებით და ავტონომიური ოლქებით.

## კარი I

## ზოგადი დებულებანი

1. ერთიან სასოფლო - სამეურნეო გადასახადის დებულების 1-ლი მუხლის თანახმად ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადით იბეგრება:

ა) ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობანი;
ბ) კოლექტიური მეურნეობანი;
გ) საბჭოთა მეურნეობანი.

2. ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის დებულების მე-2 მუხლისა და მეორე მუხლის 1-ლი და მე-2 შენიშვნების თანახმად გადასახადი გამოანგარიშება თვითეულ ცალკე მეურნეობაზე მთლად იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც იგი იღებს ფულად და ნატურად შემდეგი წყაროებიდან:

ა) მემინდვრეობა;
ბ) მეველეობა;
გ) ყოველგვარი ოთხფეხი საქონელი, ლორების გარდა;
დ) სოფლის მეურნეობის შემდეგი სპეციალური დარგები: მებოსტნეობა, მებაღჩეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მეთამბაქოობა, ბრინჯისა და ბამბის პლანტაციები.
ე) არასამიწათმოქმედო სამუშაო საშოვარი (სამუშაო ხელფასი, შინამრეწველობა, ხელოსნობა და სხვა საშოვარი).

შენიშვნა: მეთევზეობის შემოსავალი ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება ყველგან იმ შემთხვევაში, უკეთუ დაჭერილი თევზი ნაწილობრივ თუ მთლად იყიდება.

3. ის წყარო, რომლის შემოსავალიც ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადით იბეგრება, სხვა რამე გადასახადით არ დაიბეგრება, გარდა:

ა) სარეწაო გადასახადისა, რომლითაც იბეგრება არასამიწათმოქმედო მოსაქმეობა ბრუნვის პროცენტული შეფარდებით და
ბ) წყლის გამოსაღებისა — სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში.

იმ მიწის ნაკვეთზე, რომლის შემოსავალიც ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადით იბეგრება, აგრეთვე იმ აღნაგიან ნაკვეთზე, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სასოფლო - სამეურნეო სარგებლობასთან, რენტა გადახდევინებულ არ იქნება.

ის შენობა, რომელიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი მეურნეობის შედგენილობაში შედის, განთავისუფლდება შენობის ადგილობრივი გადასახადისაგან: (ერთიანი სასოფლ.-სამეურ. გადასახადის დებულების მე-3 მუხ.).

შენიშვნა. კულაკურ მეურნეობაში სარეწაო გადასახადი, სასოფლო - სამეურნეო გადასახადთან ერთად, გადახდევინებულ იქნება აგრეთვე არასამიწათმოქმედო მოსაქმეობისათვის, რაც იბეგრება სარეწაო გადასახადის მტკიცე განაკვეთებით (ერთ. სას. სამ. გადასახ. დებ. მე-3 მუხ. შენიშვნა).

4. იმ მოქალაქემ, რომელიც სოფლის მეურნეობას საქალაქო მიწაზე ეწევა, უნდა გადაიხადოს თავის შემოსავალზე ან ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადი ან საშემოსავლო გადასახადი.

ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადით მოქალაქენი დაიბეგრებიან როგორც სოფლის მეურნეობის შემოსავლისათვის, ისე არასამიწათ-მოქმედო საშოვარისათვის საქართველოს ს. ს. რ. ყველა ქალაქში, გარდა თბილისისა, ბათომისა, სოხუმისა, ქუთაისისა, ფოთისა, ბორჯომისა, გაგრისა, სიღნაღისა, თელავისა და ჭიათურისა. (ერთ. სასოფ. - სამეურნეო გადასახად. დებულ. მე-4 მუხ.).

5. ის მოქალაქე, რომელიც ქალაქში სცხოვრობს, ხოლო ამავე დროს სოფლის მეურნეობა ქალაქს გარეშე აქვს, ერთიან სასოფლო - სამეურნეო გადასახადს გადაიხდის იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც იგი სოფლად მიიღებს, და სამუშაო ხელფასის მიხედვით. დანარჩენი საქალაქო შემოსავლისათვის, სამუშაო ხელფასის გარდა, იგი დაიბეგრება სხვა გადასახადებით მთლად ქალაქის მოსახლეობის თანაბრად. (ერთ. სასოფ.-სამ. გადასახად. დებულების მე-5 მუხ.).

6. ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება შემდეგი სახის სამუშაო ხელფასი:

ა) შრომის ბეგარის წესით მუშაობისათვის;
ბ) სოფლის მეურნეობაში მოჯამაგირე მამაკაცისა თუ დედაკაცის მუშაობისათვის;
გ) საბჭოთა ქვედა თანამდებობაზე არჩეული პირის (სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და სასოფლო საბჭოს წევრის) მუშაობისათვის.
დ) გლეხთა ურთიერთი დახმარების კომიტეტში და მის შესაბამისს ორგანიზაციაში, აგრეთვე სოფლის პირველი საფეხურის კოოპერატივში და დასასახლებელი ადგილების კოოპერატივების ორგანიზატორების თანამდებობაზე მუშაობისათვის.
ე) სასოფლო, საუბნო სამედიცინო და სავეტერინარო პერსონალის (ექიმი, კბილის ექიმი, ფერშალი, ბებია-ქალი და სხვ.), რაიონისა და უბნის აგრონომისა, აგრეთვე კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობაში და კოოპერატიულ ორგანიზაციაში მომუშავე აგრონომისა, აღნიშნული აგრონომების თანაშემწისა, უბნის მიწის მომწყობისა და მელიორატორისა, უბნის ზოოტეხნიკოსისა და კონტროლ-ასისტენტისა, ტყის გამგისა, მისი თანაშემწისა, მეტყევისა, ტყის მცველისა, ტყის დარაჯისა, სოფლის მასწავლებლებისა, სახალხო მოსამართლისა, სახალხო გამომძიებლისა, სასოფლო საბჭოს მდივნისა, სოფლად წერილების დამტარებლისა, სოფლის მილიციისა, რაიონის სტატისტიკოსისა, სოფლის საავადმყოფოში, სკოლაში, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში და სასოფლო საბჭოში მომსახურე ტეხნიკური პერსონალის მუშაობისათვის;
ვ) სალიტერატურო და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობისათვის (სოფლის კორესპონდენტისა, ქოხ-სამკითხველოში მომუშავისა და სხვ.).

ამის გარდა, ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება სამხედრო მსახურთა ყოველგვარი კმაყოფა და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებიდან მიღებული ყოველგვარი პენსია.

ამა მუხლში ჩამოთვლილი შემოსავალი დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულებისამებრ. (ერთ. სას.-სამ. გადასახად. დებულ. მე-6 მუხლი).

შენიშვნა 1. ის სამუშაო ხელფასი, რასაც სოფლის პირველი საფეხურის კოოპერატივში თანამდებობაზე არჩეული პირი იღებს, განთავისუფლდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ არჩეულ პირს ამ კოოპერატივში სხვა რამ შემოსავალი არა აქვს, გარდა სამუშაო ხელფასის (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებულ. მე-6 მუხლის შენიშვნა).

შენიშვნა 2: ამა მუხლის „ე" პუნქტით გათვალისწინებულ სამსახურს სასოფლო მილიციაში გაეთანაბრება სამსახური სამაზრო და სარიონო მილიციაში ისეთ თანამდებობებზე, რაც მომსახურეობას უწევს სოფლის ადგილებს.

7. ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის საგადასახადო წელიწადი ითვლება მაისის 1-დან აპრილის 30-მდე ამ რიცხვითურთ. (ერთ. სას.-სამ. გადასახად. დებულ. მე-7 მუხლი).

## კარი მე-2

## დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა

### ა. შემოსავლიანობის ნორმები

8. მეურნეობის მემინდვრეობისა, მეველეობისა, მესაქონლეობისა, მებოსტნეობისა, მებაღჩეობისა, მებაღეობისა, მევენახეობისა, მეთამბაქოობისა, მებამბეობისა და სხვა სპეციალური დარგის შემოსავალი განისაზღვრება ამა კარის ქვემომდევნო მუხლების წესით დადგენილი შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებულ. მე-8 მუხ.).

შენიშვნა. საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, იმ კოლექტიური მეურნეობის შემოსავალი, რომელსაც აქვს წესიერად დაყენებული ანგარიშგება, განისაზღვრება არა ნორმებისა, არამედ ანგარიშგების მიხედვით (ერთ. სას.-სამ. მეურნ. გადასახადის დებულ. მე-8 მუხ. შენიშვნა).

9. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-9, 10, 12 და 14 მუხლების საფუძველზე და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 1—5 მუხლების თანახმად დაწესებულია შემდეგი ნორმები შემოსავლიანობისა აფხაზეთის ს. ს. რ.-ში, აჭარისტანის ავტონომიურ ს. ს. რ-ში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში და საქართველოს ს. ს. რ. ოლქებსა და მაზრებში:

### შემოსავლიანობის ნორმები საქართველოს სსრ-ში 1930/31 წლისათვის.

| ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულების დასახელება | სათესი | სახნავი | სათიბი | ხეხილის ბაღი და თხილი | ვენახი | ბოსტანი და ბაღჩა | კარტოფილი | თამბაქო | მანდარინი | ბამბა | ბრინჯი | მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (ერთსულზე) | ხარი და კამეჩი | ცხენი და აქლემი | ვირი | ცხვარი და თხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალქალაქისა | 55 | — | 20 | 200 | — | 120 | 35 | 80 | — | — | — | 15 | 16 | 18 | — | 2—60 |
| ახალციხისა | 50 | — | 20 | 205 | — | 124 | 60 | 95 | — | — | — | 13 | 10 | 15 | — | 2—50 |
| გორისა | 54 | — | 16 | 210 | 215 | 145 | 52 | — | — | | | 10 | 13 | 14 | | 2—50 |
| კახეთისა | 56 | — | 19 | 175 | 285 | 145 | 56 | 190 | — | | | 13 | 15 | 17 | | 2—60 |
| თბილისისა | 54 | — | 19 | 195 | 243 | 165 | 56 | 180 | — | 26 | 150 | 14 | 14 | 16 | | 2—50 |
| სამხრეთ-ოსეთისა | 48 | — | 15 | 200 | 176 | 100 | 35 | — | — | | | 11 | 9 | 14 | 5 | 2—60 |
| აღმოს. საქართველო | — | — | — | — | — | — | — | — | — | | | 13 | — | — | | 2—50 |
| ზუგდიდისა | 52 | — | 10 | 155 | 150 | 100 | — | 190 | — | ყველგან 6 მ. | ყველგან 6 მ. | 10 | 13 | 13 | ყველგან 6 მ. | 1—70 |
| ქუთაისისა | 50 | — | 10 | 194 | 260 | 172 | 36 | — | — | | | 10 | 13 | 14 | | 1—70 |
| ოზურგეთისა | 42 | — | — | 155 | 134 | 96 | 3· | 168 | 265 | | | 10 | 12 | 12 | | 1—50 |
| სენაკისა | 52 | — | — | 140 | 134 | 90 | — | — | — | | | 10 | 13 | 13 | | 1—60 |
| აჭარისტან. ავტ. სსრ | 42 | — | 10 | 140 | 110 | 88 | 33 | 120 | 355 | | | 10 | 12 | 12 | | 1—30 |
| აფხაზეთის სსრ | 52 | — | 16 | 155 | 120 | 155 | 51 | 265 | 355 | | | 10 | 13 | 14 | | 1—50 |
| დასავლ. საქართველო | — | — | — | — | — | — | — | — | — | | | 10 | — | — | | — |
| საქართველოს სსრ | 52 | — | 18 | 180 | 240 | 150 | 52 | 175<br>265 | 350 | | | 13<br>10 | 13 | 15 | | 1—50 |

10. ისეთი სარწყავი მიწების შემოსავლიანობის ნორმები, რაც ბამბისათვის ვარგა, ხოლო დაჭერილია მარცვლეული კულტურებით, გადიდდება იმ მეურნეობისათვის, რომლის საერთო დასაბეგრავი შემოსავალი 300 მან. აღემატება, 10 პროც.-ით ამ რაიონისათვის განსაზღვრულ ნორმებთან შედარებით. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. მე-14 მუხ. და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების მე-3 მუხლის „ბ" პუნ.).

11. მებამბეობის რაიონში აბუსალათინით დათესილი მიწები დაიბეგრება სარწყავი ნათესის შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით, რაც უწყებული ადგილისათვის არის დადგენილი. (ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენ. მე-4 მუხ.).

12. ამა დადგენილების 9-11 მუხლების წესისამებრ განსაზღვრული შემოსავლიანობის ნორმები, გამოქვეყნების შემდეგ, არ შეიძლება შეცვლილი იქნეს საგადასახადო წლის განმავლობაში (ერთიანი სას.-სამ. გადასახ. დებ. მე-15 მუხ.).

### ბ. მემინდვრეობის შემოსავლის განსაზღვრა

13. მემინდვრეობის შემოსავალი, როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობაში გამოიანგარიშება მთლად საქართველოს ს. ს. რ-ის ტერიტორიაზე ნათესის მიხედვით, ე. ი. მეურნეობაში ფაქტიურად დათესილი მიწის მიხედვით; ამასთანავე, სათვალავში მიიღება მთლად მარცვლეული კულტურებით ნამდვილად დათესილი ფართობი. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. მე-16 და მე-17 მუხ. და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენ. მე-6 მუხ.).

შენიშვნა: იმ მეურნეობისათვის, რომელმაც სათესი ფართობი შეამცირა არაპატივსადები მიზეზით, მემინდვრეობის შემოსავალი გამოიანგარიშება წინა წელს დათესილი ფართობის მიხედვით (ერთ. სას. სამ. გად. დებ. მე-17 მუხ. მე-3 ნაწილი.

### გ. მეველეობის შემოსავლის განსაზღვრა

14. მეველეობის შემოსავლის გამოანგარიშების დროს იმ ადგილებში, სადაც არსებობს მემინდვრეობის დაყამირებულ ნასვენი მიწების სისტემა, სათვალავში მიიღება მხოლოდ ის სათიბები, რომლებიც მუდმივ გამოიყენება.

დანარჩენ ადგილას სათვალავში მიიღება მეურნეობაში ჰქონებული ყველა სათიბი, როგორც წყალმასაგდები, ისე უამისო, დაბლობი, თერალმინდვრიანი და ტყიანი. (ერთ. სას.-სამ. გადასახად. დებულ. მე-18 მუხ.).

### დ. ოთხფეხი საქონლის შემოსავლის განსაზღვრა

15. ოთხფეხი საქონლის შემოსავლის გამოანგარიშების დროს სათვალავში მიიღება:

ა) ცხენი, ხარი, კამეჩი, ვირი, ჯორი და აქლემი 4 წლისაზე მეტი წლოვანებისა;
ბ) მოზვერი 3 წლისაზე მეტი წლოვანებისა;
გ) ძროხა — პირველი მოგების შემდეგ და უშობელი 3 წლისაზე მეტი წლოვანებისა;
დ) ნაზამთრი ცხვარი და თხა.

ოთხფეხი საქონლის წლოვანება გამოიანგარიშება საგადასახადო წლის მაისის 1-სათვის. (ერთ. სას.-სამ. გადასახად. დებულ. მე-19 მუხ.).

### ე. სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების შემოსავლის განსაზღვრა

16. მებოსტნეობისა, მებაღჩეობისა, მებაღეობისა, მევენახეობისა, მეთამბაქოობისა და ბრინჯისა და მანდარინის ნარგავთა შემოსავლის გამოანგარიშების დროს სათვალავში მიიღება ის ფართობი, რაც მეურნეობაში აღნიშნულ კულტურებს უჭირავს. (ერთ. სას.-სამ. გადასახად. დებულ. მე-20 მუხ.).

### ვ. არასამიწათმოქმედო შემოსავლის განსაზღვრა

17. არასამიწათმოქმედო საშოვრად სათვალავში მიიღება საგადასახადო წლის წინა წლის შემოსავალი. (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებულ. 21 მუხ.).

18. სამუშაო ხელფასის შემოსავლის გამოანგარიშების დროს მეურნეობის დასაბეგრავი შემოსავლის შედგენილობაში შეიტანება:

ა) იმ მომუშავის სამუშაო ხელფასი, რომელიც მუდმივ თავის სასოფლო მეურნეობაში სცხოვრობს, — 15 პროც.-ის რაოდენობით.
ბ) იმ მომუშავის სამუშაო ხელფასი, რომელიც მუდმივ თავისი სასოფლო მეურნეობის გარეშე სცხოვრობს, — 10 პროცენტის რაოდენობით;
გ) გარე-სარეწაოზე გასვლით მიღებული დაქირავებული შრომის სასყიდელი, — 15 პროცენტის რაოდენობით. (ერთ. სას.-სამ. გადასახად. დებულ. 22 მუხ.).

შენიშვნა: იმ მოქალაქემ, რომელიც სამუშაო ხელფასს და აგრეთვე გარე-სარეწაოზე გასვლით დაქირავებული შრომის სასყიდელს იღებს, უნდა წარადგინოს სასოფლო საბჭოში, არა უგვიანეს საგადასახადო წლის ივნისის 1-სა, მისი სამუშაო ადგილის ცნობა— წინა საგადასახადო წლის მაისის 1-დან აპრილის 30-მდე მის მიერ მიღებული სამუშაო ხელფასის რაოდენობის თაობაზე. (ერთ. სას.-სამ. გადასახად. დებულ. 22 მუხ.).

19. შინამრეწველობისა, ხელოსნობისა და სხვა არასამიწათმოქმედო შემოსავლის (სამუშაო ხელფასის გარდა) თვითეული მეურნეობისათვის განსაზღვრავს სარაიონო საგადასახადო კომისია. ამასთანავე, საერთო შემოსავლიდან გამოირიცხება სარეწაოს ყველა ძირითადი საწარმოო ხარჯი: ნედლეულობისა, სათბობი მასალისა, ნახევარფაბრიკატისა, დაქირავებული მუშების სასყიდელი და სხვა.

ამრიგად განსაზღვრული შემოსავალი ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრავი შემოსავლის შედგენილობაში შემდეგ საფუძველზე:

ა) არაშრომითი ხასიათის შემოსავალი ჩაირიცხება მთლად;
ბ) ისეთი რთული სასოფლო - სამეურნეო მანქანების გაქირავებით მიღებული შემოსავალი, რომელსაც მექანიკური ძრავი არა აქვს, ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრავ შემოსავალში ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების მე-7 მუხლით განსაზღვრული რაოდენობით, ე. ი. —10 პროც-ის რაოდენობით კოლექტიური მეურნეობისა და 25 პროცენტის რაოდენობით ინდივიდუალური მეურნეობის შემოსავლისა; ხოლო ტრიერებისა გ. ნახარისხებლებისა და მარტივი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაქირავებით მიღებული შემოსავალი სრულიად არ დაიბეგრება;
გ) გარე-სარეწაოზე გასვლით დაუქირავებელი შრომით მიღებული შემოსავალი ჩაირიცხება 30 პროც-ის რაოდენობით.
დ) შინამრეწველობისა, ხელოსნებისა და სხვა არასამიწათმოქმედო შემოსავალი, მუშების დაუქირავებლად, ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების მე-8 მუხ. თანახმად, ჩაირიცხება 50 პროც-ის რაოდენობით.

კოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთათვის, რომელნიც დაქირავებულ შრომას არ იყენებენ, ამრიგად გამოანგარიშებული შემოსავალი შემცირდება ერთი მეოთხედით. ეს შეღავათი ვრცელდება მხოლოდ ისეთ შინამრეწველზე და ხელოსანზე, რომელიც კოოპერატიულ სისტემაში შემავალი ამხანაგობის და არტელის წევრია. (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებულ. 23 მუხ.).

20. კოლექტიური მეურნეობის არასამიწათმოქმედო შემოსავალი ჩაირიცხება მის დასაბეგრავ შემოსავალში ინდივიდუალურ მეურნეობათათვის დადგენილ საფუძველზე. ამასთანავე, კოლექტიური მეურნეობის წევრის ის არასამიწათმოქმედო შემოსავალი, რაც მას კოლექტიური მეურნეობის გარეშე მიუღია, ჩაირიცხება იმ ნაწილის რაოდენობით, რაც ამ შემოსავლიდან გადარიცხულ უნდა იქნეს კოლექტიური მეურნეობის სახსარში. (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებულ. 24 მუხ.).

21. უკეთუ კოლექტიური მეურნეობის წევრს არ აქვს ინდივიდუალური სასოფლო მეურნეობა, მის მიერ კოლექტიური მეურნეობის გარეშე მიღებული არასამიწათმოქმედო შემოსავალი ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება, არამედ დაიბეგრება სახელ. საშემოსავლო გადასახადის კანონის მიხედვით იმ ნაწილის გამოკლებით, რაც კოლექტიური მეურ. სახსარში გადარიცხულ უნდა იქნეს). უკეთუ კოლექტიური მეურნეობის წევრს აქვს ინდივიდუალური სასოფლო მეურნეობა, მისი არასამიწათმოქმედო შემოსავალი (კოლექტიური მეურნეობის სახსარში გადასარიცხი ნაწილის გამოკლებით) დაიბეგრება სასოფლო - სამეურნეო გადასახადით მის ინდივიდუალურ მეურნეობაში საერთო წესისამებრ (ამა დადგენილების მე-19 მუხ.).

უკეთუ კოლექტიური მეურნეობის წევრმა ალიუსავის ღონისათვის თავი დაანება საწარმოს, რაც მას არასამიწათმოქმედო შემოსავალს აძლევდა, სარაიონო საგადასახადო კომისიას შეუძლიან განთავისუფლოს ეს შემოსავალი დაბეგვრისაგან. (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებულ. 25 მუხ.).

22. ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია და საწარმო (სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო) მოვალეა წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო საბჭოს, მათი მოთხოვნისამებრ, ცნობები ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის გადამხდელთათვის მიცემული თანხების შესახებ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ამ თანხების მიმღების სახელი, მამის სახელი და გვარი, მისი საცხოვრებელი ადგილი (სოფელი, რაიონი და ოლქი) და აგრეთვე აღინიშნოს ისიც, თუ რისთვის მიეცა მას ფული. (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებულ. 26 მუხლი).

### ზ. ნორმების მიხედვით გამოანგარიშებული სასოფლო მეურნეობის შემოსავლის პროცენტიული ზედნართები

23. ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის დებულების 27 მუხლისა და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების მე-9 მუხ. თანახმად შემოსავლიანობის სათანადო ნორმების მიხედვით გამოანგარიშებულ სოფლის მეურნეობის შემოსავალზე (ე. ი. მემინდვრეობისა, მეველეობისა, სპეციალური დარგებისა და მესაქონლეობის) დაწესდება შემდეგი რაოდენობის / პროცენტული ზედნართები და აგრეთვე ინდივიდუალური მეურნეობის დასაბეგრავი საერთო შემოსავლის რაოდენობა, რომლის მიხედვითაც ისეთ მეურნეობას შეეფარდება აღნიშნული პროცენტული ზედნართები.

როდესაც მეურნეობის ყველა წყაროდან მისაღები დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხა 500 მან. მეტია 600 მანეთამდე — სოფლის მეურნეობის შემოსავლის ზედნართი დაწესდება 5 პროც.
600 მან. 650-მდე „ „ „ 6 პროც.
650 მან. 700 „ „ „ „ 7 პროც.
700 მან. 750 „ „ „ „ 8 პროც.
750 მან. 800 „ „ „ 9 პროც.
800 მეტი და სხვ . . . . 10 პროც.

შენიშვნა: პროცენტული ზედნართები არ შეეფარდება იმ მეურნეობას, რომელშიაც 9 და 10 მჭამელია და რომლის საერთო დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 60 მ. თითო მჭ. 11 და 12 მჭ. დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 65 მ. თითო მჭ., 13 და მეტი მჭ. დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 70 მან. თითო მჭ.

პროცენტული ზედნართები არ შეეფარდება აგრეთვე ისეთ მეურნეობას, რომელიც საკუთარი საწევი ძალისა და ინვენტარის უქონლობის გამო, ქირაობს საწევ ძალასა და ინვენტარს.

### თ. დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა კულაკურ მეურნეობაში

24. იმ რაიონებში, სადაც არ მომხდარა კულაკურ მეურნეობათა ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის წესით, ასეთი მეურნეობა დაიბეგრება მისი ნამდვილი შემოსავლის თანახმად ინდივიდუალური წესისამებრ და არა ნორმების მიხედვით. ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ მეურნეობათა რიცხვი უნდა შეადგენდეს საქართველოს სსრ-ში საგლეხო მეურნეობათა საერთო რიცხვის ორიდან სამ პროცენტამდე. (ერთ. სას.-სამ. გადას. დებ. 28 მუხ. და ა.-კფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა 227 №-ის დადგენილების მე10 მუხ.).

25. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება და ინდივიდუალურ წესით დაიბეგრება შემდეგი ნიშნების საფუძველზე:

ა) როდესაც მეურნეობაში სისტემატიურად გამოიყენება დაქირავებული შრომა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთათვის ან შინამრეწველობასა და რეწვაობაში და საწარმოში, ისეთი შემთხვევის გამოკლებით, როდესაც დაქირავებული შრომის გამოყენება გამოწვეულია ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის განსაკუთრებული ხასიათით და თანაც არ აღემატება შემდეგ ზღვრულ რაოდენობას: სამარცვლეულო მეურნეობაში 30 დღეს წელიწადში, მებაღეობასა და ბრინჯის მეურნეობაში—50 დღეს წელიწადში, მევენახეობისა და მებამბეობის მეურნეობაში 100 დღეს წელიწადში, მეთამბაქოობის მეურნეობაში—125 დღეს წელიწადში და მესაქონლეობის მეურნეობაში—ერთი მწყემსის თანაშემწის დაქირავებას; ქვრივებისა, ობლებისა, ინვალიდებისა და მოსწავლეების მეურნეობებში, სადაც შრომის უნარიანი მამაკაცი არ მოიპოვება ან ასეთი მამაკაცი სამსახურშია თუ მძიმე ავადმყოფია, არა უმეტეს ვიდრე ერთი მუდმივი დაქირავებული მუშის ყოლა და დაქირავებული შრომის გამოყენება სასეზონო დღეებში ზემოაღნიშნული რაოდენობით— არ ჩაითვლება ისეთ ნიშნად, რომლის გამო მეურნეობა ინდივიდუალურ წესით უნდა დაიბეგროს;
ბ) როდესაც მეურნეობას აქვს ისეთი წისქვილი, ზეთის სახდელი, ბურღულის საფქველი, საცეხველი, საჩეჩელი, მატყლის საპენტი, სასრესი, კარტოფილისა, ხილისა და ბოსტნეულის სახმობ-საშრობი საწარმო, ნორმეული ქარხნები ან სხვა რამ სამრეწველო საწარმო, რომლისთვისაც გამოიყენება მექანიკური ძრავი ქარის ან წყლის ძალა;
გ) როდესაც მეურნეობა აქირავებს სისტემატიურად ცალკეულ რთულ სასოფლო - სამეურნეო მანქანას მექანიკური ძრავით, ან აწარმოებს სხვა მეურნეობათათვის სასყიდლით მუშაობას ამ მანქანებით;
დ) როდესაც მეურნეობა აქირავებს სისტემატიურად გაწყობილ შენობას საცხოვრებლად ან საწარმოს მოსათავსებლად;
ე) როდესაც მეურნეობა იჯარით იღებს მიწას იჯარით გამცემისათვის კაბალურ პირობებში;
ვ) როდესაც მეურნეობა იჯარით იღებს სავაჭრო და სამრეწველო ექსპლოატაციისათვის ბაღს, ვენახს ან სხვა რამ სანახს;
ზ) როდესაც მეურნეობის წევრი ეწევა ვაჭრობას, მევახშეობას ან მას აქვს სხვა არაშრომითი შემოსავალი (მათ შორის კულტის მსახური). (ერთ სას.-სამ. სამ. გადასახად. დებ. 29 მუხ. და ა.-კფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების მე-11 მუხ.).

26. მეურნეობის ინდივიდუალური წესით დაბეგვრის დროს მისი თვითეული დარგის შემოსავალი გამოანგარიშებული უნდა იქნეს ცალკე ნამდვილი რაოდენობით. არასამიწათმოქმედო შემოსავალი, სხვათა შორის ყოველგვარი სამუშაო ხელფასიც, მთლად ჩაირიცხება მეურნეობის დასაბეგრავ შემოსავალში, უკეთუ ოჯახის იმ წევრებს, რომელთაც აქვთ ასეთი შემოსავალი, არ გაუწყვეტიათ კავშირი მეურნეობასთან და აქვთ ამ მეურნეობაში მიწა. (ერთ. სას.-სამ. გადასახად. დებულ. 31 მუხ.)

27. ინდივიდუალური წესით ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადით დაბეგრილ მეურნეობას არა აქვს არავითარი შეღავათი ამ გადასახადის სფეროში. (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებულ. 32 მუხ.).

28. ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ მეურნეობათა სიას შეადგენს და მეურნეობათა შემოსავლის წინასწარ განსაზღვრას აწარმოებს სასოფლო საბჭო. სასოფლო საბჭოს მიერ შედგენილი სია და შემოსავლის გამოანგარიშება უნდა განიხილოს ღარიბთა კრებამ. ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ მეურნეობათა სიას საბოლოოდ დაამტკიცებს და ამ მეურნეობათა შემოსავალს საბოლოოდ განსაზღვრავს სარაიონო საგადასახადო კომისია. უკეთუ ეჭვი იბადება შემოსავლის სისწორით განსაზღვრის თაობაზე, იგივე კომისია მოახდენს მეურნეობის გამოკვლევას.(ერთ. სას.-სამ. გადასახად. დებ. 33 მუხ.).

### ი. კოლექტიურ მეურნეობათა შემოსავლის განსაზღვრა ანგარიშგების მიხედვით

29. იმ შემთხვევაში, როდესაც საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების თანახმად, კოლექტიური მეურნეობა იბეგრება ანგარიშგების მიხედვით (ამა დადგენილების მე-8 მუხლის შენიშვნა), დასაბეგრავი შემოსავალი გამოიანგარიშება გასული საანგარიშო წლისათვის.

ამასთანავე, დასაბეგრავ შემოსავლად ითვლება ის თანხები, რაც საანგარიშო წელს მიცემულია კოლექტიური მეურნეობის წევრთათვის შრომის სასყიდლის მისაცემად, და აგრეთვე კოლექტიური მეურნეობის ფონდები (კაპიტალები). (ერთ. სას.-სამ. გად. დებუ. 34 მუხ.).

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც ანგარიშის მიხედვით ზარალია, დასაბეგრავი შემოსავალი შემცირდება ზარალის თანხის რაოდენობით. (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებ. 34 მუხ. შენიშვნა).

## კარი III.

## გადასახადის გამოანგარიშება

### ა. გადასახადის გამოანგარიშების წესი

30. გადასახადი საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოიანგარიშება თვითეული ინდივიდუალურ მეურნეობისათვის მისი შემოსავლის საერთო თანხის მიხედვით და მჭამელთა რიცხვის ალნუსხვით. (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებ. 35 მუხ. 1-ლი ნაწილი და ა.-კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების მე-12 მუხლი).

31. კულაკური მეურნეობისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშება მოხდება მეურნეობის შემოსავლის მიხედვით, მჭამელთა რიცხვის ალნუსხველად, განაკვეთების განსაკუთრებული ტაბულის საფუძველზე, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების 34 მუხლში. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 35 მუხ. მე-2 ნაწილი).

32. სხვადასხვა სახის მარტივი ამხანაგობის წევრის შემოსავალი, რაც ამ ამხანაგობაში მონაწილეობით მიიღება, დაიბეგრება მის ინდივიდუალურ მეურნეობაში; თანაც აღნიშნული შემოსავლის დაბეგვრისათვის დაწესებულია მონაკლები ამ შემოსავლის 5 პროც-ის რაოდენობით. (ერთ. სას.-სამ. გად. დებულ. 36 მუხლი).

### ბ. განაკვეთების ტაბულა, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს გადასახადის გამოანგარიშებისათვის მეურნეობის შემოსავლის მიხედვით და მჭამელთა რიცხვის ალნუსხვით

33. ამა დადგენილების 30 მუხლის წესისამებრ გადასახადის გამოანგარიშებისათვის მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხას გამოაკლდება 20 მან. თვითეულ მჭამელზე და ნაშთი დაიბეგრება შემდეგი ტაბულის მიხედვით:

პირველ 25 მან. გადახდევინებული იქნება 4 კაპ. თითო მან.

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 მან. მეტი თანხისათ. | 100 მ-დე | 7 | „ |
| 100 მან. | 150 | 10 | „ |
| 150 | 200 | 15 | „ |
| 200 | 250 | 20 | „ |
| 250 | 300 | 22 | „ |
| 300 | 400 | 25 | „ |
| 400 | 600 | 28 | „ |
| 600 | | 30 | „ |

ამასთანავე, იმ მეურნეობისათვის, რომელსაც ჰყავს 7 ან 8 მჭამელი, დაწესებულია შეწერილი გადასახადის მონაკლები 5 პროც-ის რაოდენობით; იმ მეურნეობისათვის, რომელსაც ჰყავს 9 ან 10 მჭამელი — 10 პროც-ის რაოდენობით, ხოლო იმ მეურნეობისათვის, რომელსაც 11 ან მეტი მჭამელი ჰყავს—15 პროც-ის რაოდენობით. (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებულ. 37 მუხ.)

### გ. განაკვეთების ტაბულა, რომლითაც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს გადასახადი კულაკური მეურნეობისათვის

34. ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ კულაკურ მეურნეობათათვის გადასახადის გამოსაანგარიშებლად—შემოსავლის — პირველ 500 მანეთზე მეურნეობას გადახდება 20 კაპ. თითო მანეთზე.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლის | 500 მ. | მეტი | თანხ. | 700 მ-დე | გადახდება | 30 კ. | თითო მან. |
| „ | 700 „ | „ | „ | 1000 „ | „ | 40 „ | „ „ |
| „ | 1000 „ | „ | „ | 3000 „ | „ | 50 „ | „ „ |
| „ | 3000 „ | „ | „ | 6000 „ | „ | 60 „ | „ „ |
| „ | 6000 „ | | | | „ | 70 „ | „ „ |

(ერთ. სას სამ. გადასახ. დებულების 39 მუხლი)

### დ. გადასახადის გამოანგარიშება კოლექტიური მეურნეობისათვის და იმ ინდივიდუალური მეურნეობისათვის, რომელიც კოლექტიური მეურნეობის წევრია

35. იმ კოლექტ. მეურნეობას, სადაც დასაბეგრავი შემოსავალი ნორმების მიხედვით განისაზღვრება, გადასახადი გადახდება შემდეგი რაოდენობით:

სასოფლო-სამეურნეო კომუნას—4 კაპ. დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე.

სხვა კოლექტიურ მეურნეობის განსაზოგადოებული ნაწილისათვის—5 კაპ. დასაბეგრი შემოსავლის თვითეული მანეთზე. (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებ. 40 მუხლი).

36. იმ კოლექტიურ მეურნეობას, სადაც დასაბეგრავი შემოსავალი ანგარიშგების მიხედვით განისაზღვრება, გადასახადი გადახდება შემდეგი რაოდენობით:

სასოფლო-სამეურნეო კომუნას—2 კაპ. დასაბეგრავი შემოსავლის თვითეულ მანეთზე.

სხვა კოლექტიურ მეურნეობას—3 კაპ. დასაბეგრავი შემოსავლის თვითეულ მანეთზე.

(ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 41 მუხლი).

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექტიური მეურნეობისათვის ამა მუხლის თანახმად გამოანგარიშებული გადასახადი მეტი იქნება გადასახადის იმ თანხაზე, რაც ამ მეურნეობას უნდა გადაეხადა, დასაბეგრავი შემოსავალი რომ ნორმების მიხედვით ყოფილიყო განსაზღვრული, გადასახადი შემცირდება აღნიშნული თანხის რაოდენობამდე. (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებულ. 41 მუხლის შენიშვნა).

37. უკეთუ კოლექტიური მეურნეობის წევრს დარჩა თავისი ინდივიდუალური მეურნეობა, ამ არაგანსაზოგადოებული მეურნეობის შემოსავალი დაიბეგრება განაკვეთების ტაბულის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების 33 მუხლში. ხოლო ამასთანავე, 20 მანეთის გამოკლება თვითეულ მჭამელზე არ მოხდება და დაუბეგრავი მინიმუმიც შეფარდებულ არ იქნება. (ერთ. სასოფლო-სამ. გადასახ. დებ. 42 მუხლი).

### ე. გადასახადის გამოანგარიშება საბჭოთა მეურნეობისათვის

38. გადასახადი საბჭოთა მეურნეობისათვის ყველგან გამოანგარიშებულ უნდა იქნეს გადასახადის საშუალო განაკვეთის მიხედვით, რაც დასაბეგრავი შემოსავლის ერთ მანეთზე მოდის ამა თუ იმ ოლქში ან მაზრაში, ხოლო საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებსა და ოლქში—სათანადო რესპუბლიკასა და ოლქში. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 43 მუხლი).

## კარი IV.

## გადასახადის შეღავათები

### ა. მცირე-ძალოვან მეურნეობათა შეღავათები

39. მცირე-ძალოვანი ინდივიდუალური მეურნეობანი სრულიად განთავისუფლდებიან გადასახადისაგან—ერთნი—ამა დადგენილების 40 მუხლში გათვალისწინებული დაუბეგრავი მინიმუმის მიხედვით, ხოლო მეორენი, რომელთა შემოსავალიც დაუბეგრავ მინიმუმს აღემატება, სარაიონო საგადასახადო-კომისიების დადგენილებით. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 44 მუხლი).

40. დაუბეგრავი მინიმუმი, ე. ი. შემოსავლის ზღვრული რაოდენობა, რომლის დროსაც მეურნეობა უსათუოდ უნდა განთავისუფლდეს გადასახადისაგან, დაწესებულია ინდივიდუალურ მეურნეობათათვის: როცა მეურნეობაში ერთი და ორი მჭამელია—110 მანეთის რაოდენობით, როცა მეურნეობაში სამი და ოთხი მჭამელია—130 მან. რაოდენობით და როცა მეურნეობაში ხუთი და მეტი მჭამელია—150 მან. რაოდენობით მეურნეობაზე. (ერთ. სას.-სამ. გადასახად. დებ. 45 მუხლი და ა.-კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების მე-13 მუხლი „ა" პუნქტი):

შენიშვნა. სარაიონო-საგადასახადო კომისიას შეუძლიან არ შეუფარდოს დაუბეგრავი მინიმუმი იმ პირთა მეურნეობას, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება. (ერთ. სას.-სამ. გად. დებულ. 45 მუხლის შენიშვნა).

41. იმ კოლექტიურ მეურნეობათათვის, რომელთა შემოსავალიც ნორმების მიხედვით გამოიანგარიშება, დაუბეგრავი მინიმუმი დაწესებულია 30 მან. რაოდენობით მჭამელზე, ხოლო იმ კოლექტიურ მეურნეობათათვის, რომელთა შემოსავალიც ანგარიშგების მიხედვით გამოიანგარიშება — 60 მან. რაოდენობით მჭამელზე.

სარაიონო-საგადასახადო კომისიას შეუძლიან 50 პროც. შეუმციროს შენაწერი გადასახადი იმ მცირე-ძალოვან კომუნას, სადაც ღარიბი მეურნეობანი სჭარბობენ და სადაც შემოსავალი დაუბეგრავ მინიმუმს აღემატება. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 46 მუხლი და ა.-კფსრ სახალხო კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების მე-13 მუხ. „ბ" პუნქტი).

42. კოლექტიურ მეურნეობათა დასაბეგრავი შემოსავლის გამოანგარიშების დროს უნდა გამოაკლდეს 75 პროც. მიწისა და საქონლის შემოსავლისა, რაც ეკუთვნის კოლექტიურ მეურნეობის იმ წევრებს, რომელნიც წარსულ წელს მცირე-ძალოვნობის გამო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული იყვნენ. (ერთ. სას.-სამ. გადასახად. დებ. 47 მუხლი).

### ბ. შეღავათები ნათესი ფართობის გადიდების მიზნით

43. განთავისუფლდება დაბეგვრისაგან მთლად ის ნათესი ფართობი, რაც 1930-31 წელს მეტი აღმოჩნდება 1928-29 წ. დაბეგვრის დროს აღრიცხულ ფართობთან შედარებით. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 48 მუხლი).

შენიშვნა. მებამბეობის არც ერთ რაიონში სარწყავ მიწაზე მარცვლეულის ნათესი ფართობის ნამატი გადასახადისაგან არ განთავისუფლდება. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 48 მუხლის შენიშვნა).

44. უკეთუ დიდხანს უხმარი მიწა და გაუტეხავი მიწა მოხნულ იქნა, იგი განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ორი წლის განმავლობაში.

ეს შეღავათი მეურნეობას მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მისი საერთო ნათესი ფართობი 1928-29 წელთან შედარებით გადიდებულია. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 49 მუხლი).

### გ. შეღავათები მოსავლიანობის გადიდების მიზნით

45. მოსავლიანობის გამადიდებელ ღონისძიებათა წასახალისებლად დაწესებულია გადასახადის 10 პროც.-იანი მოსაკლები კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობათათვის. უკეთუ კოლექტიური მეურნეობა ან,—სასოფლო ყრილობის დადგენილებით,—ინდივიდუალური მეურნეობანი მთელი სოფლისა განახორციელებენ აგრომინიმუმს, ე. ი. უმარტივეს ღონისძიებათა მინიმუმს მოსავლიანობის გასადიდებლად (წმინდა ჯიშიანი თესლით დათესვა, ყოველგვარი თესლის გაწმენდა, დახარისხება და შეწამვლა, მწკრივად დათესვა, ბრძოლა მავნებლებთან და სარეველა მცენარეებთან, ადრეული ნასვენი, დაკავებული ნასვენი, მძრალი ანეული, გვალვიან რაიონებში თოვლის დამჭერზოლიანი ნასვენი, ზამთრის ხნულში საქონლის ძოვების მოსპობა, მწვანე სასუქის გამოყენება, საირიგაციო სისტემის თავის დროზე გაწმენდა და სათანადოდ შენახვა, სარწყავი მიწადმოქმედების რაიონებში მორწყვის წარმოება ნორმების მიხედვით და დადგენილ ვადაზე, ნაკლის სასუქის გამოყენება, ტკეპნით გაპატივება).

ღონისძიებათა ნუსხა, რაც აღნიშნული შეღავათის უფლებას იძლევა, ცალკე რაიონებისათვის დაწესდება საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ (აფხაზეთის სსრ-ში და აჭარისტანის ავტ. სსრ-ში—ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ,—ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში—ამ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ) და გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის. ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეურნეობათათვის დაწესდება სხვადასხვა ნუსხა—კოლექტიურ მეურნეობის დონის უფრო მეტად ამაღლების აუცილებლობის მიხედვით. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 50 მუხ. და ა.-კფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9 თარიღისა და 227 №-ის დადგ. 20 მუხლი).

46. იმ მეურნეობათათვის, რომელნიც მთელი სოფლის მასშტაბით პირველად გადავლენ, სასოფლო ყრილობის დადგენილებით, მრავალმინდვრიან თესლბრუნვაზე,—ამა თუ იმ ადგილისათვის დაწესებული ნორმა ნათესის შემოსავლიანობისა შემცირდება 15 პროც.; ინდივიდუალური მეურნეობისათვის, რომელიც მრავალმინდვრიან თესლბრუნვაზე პირველად გადავა, შემოსავლიანობის აღნიშნული ნორმა 10 პროც. შემცირდება. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 51 მუხლი და ა.-კფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 21 მუხ.).

### დ. შეღავათი ტეხნიკური კულტურების განვითარების მიზნით

47. შაქრის ჭარხლის, აბუსალათინის, კანაფის, კენდირის, სოიას, რამის, ზაფრანისა და არახისის ნათესი ფართობი, აგრეთვე ჩაის პლანტაციით, თუთის ხით და კაუჩუკიანი მცენარეებით დაჭერილი ფართობი გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლდება. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 52 და 56 მუხლები და ა.-კფსრ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 17 მუხლი)

შენიშვნა. სოიას ნათესისათვის ამა მუხლით დადგენილი შეღავათი მებამბეობის რაიონებში შეფარდებულ არ იქნება. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 52 მუხ. შენიშვნა და ა.-კფსრ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227-ის №-ის დადგენილების 19 მუხლი).

48. ბამბის ნათესი ფართობი ახალ რაიონებში განთავისუფლდება გადასახადისაგან 5 წლის განმავლობაში დათესვის დროიდან.

იონჯის ნათესი ფართობი, რომელიც ბამბის თესლბრუნვაში შედის, განთავისუფლდება გადასახადისაგან პირველ წელიწადს დათესვის დროიდან.

ბამბის ის ნათესი ფართობი, რაც 1929-30 წლის ნათეს ფართობს აღემატება, განთავისუფლდება გადასახადისაგან, თუნდაც მეურნეობის საერთო ნათესი ფართობი არც კი გადიდებულიყოს. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 53 მუხლი).

49. ყვითელი თამბაქოს ის ნათესი ფართობი, რაც 1929-30 წლის ნათეს ფართობს აღემატება, გადასახადისაგან განთავისუფლდება. (ა.-კფსრ სახ. კომ. საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარ. და 227 №-ის დადგენილების 24 მუხლი).

50. საწეკო თამბაქოს ის ნათესი ფართობი, რაც 1929-30 წლის ნათეს ფართობს აღემატება, დაიბეგრება მემინდვრეობის შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით. (ერთ. სას.-სამ. დებ. 55 მუხლი).

51. ტეხნიკური კულტურებისა და ბალახის სათესლე ფართობი გადასახადისაგან განთავისუფლდება. (ა.-კფსრ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 23 მუხლი).

### ე. შეღავათები მეცხოველეობისა, სარძეო მეურნეობისა და მეურნეობის სხვა დარგების განვითარების მიზნით

52. რძის პროდუქტების სამრეწველო წარმოების ქვემოაღნიშნულ რაიონებში ძროხისა და ხარის შემოსავლიანობის ნორმები შემცირებულია ერთი-ორად 1928-29 წ. ნორმებთან შედარებით:

**თბილისის ოლქში**—წალკის, ბაშკიჩეთის, ხევის, დუშეთის (ფშავ-ხევსურეთი, მლეთი, ფასანაური, გუდამაყარი) და ერწო-თიანეთის რაიონები; **კახეთის ოლქში**—სიღნაღის (ზემოქედი) და თელავის (მთა-თუშეთი) რაიონები; **გორის ოლქში**—ბორჯომის რაიონი (ბაკურიანი, ციხისჯვარი); **ახალქალაქის მაზრაში**—ახალქალაქისა და გორელოვკის რაიონები; **ქუთაისის ოლქში**—ონის რაიონი (ბრაგალ-ღალა); ზუგდიდის, სენაკის და ლანჩხუთის რაიონები (ყოფ. „მეჯოგე"-ს მოქმედების რაიონი); **სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში**—ჯავის (კუდარო, როკა, ჯავა, ქემულთო), ახალგორის (ლეხურა, მონასტერი) და ცხინვალის (ზემლოთი) რაიონები; **აჭარისტანის ავტ. სსრ-ში** ხულოს რაიონი; **აფხაზეთის სსრ-ში**—ღსხუ და აუარა. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 57 მუხ. და ა.-კფსრ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღ. და 227 №-ის დადგენილების 16 მუხლი).

53. სამრეწველო მეცხვარეობის შემდეგ რაიონებში ცხვრისა და თხის შემოსავლიანობის ნორმები შემცირებულია ერთი-ორად 1928-29 წლის ნორმებთან შედარებით:

**კახეთის ოლქში**—თელავის (ალვანი და მთათუშეთი) და სიღნაღის (მთელი რაიონი ანაგას გამოკლებით) რაიონები; **თბილისის ოლქში**—თბილისის (ყარაია), ბორჩალოს (სარვანი, გიაურ-არხი, ბაიდარი, დემურჩი-ჰასანლო, კაჩაგანი),—ხევის და დუშეთის (გუდამაყარი და მლეთი) რაიონები. (ა.-კფსრ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 16 მუხლი).

54. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდება მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა (ძროხა, მოზვერი, ხარი, კამეჩი, ფურ-კამეჩი) და წვრილფეხა საქონლისა (თხა და ცხვარი) ნამატი.

ცხენთა ნამატი განთავისუფლდება გადასახადისაგან იმ რაიონებში, სადაც ცხენი ძირითადი საწევი ძალაა. ამ რაიონებს განსაკუთრებული დადგენილებით განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, (ა.-კ. სფსრ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენ. 14 მუხლი).

55. კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობას მიეცემა გადასახადის 10 პროც.-იანი შეღავათი, უკეთუ კოლექტიური მეურნეობა ან,—სასოფლო ყრილობის დადგენილებით,—ინდივიდუალური მეურნეობანი მთელ სოფლისა მთლიანად განახორციელებენ ზოომინიმუმს, ე. ი. უმარტივეს ღონისძიებათა მინიმუმს მეცხოველეობის გასაუმჯობესებლად (საქონლის სათანადო კვება და მოვლა, დამატებითი კვება ზაფხულობით, საზოგადო საგრილებელი პუნქტების მოწყობა, მოზარდი საქონლის სათანადო აღზრდა, საქონლის გამოკვების საქმის საზოგადოებრივად მოწყობა, სამელიორაციო მუშაობის წარმოება სათიბებისა და ნახირის საძოვებელი ადგილების გასაუმჯობესებლად, ნათელი და მოხერხებული სადგომების მოწყობა საქონლისათვის).

აღნიშნულ ღონისძიებათა ნუსხა განისაზღვრება ამა დადგენილების 45 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 59 მუხ. და ა.-კფსრ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 20 მუხლი).

56. გადასახადისაგან განთავისუფლდება: ა) ჯიშიანი საქონელი და ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო ცხოველის მოწონებული სანაშენო საქონელი კოლექტიურ მეურნეობაში; ბ) ჯიშიანი და მოწონებული სანაშენო საქონელი ყველა საბჭოთა მეურნეობაში; გ) ჯიშიანი სამომშენებლოს საქონელი; დ) ჯიშიანი საქონლის მეურნეობა, რომელიც სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფება. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 60 მუხლი და ა.-კფსრ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღ. და 227 №-ის დადგენილ. 22 მუხლი).

57. კოლექტიურ და ყველა ინდივიდუალურ მეურნეობაში, გარდა კულაკურ მეურნეობისა, გადასახადისაგან განთავისუფლდება მერინოსის და კარაკულის ჯიშის ცხვარი და მათი მეტისები, აგრეთვე ნახევრად-მსხვილმატყლიანი ცხვარი. (ერთ. სას.-სამ. გად. დებულების 61 მუხლი).

58. მეცხენეობის ამხანაგობაში და ინდივიდუალურ მეურნეობაში, რომელიც სამხედრო-სარემონტო ცხენის მოშენებას მისდევს მისთვის მიჩენილ მიწის ნაკვეთზე ჯოგობით და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან დადებული ტიპიურ ხელშეკრულების თანახმად, პირველ ოთხ წელიწადს,—ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ, განთავისუფლდება გადასახადისაგან: ა) სადგილ-მამულო ორგანოების ჯიშიანი საქონლის დავთარში შეტანილი ცხენის ჯოგის ჯიშიანი შედგენილობა და აგრეთვე მონაშენი, რაც უნდა ჩაბარდეს სამხედრო უწყებას ან რაც სანაშენო ჯოგში უნდა დარჩეს; ბ) სათიბი და საძოვარი სამი დესეტინის რაოდენობით თვითეულ ცხენზე (ულაყი, ფაშატი და ერთ წლისაზე მეტი ხნის კვიცი). (ერთ. სას.-სამ. გად. დებულების 62 მუხლი).

59. სახელმწიფო ცხენსაშენი გადასახადისაგან განთავისუფლდება. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 63 მუხლი).

60. სათესი ბალახით და საკვები ფესვნაროთ დაჭერილი ფართობი გადასახადისაგან განთავისუფლდება.

სარწყავ მიწის ნაკვეთზე ეს შეღავათი არ გავრცელდება. (ერთ. სას.-სამ. გად. დებულების 64 მუხლი).

61. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდება ის მიწის ფართობი, რაც საძოვარზე და ნახირის საძოვებელ ნაკვეთზე მოწყობილ სათიბს უჭირავს. (ა.-კფსრ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 17 მუხლი).

62. გადასახადით არ დაიბეგრება მეფუტკრეობის და მეფრინველეობის შემოსავალი, აგრეთვე შინაური კურდღლის მოშენებით მიღებული შემოსავალი. (ა.-კფსრ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 17 მუხლი).

### ვ. შეღავათები ბოსტნების განვითარების მიზნით

63. მიწის ის ფართობი, რაზედაც ახლად გაშენებული ბოსტანია, განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ერთი წლის განმავლობაში. (ა.-კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარ. და 227 №-ის დადგენილების 24 მუხლი).

64. მიწის ის ფართობი, რაზედაც საბოსტნე კულტურების სათესლე ნაკვეთებია, დაბეგვრისაგან განთავისუფლდება. (ერთ. სას.-სამ. გადასახადის დებულების 66 მუხლი).

65. ახლად მოწყობილი საბჭოთა მეურნეობა (სამარცვლეულო, მებამბეობის, მეცხოველეობის და სხვ.) განთავისუფლდება გადასახადისაგან ხუთი წლის განმავლობაში მოწყობის დროიდან. (ერთ. სას.-სამ. გად. დებულების 67 მუხლი).

### თ. შეღავათები საცდელ და საჩვენებელ მეურნეობებს

6. მთლად სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი საცდელი და საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა და აგრეთვე საზოგადოებრივი ნათესი, რომელსაც სასწავლო-საჩვენებელი მნიშვნელობა აქვს, გადასახადისაგან განთავისუფლდება (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 68 მუხ.).

### ი. შეღავათები მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთ (მათ რიცხვში გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ჯარისა და საბადრაგო ნაწილის სამხედრო მსახურთ), თადარიგის სამხედრო ვალდებულთ და ინვალიდთ და აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც გამხედროებული დაცვისა და გამხედროებული სახანძრო დაცვის სამსახურში იმყოფებიან

67. ქვემოაღნიშნულ ტაბულაში გათვალისწინებული შეღავათი ეძლევა იმ მეურნეობას, რომლის შედგენილობაშიაც შედის: ა) საკადრო სამერიგეო და უმცროს მეთაურთა შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც ვადიან (მუდმივ) სამსახურშია ან ვადაზე ზედმეტ სამსახურში, საგადასახადო წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოკლებით; ბ) საშუალო, უფროს და უმაღლეს მეთაურთა შედგენილობის სამხედრო მსახური—საკადრო და რეზერვში მყოფი; გ) საშუალო, უფროს და უმაღლეს მეთაურთა შედგენილობის პირი, რომელიც გრძელვადიან შვებულებაშია, ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაშია და სათადარიგოდ იმყოფება და რომელიც გაწვეულია ისეთ პირთათვის დაწესებულ შეკრებაზე ან ინსტრუქტორად წვევამდელამდე და ჯარის გარეშე მომზადების ჩასატარებლად; დ) უმცროსი საკომანდო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც გრძელვადიანი შვებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში; ე) „ა" და „ბ" პუნქტში აღნიშნული პირი, რომელიც გაშვებულია გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად დათხოვნილია სამსახურიდან წინა საგადასახადო წლის მარტის 1-ის შემდეგ; ვ) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის 1-ლ, მე-2 და მე-3 ჯგუფს მიეკუთვნება, უკეთუ მეურნეობას არაშრომითი ხასიათის შემოსავალი არა აქვს; ზ) განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა გამხედროებული დაცვის სამსახურში და გამხედროებული სახანძრო დაცვის (კერძოდ, გზათა გამხედროებული დაცვის) სამსახურში მყოფი პირი.

### ტაბულა

### სამხედრო მსახურთა და ამა მუხლში აღნიშნულ სხვა პირთა შეღავათებისა

| როდესაც მეურნეობისათვის გამოანგარიშებული გადასახადი თანხა არის | მიეცემა შეღავათი-გადასახადის შემდეგი %-ის რაოდენობით. | |
|---|---|---|
| | უკეთუ მეურნეობაში არის სხვა შრომის უნარიანი მამაკაცი | უკეთუ მეურნეობაში არ არის სხვა შრომის უნარიანი მამაკ. |
| 10 მანეთამდე | 100% | 100% |
| 10 მან. მეტი 15 მანეთამდე | 75% | 90% |
| 10 „ „ 20 „ | 50% | 75% |
| 20 „ „ 30 „ | 35% | 5% |
| 30 „ „ 50 „ | 25% | 35% |
| 50 „ „ 75 „ | 15% | 25% |
| 75 „ „ 100 „ | 5% | 10% |
| 100 „ „ | 5% | 5% |

შენიშვნა. უკეთუ ამა მუხლის „გ" პუნქტში აღნიშნული პირი გაწვეულია შეკრებაზე ან ინსტრუქტორად იანვრის 1-ის შემდეგ, მეურნეობას აქვს შეღავათი არა ამ საგადასახადო წელს, არამედ შემდეგ წელს. (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 69 მუხლი და მისი შენიშვნა).

68. ამა დადგენილების 67 მუხლში აღნიშნული პირნი ჩაითვლებიან მეურნეობის მჭამელთა შედგენილობაში (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 70 მუხლი).

69. კოლექტიურ მეურნეობაში, რომლის შედგენილობაშიაც შედიან ამა დადგენილების 67 მუხლში ჩამოთვლილი პირნი, მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხიდან გამოირიცხება შემოსავლის ის თანხა, რაც აღნიშნულ პირებზე მოდის (ერთ. სას. სამ. გად. დებ. 71 მუხ.).

70. კოლექტიურ მეურნეობაში, რომელმაც თავის წევრთა რიცხვში მიიღო საკადრო, სამერიგეო და მეთაურთა შედგენილობის სამხედრო მსახური, არა უგვიანეს ერთი წლისა მისი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებიდან დათხოვნის დღიდან, ან არმიის ტერიტორიალური ნაწილის უმცროს მეთაურთა ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახური, დასაბეგრი შემოსავლის თანხიდან გამოირიცხება,—ორი წლის განმავლობაში აღნიშნული სამხედრო მსახურის მიღების შემდეგ,—შემოსავლის ის თანხა, რაც ამ სამხედრო მსახურზე მოდის. ეს შეღავათი მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში შეფარდებულ არ იქნება. (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 72 მუხლი).

71. უკეთუ მეურნეობის შედგენილობაში შედის ცხენოსანთა ტერიტორიალურ ნაწილის ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახური, გაწვეული 3 თვიან სწავლებაზე სამსახურის პირველ წელიწადს ან შეკრებაზე საკუთარი სამწყობრო ცხენით,—ეს ცხენი გადასახადით არ დაიბეგრება (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 73 მუხლი).

72. მეურნეობას, სადაც არის სამხედრო მსახური და სათადარიგო სამხედროვალდებული პირი, რომელიც გაწვეულია ისეთ პირთათვის დაწესებულ სწავლებაზე და შეკრებაზე, ვადა გადასახადის იმ ნაწილის გადახდისა, რაც შეტანილ უნდა იქნეს სწავლების თუ შეკრების დროის განმავლობაში, გადაიდება ერთი თვით ამ პირის დაბრუნების დღიდან. საურავი ამ დროისათვის დარიცხულ არ უნდა იქნეს (ერთ. სას. სამ. გადასახ. დებულების 74 მუხლი).

73. მეურნეობა, რომელსაც ეძლევა შეღავათები ამა დადგენილების 67—72 მუხლების თანახმად, არ ჰკარგავს უფლებას ამა დადგენილებით გათვალისწინებულ სხვა შეღავათებზე (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 75 მუხლი).

### კ. შეღავათები გადასახლებულთ.

74. კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც გეგმიანი წესით ახალ ადგილას გადასახლდება, ეძლევა შემდეგი შეღავათი: ა) მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა მიწის ამოძირკვა და სამელიორაციო მუშაობა კულტურული მიწების განმზადებისათვის, განთავისუფლდება გადასახადისაგან 6 წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ; ბ) მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა გაუტეხავი მიწის დამუშავება, განთავისუფლდება გადასახადისაგან 4 წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ; გ) მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც გაუტეხავი მიწის დამუშავება საჭირო არ არის, განთავისუფლდება გადასახადისაგან 3 წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ. (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 76 მუხლი).

75. ინდივიდუალურ მეურნეობათ, რომელნიც 1930 წლის იანვრის 1-მდე გადასახლდნენ ახალ ადგილას გადასახლების წესების თანახმად, ეძლევათ შემდეგი შეღავათი: ა) მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა მიწის ამოძირკვა და სამელიორაციო მუშაობა კულტურული მიწების განმზადებისათვის,—განთავისუფლდება გადასახადისაგან 5 წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ; ბ) მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა გაუტეხავი მიწის დამუშავება, განთავისუფლდება გადასახადისაგან 3 წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ. (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 77 მუხლი).

76. 1930 წლის იანვრის 1-ის შემდეგ გადასახლებულ ინდივიდუალურ მეურნეობას შეღავათი მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი გადასახლებულ იქნება იმ რაიონებში, რომელთა სიასაც შეადგენს სსრ კავშირის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად. იმავე წესით განისაზღვრება ამ მეურნეობათა შეღავათების მოცულობა. (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 78 მუხლი).

77. უკეთუ გადასახლებულ მეურნეობას სტიქიური უბედურება დააზარალებს, ვადა, რომლის განმავლობაშიაც მას შეღავათი ეძლევა, სათანადოდ გადიდდება (ერთ. სას სამ. გად. დებულების 79 მუხლი).

78. გადასახლებულთათვის დაწესებული შეღავათი გავრცელდება აგრეთვე: ა) ემიგრანტებსა და რეემიგრანტებზე, რომელნიც თავის შრომას სოფლის მეურნეობაში იწყებენ; ბ) ბოშებზე, რომელნიც იწყებენ მობინადრე შრომითი ცხოვრებას, უკეთუ მათ მიეცემათ მიწა სოფლად. (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 80 მუხლი).

### ლ. შეღავათები სტიქიური უბედურობისაგან დაზარალებულ მეურნეობათ

79. სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობა განთავისუფლდება გადასახადისაგან სარაიონო საგადასახადო კომისიის მიერ სრულიად ან ნაწილობრივ—მეურნეობისათვის მიყენებული ზიანისა და მეურნეობის ძალოვნების მიხედვით (ერთიანი სას. სამ. გადასახადის დებულების 81 მუხ.).

### მ. შეღავათები კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულთ

80. შრომითი მეურნეობა, რაც ეკუთვნის იმ პირის ქვრივსა და არასრულწლოვან შვილს, რომელიც კულაკების მიერ მოკლულ იქნა კულაკების წინაამდეგ გამოსვლისათვის, განთავისუფლდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ხუთი წლის

(გაგრძელება იხ. მე-4 გვერდზე)

განმავლობაში აღნიშნული პირის სიკვდილის შემდეგ (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 84 მუხლი).

### ნ. სხვა შეღავათები

81. სოფლის შრომითი მეურნეობა, რომელიც ეკუთვნის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ შესრულებასთან დაკავშირებით მოკლული ტყის მომუშავის ქვრივსა და არასრულწლოვან შვილებს, განთავისუფლდება გადასახადისაგან 5 წლის განმავლობაში აღნიშნული მომუშავის სიკვდილის შემდეგ. (ერთ. სას. სამ. გადასახადის დებულების 85 მუხლი).

82. იმ პირთა მეურნეობა, რომელთაც იკისრეს ობლებისა და მათი ქონების მეურვეობა და მზრუნველობა, განთავისუფლდება მეურვეობაში მყოფ პირთა ხვედრი მიწის ნაკვეთებისა და მათი კუთვნილი საქონლის შემოსავლის გადასახადისაგან—სამი წლის განმავლობაში მეურვეობის და მზრუნველობის დაწყების დროიდან.

ობოლი ჩაირიცხება მეურვის ან მზრუნველის მეურნეობის მჭამელთა რიცხვში.

ეს შეღავათი შეფარდებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეურვე ან მზრუნველი ობოლთან ერთად ცხოვრობს და მათი მეურნეობაც ერთად სწარმოებს. (ერთ. სას. სამ. გადასახადის დებულების 86 მუხლი).

83. დამატებითი მიწა, რაც გლეხის ოჯახს ან კოლექტიურ მეურნეობას მიეცემა მის მიერ სასოფლო-სამეურნეო შრომისათვის მოსამზადებლად საბავშო სახლიდან აყვანილ მოზარდზე,—განთავისუფლდება გადასახადისაგან სამი წლის განმავლობაში აღნიშნული მიწის მიღების დროიდან. (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 87 მუხლი).

84. გადასახადისაგან განთავისუფლდება: ა) საზოგადოებრივი ნათესი იმ ნაკვეთზე, რაც გამოყოფილია საზოგადოებრივი ფონდიდან სასოფლო ყრილობის დადგენილებით და რაც დათესილია საზოგადოებრივი სახსრით ხელმოკლე სათესლე მარაგის შესავსებლად; ბ) საზოგადოებრივი ნათესი იმ ნაკვეთზე, რაც გამოყოფილია სარაიონო ფონდიდან და გამოყენებული გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების მიერ და მისი თანახმად ორგანიზაციის მიერ თავისი მიზნების განსახორციელებლად;

გ) საზოგადოებრივი ნათესი, რაც დანიშნულია კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა სასურსათო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;

დ) მეურნეობა სკოლისა, საბავშო დაწესებულებისა, საპატიმრო ადგილისა (მათ რიცხვში თავისუფლდება—ალკოჰოლიკებისათვის არსებული შრომის კოლონიისა) და აგრეთვე სამკურნალო დაწესებულებისა,—რომელიც სახელმწიფო საზოგადოებრივ და პროფესიონალურ დაწესებულებას ან ორგანიზაციას ეკუთვნის; ე) სასწავლო-წარმოებითი მეურნეობა, რომელიც საბავშო სახლების მოზარდთა და უპატრონო ბავშვთათვის არსებობს. (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 88 მუხლი).

## კარი V.

### გადასახადის შეტანის ვადები

85. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 92 მუხლისა და ა. კავშირ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 26 მუხლის საფუძველზე—დაწესებულია შემდეგი ზღვრული ვადები ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანისათვის:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-ლი ვადა | ოქტომბრის 1-ლი | 30% | შენაწერი გადასახადისა; |
| მე-2 ვადა | დეკემბრის 1-ლი | 50% | შენაწერი გადასახადისა; |
| მე-3 ვადა | იანვრის 1-ლი | 20% | შენაწერი გადასახადისა. |

შენიშვნა: აფხაზეთის სს რესპუბლიკისათვის დაწესებულია შემდეგი ზღვრული ვადები გადასახადის გადახდისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-ლი ვადა | დეკემბრის 1-ლი | 20% | შენაწერი გადასახადისა; |
| მე-2 ვადა | თებერვლის 1-ლი | 60% | შენაწერი გადასახადისა; |
| მე-3 ვადა | მარტის 1-ლი | 20% | შენაწერი გადასახადისა. |

86. ინდივიდუალურ წესით დაბეგრილი კულაკური მეურნეობისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მთლიანად გადახდის ვადად დაწესებულია 1930 წლის ოქტომბრის პირველი, გარდა მეთამბაქოობის და მებამბეობის რაიონებისა, სადაც გადასახადის მთლიანად გადახდის ვადად კულაკური მეურნეობისათვის დაწესებულია 1930 წლის დეკემბრის პირველი. (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 95 მუხლი და ა. კავშირ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 27 მუხლი).

87. დაწესებული ვადები დაუყოვნებლივ, ამა კანონის გამოქვეყნებისათანავე, გამოცხადდება სასოფლო ყრილობებზე, შეიტანება საგადასახადო ფურცლებში და მთელი საგადასახადო წლის განმავლობაში სრულიად უცვლელი დარჩება. (ერთ. სას. სამ. გად. დებულების 94 მუხლი).

## კარი VI.

### გადასახადის ჩატარებისა, გამოანგარიშებისა და გადახდევინების ორგანოები

88. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარება დაეკისრება სასოფლო საბჭოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და იმ ქალაქ—ადგილის საქალაქო საბჭოს, სადაც სოფლის მეურნეობის მწარმოებელნი პირნი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან. (ერთ. სას. სამ. დებულების 96 მუხლი და ა. კავშირ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დებულების 29 მუხლი).

89. სასოფლო საბჭოს დაეკისრება:

ა) დამტკიცოს სოფლობრივ შედგენილი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა სიები, აღნუსხოს შემოსავლის წყაროები და მჭამელნი;

ბ) ჩააბაროს გადამხდელთ საგადასახადო ფურცლები;

გ) იხმაროს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით, იძულებითი ღონისძიებანი გადასახადის გადახდევინებისათვის არაპირიან გადამხდელთა მიმართ. (ა. კავშირ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 30 მუხლი).

90. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩასატარებლად სასოფლო-საბჭოსთან მოეწყობა, როგორც დამხმარე ორგანო, სასოფლო საღრიცხვო კომისია.

სასოფლო საღრიცხვო კომისიის წევრებია: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე და სასოფლო ყრილობის მიერ არჩეული პირი.

სასოფლო საღრიცხვო კომისიის თავმჯდომარედ არის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

სასოფლო ყრილობის მიერ არჩეული წევრი საღრიცხვო კომისიისა მონაწილეობას იღებს კომისიის მუშაობაში მხოლოდ იმ საქმეების გამო, რაც შეეხება სათანადო სოფელში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებას. (ა. კავშირ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 31 და 32 მუხლები).

91. სასოფლო საღრიცხვო კომისიას, როგორც დამხმარე ორგანოს, დაეკისრება:

ა) შეადგინოს სიები სოფლობრივ და აღნუსხოს შემოსავლის წყაროები და მჭამელნი;

ბ) წინასწარ განსაზღვროს თვითეული მეურნეობისათვის რაოდენობა არასამიწადმოქმედო შემოსავლისა;

გ) წინასწარ შეადგინოს კულაკურ მეურნეობათა სია და გამოარკვიოს მათი შემოსავალი;

დ) მისცეს დასკვნა გადამხდელთა საჩივრებისა და აგრეთვე შეღავათის და მონაკლების თაობაზე აღძრული შუამდგომლობის შესახებ. (ა. კავშირ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 33 მუხლი).

92. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) შეამოწმოს, თუ რამდენად სწორია სასოფლო საბჭოების მიერ შედგენილი სოფლობრივი სიები და მათ მიერვე წარმოებული აღნუსხვა შემოსავლის წყაროებისა;

ბ) დააჯარიმოს გადამხდელი, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 82 მუხლის წესისამებრ, უკეთუ იგი შემოსავლის წყაროს (მიწის რაოდენობა, საქონლის რიცხვი და სხვ.) დაუმალავს გადასახადის გადახდევინების ორგანოს;

გ) იხმაროს იძულებითი ღონისძიებანი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინებისათვის;

დ) მიიღოს გადასახადის შესატანი თანხა და გადაუგზავნოს იგი გადასახადის მიმღებ დაწესებულებას;

ე) დაუბრუნოს და გაუბაროს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელს ზედმეტად შეტანილი თანხა;

ვ) აწარმოოს ცალკე გადამხდელთა პირადი ანგარიშები და აგრეთვე მთლად ანგარიშწარმოება და ანგარიშგება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დარგში;

ზ) საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს გადასახადის გადახდევინების საქმეს რაიონის ფარგლებში. (ა. კავშირ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 34 მუხლი).

93. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სარაიონო კომისია შემდეგი შედგენილობით:

ა) თავმჯდომარე—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო ნაწილის გამგე;

გ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საადგილ-მამულო ნაწილის გამგე;

დ) მიწა-ტყის მომუშავეთა კავშირის პროფესიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელი;

ე) კოლექტიურ მეურნეობათა სარაიონო კავშირის გამგეობის წევრი, ვისაც გამგეობა დანიშნავს;

ვ) ორი გლეხი, რომელთაგან ერთს დანიშნავს გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტი, ხოლო მეორეს აირჩევს სათანადო სასოფლო ყრილობა. (ა. კავშირ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის .-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 35 მუხლი).

94. ქალაქ-ადგილის, სადაც ტარდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრა, საქალაქო საბჭოსთან მოეწყობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისია, რომელშიაც შედიან: თავმჯდომარე საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ან მისი პრეზიდიუმის წევრი, წარმომადგენელნი (თითო) სათანადო საფინანსო ორგანოსი, საქალაქო მეურნეობის განმგებელი ორგანოსი და მიწა-ტყის მომუშავეთა კავშირის სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციისა, ვისაც ეს ორგანოები და ორგანიზაცია დანიშნავს, და ერთი წარმომადგენელი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთაგან. (ა. კავშირ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 36 მუხლი).

95. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სარაიონო და საქალაქო კომისიებს დაეკისრებათ:

ა) გამოარკვიონ გადამხდელთა არასამიწადმოქმედო შემოსავალი და საბოლოოდ განსაზღვრონ იმ მეურნეობათა მთელი დასაბეგრავი შემოსავალი, რომელთაც არასამიწადმოქმედო საშოვარი აქვთ;

ბ) საბოლოოდ დაამტკიცონ ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ მეურნეობათა სია და განსაზღვრონ ამ მეურნეობათა შემოსავალი;

გ) განთავისუფლონ სრულად ან ნაწილობრივ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სტიქიური უბედურებით დაზარალებული მეურნეობანი;

დ) გადასწყვიტონ გადამხდელთა (საბჭოთა მეურნეობების გარდა) საჩივრები შემოსავლის არა სისწორით აღრიცხვისა, შემოსავლის თანხის არასისწორით აღრიცხვისა და შეწერი გადასახადის არასისწორით გამოანგარიშების შესახებ;

ე) მიანიჭონ გადამხდელთ კანონით გათვალისწინებული ყველა შეღავათი და მონაკლება. (ა. კავშირ სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 37 მუხლი).

96. აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებთან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, აგრეთვე ყველა საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყობიან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიები შემდეგი შედგენილობით:

ა) თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი;

ბ) სათანადო საფინანსო, საადგილ-მამულო და სტატისტიკური ორგანოებისა და საკავშირთაშორისო პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენელნი (თითო).

გ) გლეხთა სათანადო საურთიერთო დამხმარების კომიტეტის თავმჯდომარე;

დ) კოლექტიურ მეურნეობათა სათანადო შენაერთის წარმომადგენელი. (ა-კავშირ სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 38 მუხლი).

97. წინა მუხლში აღნიშნულ, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიას დაეკისრება:

ა) წინასწარ განიხილოს საკითხები და წარუდგინოს თავისი დასკვნა სათანადო სახალხო კომისართა საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტს შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ რაიონებისა და სოფლებისთვის და შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმების დაწესების შესახებ სხვადასხვაგვარი ნათესებისა, ბაღებისა და ბაღჩებისათვის;

ბ) გადასწყვიტოს ზედამხედველობის წესით ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ქვემდგომი კომისიების დადგენილებებზე შეტანილი საჩივრები. (ა-კავშირ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 39 მუხლი).

98. გადამხდელთა დასაბეგრავი შემოსავლის აღრიცხვა, შესაწერი გადასახადის გამოანგარიშება საგადასახადო ფურცლებისა და პირადი ანგარიშების შედგენა დაეკისრება საოლქო (სამაზრო) საფინანსო განყოფილებებს და მათ შესაბამის საფინანსო ორგანოებს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში.

შენიშვნა: ამა მუხლში დასახელებულ საფინანსო ორგანოებს უფლება აქვთ ზემოაღნიშნული მოვალეობანი ცალკეულ შემთხვევაში დააკისრონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საფინანსო ნაწილებს. (ა-კავშირ სახ. კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების მე-40 მუხლი).

99. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოეწყობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რესპუბლიკანური კომისია სახალხო კომისართა საბჭოსვე დადგენილებით განსაზღვრული შედგენილობით.

(ა-კავშირ სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227-ის დადგენ. 41 მუხ.).

100. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რესპუბლიკანურ კომისიას დაეკისრება განიხილოს წინასწარ საკითხები და წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს თავისი დასკვნები:

ა) იმ ქალაქ-ადგილების სიის განსაზღვრის შესახებ, სადაც ის პირნი, რომელნიც სოფლის მეურნეობას ეწევიან, იბეგრებიან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით და აგრეთვე იმ პირთა კატეგორიის განსაზღვრის შესახებ, რომელნიც ამ ქალაქ-ადგილებში ცხოვრობენ და ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან;

ბ) შემოსავლის ცალკეული წყაროების შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ;

გ) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდის ვადების დაწესების შესახებ;

დ) იმ მარტივ ღონისძიებათა ნუსხის დადგენის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მოსავლიანობის გადიდებას და მეცხოველეობის გაუმჯობესებას. (ა-კავშირ სახ. კ-თა საბჭოს 1930 წ. მარტის 9-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების 42 მუხლი).

## კარი VII.

### ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამო განცხადებათა და საჩივართა შეტანისა და განხილვის წესი

101. ყველა განცხადება და საჩივარი ინდივიდუალური და კოლექტიური მეურნეობისა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამო შეიტანება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც მოვალეა დაუყოვნებლივ გადასცეს ეს განცხადება და საჩივარი განსახილველად სარაიონო საგადასახადო კომისიას.

სარაიონო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს უშუალოდ ზემდგომ საგადასახადო კომისიაში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

საგადასახადო კომისია მოვალეა განიხილოს მიღებული განცხადება და საჩივარი ერთი თვის ვადაზე მათი შეტანის დღიდან. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 97 მუხლი).

102. განცხადებისა და საჩივრის შეტანისათვის დაწესებულია შემდეგი ვადები:

ა) საჩივარი შემოსავლის წყაროებისა და მჭამელთა რიცხვის არასისწორით აღრიცხვის შესახებ და შემოსავლის განსაზღვრისა და გადასახადის გამოანგარიშების შესახებ აგრეთვე განცხადება შეღავათის მიცემის შესახებ გარდა სტიქიური უბედურებასთან დაკავშირებული შეღავათისა, შეტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა გადამხდელისათვის საგადასახადო ფურცლის ჩაბარების დღიდან;

ბ) განცხადება სტიქიური უბედურების გამო შეღავათის მიცემის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც სტიქიური უბედურება მოხდა. (ერთ. სას.-სამ. გად. დებულების 98 მუხ.).

103. განცხადებისა და საჩივრის შეტანა გადასახადის გადახდევინებას ვერ შეაჩერებს. (ერთ. სას.-სამ. გად. დებულ. 99 მუხ.).

## კარი VIII.

### პასუხისმგებლობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების აღსრულებისათვის

104. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა და სასოფლო საბჭოს დაეკისრება პასუხისმგებლობა თვითეული მეურნეობის დასაბეგრავი შემოსავლის წყაროებისა და მჭამელთა რიცხვის სისწორით და თავის დროზე აღრიცხვისათვის, დასაბეგრავი შემოსავლის თანხისა და შესაწერი გადასახადის სისწორით და თავის დროზე გამოანგარიშებისათვის და საგადასახადო ფურცლების თავის დროზე ჩაბარებისათვის, აგრეთვე გადასახადის თავის დროზე და სრულად გადახდევინებისათვის. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 101 მუხ.).

105. უკეთუ გადამხდელი გადასახადის გადახდევინების ორგანოს შემოსავლის წყაროებს (მიწა, ოთხფეხი საქონელი და სხვ.) დაუმალავს, იგი დაჯარიმებულ უნდა იქნეს ადმინისტრატიული წესით ან მიეცეს პასუხისგებაში სასამართლო წესით.

ჯარიმას დაადებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი. ჯარიმა არ შეიძლება უფრო მეტად, ვიდრე ხუთჯერ აღემატებოდეს იმ თანხას, რა თანხითაც შემცირდება შეწერილი გადასახადი სამემოსავლო წყაროს გადამალვის გამო.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ჯარიმის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 102. მუხ.).

შენიშვნა: აფხაზეთის სსრ-ში, აჭარისტანის ავტ. სსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში საჩივარი შეიტანება ერთიანი სას.-სამ. გადასახადის სათანადო რესპუბლიკანურ ან საოლქო კომისიაში.

106. გადამხდელს, რომელიც გადასახადს არ გადაიხდის ამა დადგენილების წესისამებრ განსაზღვრულ და გამოქვეყნებულ ვადებში, შეეფარდება „გადასახადთა გადახდევინების დებულებით" გათვალისწინებული ღონისძიებანი, კერძოდ, იმ გადამხდელის ქონება, რომელიც გადასახადს არ გადაიხდის, აიწერება და გაიყიდება საჯარო ვაჭრობით, ხოლო ვადის გადაცილებისათვის მას გადამხდება საურავი 0,2 პროც. თვითეული გადაცილებული დღისათვის. (ერთ. სას.-სამ. გადასახ. დებულ. 103 მუხლი).

## კარი IX.

### ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებისათვის ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევა

107. თვალყურის დევნება ამა დადგენილების აღსრულებისათვის და საერთო ხელმძღვანელობის გაწევა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებისათვის დაეკისრება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც ეძლევა უფლება გამოსცეს ხოლმე სათანადო ინსტრუქციები, ცირკულიარები და განმარტებები.

108. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი იხელმძღვანელებს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულებას, ამა დადგენილებას და იმ ინსტრუქციებს, რასაც გამოსცემენ სსრ-ისა და ა-კავშირ ფინანსთა სახალხო კომისარიატები.

## კარი X.

### საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილებათა შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა

109. ამა დადგენილების სავალდებულო შემოღებისთანავე ძალას ჰკარგავენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

ა) 1929 წ. მარტის 29-სა „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1929—30 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ". (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-7 №-რი, მუხ. 60);

ბ) 1929 წ. მაისის 21-ისა „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1929—30 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე გამოცემული დადგენილების შევცვლისა და დამატების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-12 №-რი, მუხ. 117);

გ) 1929 წ. მაისის 21-ისა „იმ აშკარა კულაკურ მეურნეობათა შესახებ, რომლებზედაც არა ვრცელდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 44 მუხლის „ა" და „ბ" პუნქტებით გათვალისწინებული შეღავათები" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-12 №-რი, მუხ. 118);

დ) 1929 წ. ოქტომბრის 11-სა „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1929-30 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 21 №-რი, მუხ. 245);

ე) 1929 წ. ნოემბრის 1-სა „საქართველოს სსრ-ში სამეცხვარეო მეურნეობათათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში შეღავათების მინიჭების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 22 №-რი, მუხ. 276)

ვ) 1929 წ. დეკემბრის 1-ისა „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1929-30 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე გამოცემული დადგენილების 42 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 24 №-რი, მუხ. 307);

ზ) 1929 წ. დეკემბრის 1-სა „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1929-30 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 24 №-რი, მუხ. 310).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი — **პ. მეზრელიშვილი.**

1930 წ. მარტის 16.
თბილისი — სასახლე.

## საუკეთესო ამხანაგების ხსოვნას

## სამგლოვიარო სხდომა

### ამხ. მიასნიკოვის, მოგილევსკის და ათარბეგოვის ხსოვნის აღსანიშნავად

გუშინ, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა ამხ. მიასნიკოვის, ათარბეკოვის და მოგილევსკის ტრაგიკულად დაღუპვის დღიდან ხუთი წლის შესრულების გამო ხსოვნის აღსანიშნავი სამგლოვიარო სხდომა.

სამგლოვიარო სხდომა გახსნა ამხ. ფ. მახარაძემ. ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას მრავალრიცხოვან აუდიტორიამ ფეხზე ადგომით პატივი სცა.

ამხ. მახარაძის შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. შ. ელიავამ.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, — სთქვა მომხსენებელმა, — რაც ტრაგიკულად დაიღუპნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლნი ამხანაგები — მიასნიკოვი, ათარბეკოვი და მოგილევსკი. ხუთი წლის წინად კომუნისტური პარტიის რიგებს გამოაკლდნენ ძველი გვარდიის სამი ენერგიული მუშაკი, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის სამი დაუღალავი მებრძოლნი.

ამხ. მიასნიკოვი იყო არა მარტო ამიერ-კავკასიის (ფედერატიული რესპუბლიკის იდეური ხელმძღვანელი, არამედ ის იყო ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების უდიდესი ორგანიზატორი. ამხ. მიასნიკოვი ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო ამიერ - კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის შექმნის.

ჩვენი მტრები, რომლებიც ევროპის სხვადასხვა კუთხეებში დაძრწიან, ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების შესახებ. ამით მათ სურთ შექმნან ევროპის საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოთ. საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო ამიერ - კავკასიის ერთა შორის შუღლსა და მტრობას. ხელისუფლების აღებისთანავე ჩვენი მიზანი იყო შეგვექმნა ისეთი სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში შემავალ ყველა ერებს მისცემდა თავისუფალ შესაძლებლობას სოციალიზმის მშენებლობაში მიეღო აქტიური მონაწილეობა. მუშებისა და გლეხების გამარჯვებისთანავე ჩვენ ხელი მოვკიდეთ სახელმწიფოს ისეთი სისტემის მოწყობას, რომელიც უზრუნველყოფდა სხვადასხვა ერებს შორის მშვიდობიანობას. ამ მუშაობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამხ. მიასნიკოვს.

ამხ. მიასნიკოვი უდიდესი პროპაგანდისტი იყო ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცებისათვის. ამხ. მიასნიკოვი სასტიკად ებრძოდა ყოველგვარ ნაციონალიზმს. პირველ ხანებში ბევრი დაბრკოლებები ელობებოდა წინ ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცებას, მაგრამ ყოველივე ეს დაძლეულ იქნა და მიზანი ა.-კ ფედერაციის განმტკიცების შესახებ განხორციელდა. ამხ. მიასნიკოვს უდიდეს მიღწევად მიაჩნდა, რომ ჩვენ მოვახდინეთ ფულის რეფორმა, რადგან ის ამ ფაქტს უაღრესად დიდ მნიშვნელობას აძლევდა. ამხ. მიასნიკოვის ტრაგიკულად დაღუპვის 5 წლის თავზე ა.-კ. ფედერაციის განმტკიცებაში ჩვენ უდიდეს მიღწევები გვაქვს. მას შემდეგ ჩვენ შევქმენით ა.-კავკასიის სამეურნეო ცენტრები, რომლებიც მთლიან ხელმძღვანელობას უწევს ყველა რესპუბლიკებს. ჩვენ ავაგეთ მრავალი სადგურები, საძირკველი ჩაუყარეთ ახალ ელექტრო-სადგურებს, ავაგეთ და ვაგებთ ახალ ფაბრიკა-ქარხნებს; მოკლედ: ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე. ამ დროს კი ჩვენი დაუძინებელი მტრები, მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები ევროპაში ბოლმას ანთებენ ა.-კ. ფედერაციის წინააღმდეგ.

დაუღალავი მუშაკები იყვნენ ამხ. ათარბეკოვი და მოგილევსკი. სამი დაუღალავი და ენერგიით სავსე მუშაკები გამოგვაკლდნენ მაშინ, როდესაც ჩვენ ძალების სიმცირეს განვიცდით.

ჩვენ გვინდა ისეთი მუშაკი, როგორიც იყო მიასნიკოვი, ჩვენ გვინდა ენერგიული ამხანაგები, როგორიც იყვნენ ათარბეგოვი და მოგილევსკი.

ამხ. შ. ელიავას მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდა ა.-კ. რესპუბლიკის მიწადმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ერზინკიანი. ამხ. ერზინკიანმა მოკლედ დაახასიათა ამხ. მიასნიკოვის მუშაობა კერძოდ საბჭოთა სომხეთში და საერთოდ ამიერ - კავკასიის ფედერაციის განმტკიცების საქმეში.

### ამხ. მიხა ცხაკაიას დეპეშა

ამხ. მ. ცხაკაიამ 22 მარტს ამხ. მიასნიკოვის, ათარბეკოვის და მოგილევსკის ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ სამგლოვიარო სალამოს პრეზიდიუმს ბათომიდან გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ხუთი წელი სრულდება, რაც პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ დაჰკარგა თავისი საუკეთესო მებრძოლნი, რომლებსაც გამოვლილი ჰქონდათ დიადი ძლევამოსილი სამოქალაქო ომი პროლეტარული ოქტომბრის უდიდესი მიღწევებისათვის.

დაუვიწყარი ამხანაგების მიასნიკოვის, ათარბეკოვის და მოგილევსკის სახით ბოლშევიკებმა დაჰკარგეს ძნელად შესაცვლელი თანამებრძოლნი და მეგობარნი, რომელნიც ჩვენთან ერთად თავგანწირულად აშენებდნენ სოციალიზმს და მრავალტომიანი ამიერ - კავკასიის ხალხებისა და ერების ძმურ ერთობას.

ჩვენ მათ არ დავივიწყებთ, მათ არ დაივიწყებს სომხეთის, აზერბეიჯანის, საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა.

მათი დაღუპვის ხუთი წლის თავზე მათი ხსოვნის საუკეთესო აღნიშვნა იქნება გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის თავგამოდებით გატარება და მთელი ჩვენი ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში და კიდევ უფრო მოკლე ვადაში განხორციელება".

**მიხა ცხაკაია.**

## აჭარისტანის საბჭოთა ყრილობა

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### ყრილობის დახურვა

**ბათომი,** 22 მარტი. დაიხურა აჭარისტანის საბჭოთა ყრილობა. ყრილობამ აირჩია ცაკის 111 წევრი და 23 კანდიდატი. ყრილობის დადგენილებით გაერთიანებული იქნება ცაკი და სახკომსაბჭო. გაუქმებულია შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატები, სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო გაერთიანებულია საგეგმო კომისიასთან.

ხვალ შესდგება ცაკის სესია, რომელიც აირჩევს მთავრობას.

## მარგანეცის მრეწველობაში არ არის აღმოფხვრილი მუშაობის ძველი მეთოდები

### მუშები და საშუალო ტეხნიკური პერსონალი არ იცნობენ საწარმოო გეგმას

### ტრესტის აპარატში მოკალათებულია უცხო ელემენტები

## მთავრობის კომისიამ შეიმუშავა საამშენებლო მრეწველობის განვითარების ღონისძიებები

### შეუნელებელი ყურადღება დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას

### ასეთი მუშაობით ჭიათურაში ვერ შესრულდება საწარმოო-საფინანსო გეგმა

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ჭიათურის შავი-ქვის ტრესტმა ვერ შეასრულა საწარმოო გეგმა. მეორე კვარტალში საჭირო იყო არა მარტო საწარმოო გეგმის შესრულება, არამედ წარსულ კვარტალში შეუსრულებელი გეგმის შევსებაც. მაგრამ ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობამ მეორე კვარტალის პირველი ორი თვის განმავლობაში არ მოგვცა საჭირო გარდატეხა და კიდევ უფრო ჩამორჩა დავალებას. თებერვალში მადნის ამოღება შემცირდა 17,6 პროცენტით, ხოლო გარეცხვა—3,4 პროცენტით.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობას, რომლის წლიური გეგმაც 1.250 ტონა მადნის ამოღებასა და გარეცხვას უდრის, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირის მთელი მეურნეობის ეკონომიკაში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ყურადღების მაქსიმუმი უნდა მიექცეს შავი-ქვის მრეწველობას და ყველა იმ დეფექტებს, რომლებიც ხელს უშლიან გეგმის შესრულებას.

**ძველი მეთოდების გამოყენება უნდა აღიკვეთოს**

საჭიროა კატეგორიულად აღინიშნოს, რომ ტრესტის ადმინისტრაციას არა აქვს გარკვეული მიმდინარე პერიოდის ამოცანები. მას არა აქვს შეთვისებული ის ტემპები, რომლებიც უკვე მიღწეულია მრეწველობის მთელ რიგ დარგებში. მუშაობა სწარმოებს ძველი, დრომოჭმული მეთოდებით. საწარმოო გეგმებს დღემდე არ იცნობენ არა თუ მუშები, არამედ ცალკე სექციებიც კი. რად ხდება ეს? ადმინისტრაციამ გამოიგონა შემდეგი ორიგინალური თეორია: თუ ჩვენ სექციებს, გეგმასთან შედარებით, გადამეტებულ დავალებებს მივსცემთ, ამ დავალებათა შესრულებისათვის წარმოებულ მუშაობაში მიღწეული იქნება რეალური პროგრამის გადაჭარბება. ცხადია, ამ „გონიერი" მეთოდით ტრესტმა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია, ვინაიდან მუშებს არ ჰქონდათ რეალური გეგმა, არ დაუმუშავებიათ ეს გეგმა და ამის გამო არ შეეძლოთ ჰქონოდათ მისი შესრულების სურვილი.

ტრესტი რომ მუშებისაგან მოწყვეტილია, ამას ყველაზე ნათლად შემდეგი მაგალითი ამტკიცებს: ტრესტმა დაამუშავა გამომუშავების ახალი ნორმები პერიოდის სექციისათვის და თვითეულ წერაქვს მუშის გამომუშავების ნორმა 145-დან 1.. ფუთამდე აიყვანა. ამ ნორმების შემოღების შესახებ არავისათვის არაფერი უთქვამთ და მუშებმა ამის შესახებ მხოლოდ მაშინ გაიგეს, როდესაც ხელფასი ახალი ნორმების მიხედვით მიიღეს. ნორმის გადიდება საჭირო და შესაძლებელი იყო, მაგრამ, რასაკვირველია, არა ამ გზით.

**უშიშროების ტეხნიკა**

უშიშროების ტეხნიკა მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. არ სრულდება არც მუშების და არც შრომის ორგანოების პრაქტიკული წინადადებები. მრავალ მაღაროში შეიძლება ვენტილიაციის მოწყობა მცირე ხარჯის გაწევით, მაგრამ ადმინისტრაცია „ამისათვის არ სცალია". მთელ რიგ მაღაროებში ჰაერი იმდენად მძიმეა, რომ ლამპებიც კი არ ანთება. ხშირია მუშების მოწამვლის შემთხვევა. უშიშროების დარგში არ სწარმოებს საგანმანათლებლო მუშაობა და ამის გამო ხშირია დაშავების შემთხვევა.

არა აშვიათია შემთხვევა, როდესაც სამადნოებში არ მოიპოვება დასალევი წყალიც კი. წვრილ-წვრილი სტოვებს სამუშაოს და მიდის კოოპერატივში ბორჯომის წყლის დასალევად. ეს „წვრილი" გავლენას ახდენს არა მარტო შრომის ნაყოფიერებაზე, არამედ მუშის ბიუჯეტზედაც.

რაც შეეხება უშიშროების ტეხნიკის ძირითად საკითხებს, მთავარი ინჟენერი აღიარებს, რომ ამ დარგში ხელშეკრულების შესრულება ძნელი მოსალოდნელია.

საბინაო მშენებლობის რეალური გეგმები არ არსებობენ და მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დასაწყისი მოახლოებულია, მუშაობა ვერ ვითარდება.

**მარტმა მოგვცა შრომის ნაყოფიერების გადიდება**

პირველ კვარტალთან შედარებით, იანვარში შრომის ნაყოფიერება ყველა მუშაობის და მათ შორის მადნის გარეცხვის დარგშიაც გაიზარდა 12 პროცენტით. თებერვალში შრომის ნაყოფიერებამ ძლიერ იკლო, რაც მით აიხსნება, რომ ადგილებზე სათანადოდ არ განემარტა მუშებს დებულება კოლმეურნეობის და მათთან დაკავშირებული მუშების შესახებ და სოფელში წასასვლელად მომზადებული მუშები არ მუშაობდნენ სათანადოდ. ამჟამად ყოველივე ეს მოწესრიგებულია და მარტის პირველი 20 დღის შესახებ არსებული წინასწარი ცნობები გვიმტკიცებენ, რომ შრომის ნაყოფიერება გადიდებულია. სოციალისტური შეჯიბრება ფართოვდება. იანვრიდან შეიქმნა 80 ახალი დამკვრელი ბრიგადა და დაიდო 131 ინდივიდუალური ხელშეკრულება. ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობაში 22 ინჟენერ-ტეხნიკოსმა ერთმანეთთან გამართეს შეჯიბრება, რაც პირველი შემთხვევაა. ძირითადი დაბრკოლება, რომელიც სოციალისტური შეჯიბრების გაშლას აბრკოლებს, ეს არის მუშაობის მაჩვენებლების უქონლობა.

**მუშაობის გარდაქმნისათვის**

ყველა ამ ფაქტებიდან დასკვნა მხოლოდ ერთი გამოდის—შავი ქვის ტრესტის მუშაობის სწრაფი გარდაქმნა. პირველ რიგში მუშებს უნდა გაეცნას რეალური სამრეწველო-საფინანსო გეგმა, ვინაიდან უამისოდ ახლანდელ პერიოდში ზედმეტია გეგმის შესრულებაზე ლაპარაკი.

სამკუთხედის—ადმინისტრაციის, ფაბქარხკომის და უჯრედის—მუშაობაც არ იყო დღემდე შეთანხმებული უმაღლესი პარტიული ორგანოების დირექტივებთან. საქ. კომპარტიის (ბ) პარტიული საორგანიზაციო ჯგუფის ერთ-ერთი წევრის სიტყვით, ჭიათურაში არსებობს მხოლოდ „ერთკუთხიანი სამკუთხედი". ადმინისტრაციის სახით პროფმუშაობა მხოლოდ ახლა დგება ახალ ლიანდაგზე. მაგრამ იმისათვის, რომ ტრესტის მუშაობა გარდაიქმნას, საჭიროა აპარატის გაწმენდა. ტრესტის აპარატში მრავლად არის უცხო ელემენტი, რომლებსაც კარგად იცნობენ ყველა მუშები და ჭიათურის რაიონის პარტიულ-საბჭოთა ორგანიზაციები. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ გამოცემული ინსტრუქციის მე-7 მუხლი ამბობს, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ აპარატში არ დარჩეს ყოფილი ხალხი, რომლებიც დაწესებულებაში რჩებიან მხოლოდ ერთმანეთის დაფარვის, ნათესაური კავშირის და სხვათა გამო.

ტრესტის აპარატში კი მოიპოვება ყოფილი ადამიანების „ჯგუფი". (მთელ აპარატში 114 თანამშრომლიდან 36 „ყოფილია", კომუნისტი კი მხოლოდ 13), ამის გამო აპარატში ადამიანებს აქვს ერთმანეთის დაფარვის და ნათესაობრივ კავშირს.

გადაწყვეტილი იყო და საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებული, რომ ტრესტის აპარატის წმენდა დაწყებულიყო 17 მარტს, მაგრამ 15 მარტს ტრესტის გამგემ ამხ. მოლდებაძემ აცნობა თავის მოადგილეს ჭიათურაში: „საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია ჩვენი აპარატის ამჟამად გაწმენდა და ამიტომ წმენდა იდება". გადადების საბაბი ის არის, რომ წმენდა ხელს შეუშლის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებას მე-2 კვარტალში. თუ ამ ლოღიკას გავყვებით, წმენდა პროგრამის შესრულებას ხელს შეუშლის მესამე, მეოთხე, აგრეთვე ხუთწლედის ყველა დანარჩენ კვარტლებში და მაშინ მისი ჩატარება საჭირო არ ყოფილა. მაგრამ ეს ლოღიკა არ არის ჩვენი ლოღიკა, საბჭოთა ლოღიკა.

## ღონისძიებანი საამშენებლო მრეწველობის განვითარებისათვის

### მთავრობის კომისიის დადგენილება

ჩვენს გაზეთში უკვე მოთავსებული იყო ცნობები იმის შესახებ, რომ მიმდინარე საამშენებლო სეზონის განმავლობაში შესამჩნევი ხდება მთელ რიგ ძირითად საამშენებლო მასალათა სიმცირე, რასაც შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს საამშენებლო სეზონის მსვლელობაზე, აღნიშნული საკითხის შესახებ ამხ. გ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა მთავრობის კომისიის სხდომა, რომელმაც სცნო შემდეგი:

გარდა გორისა და კახეთის ოლქებისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებისა, მიმდინარე წლის განმავლობაში მთელ რესპუბლიკაში საჭირო იქნება—74.000.000 ცალი აგური, 65.000 ტონა კირი, 23.000 ტონა გაჯი და 9.500.000 ცალი კრამიტი. აღნიშნული რაოდენობიდან მშენებლობას შემოაკლდება — 29.000.000 ცალი აგური, 22.000 ტონა კირი, 8.000 ტონა გაჯი და 7.500.000 ცალი კრამიტი.

**ვის რა ევალება, საამშენებლო მასალათა მომარაგების საქმეში**

საამშენებლო მასალათა ნაკლებობის შესავსებად მთავრობის კომისია აუცილებლად სცნობს: დანიშნულ ვადაზე უფრო ადრე იქნას დამთავრებული—გურჯაანის, ხაშურის, ზუგდიდის, ოზურგეთის და ბათომის აგურის ქარხნების აგება-მოწყობა. ყველა აღნიშნული ქარხნები, გარდა ბათომის ქარხნისა, ამუშავებულ იქნას არა უგვიანეს 15 აგვისტოსა, ხოლო ბათომის ქარხანა ამუშავებულ იქნას 1-ლი ოქტომბრიდან. საქ. ს.მ.უ. საბჭოს წინადადება მიეცა გამოჰყოს თავისი წარმომადგენელი, რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნული დავალების შესრულებისათვის.

კრამიტის წარმოების დასაწყებათ დადგმულ იქნას ახალი მანქანები ნოსირისა და ტყვირის აგურ-კრამიტის ქარხნებში და ამავე დროს შეკვეთილ იქნას ყველა მოწყობილობანი აკეთის (გურიაში) კრამიტის ქარხნისათვის.

მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები ძეგვის კირის ქარხნის მშენებლობის დასაჩქარებლად იმ ვარაუდით, რომ მიმდინარე წლის განმავლობაშივე ძეგვის კირის ქარხანამ მოგვცეს 3.000 ტონა კირი. ქარხნის მშენებლობა უნდა დამთავრდეს 15 ივლისამდე და ამ მხრივ პასუხისმგებლობა დაეკისრა თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგეს—ამხ. თხილავას. სენაკის კირის ქარხნის მოწყობა უნდა დამთავრდეს 1-ლ ივნისამდე და ამ მხრივ პასუხისმგებლობა დაეკისრა სენაკის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს.

მოლითის რაიონში არსებული კირის ქარხნების რემონტისა და რეკონსტრუქციისათვის პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს ქუთაისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგეს—ამხ. შველიძეს. სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს დაევალა სასწრაფო წესით აწარმოოს კირის ორი ქარხნის აგება, იმ ვარაუდით, რომ ეს ქარხნები ამოქმედებულ იქნას არა უგვიანეს 15 ივნისისა. სახალხო მეურნეობის საბჭოს მიეცა დავალება გამოჰყოს ქარხნების თავის დროზე აგებისათვის პასუხისმგებელი წარმომადგენელი. ლანჩხუთში უნდა მოეწყოს კირის ახალი ქარხანა, რომელიც ამუშავებულ უნდა იქნას 1-ლი აგვისტოსათვის. ქარხნის თავის დროზე ამუშავებისათვის პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს ლანჩხუთის თემაღმასკომის თავმჯდომარეს—ამხ. წილოსანს.

თბილისის აღმასკომს წინადადება მიეცა სწრაფი ტემპით აწარმოოს ნავთლუღის გაჯის ქარხნის აგება, რისთვისაც პასუხისმგებლობა დაეკისრა ამხ. თხილავას. ქარხანა ამუშავებულ უნდა იქნას 1-ლი ოქტომბრიდან. გაჯის ქვის ქარხანა უნდა მოეწყოს გორის ოლქში, იმ ვარაუდით, რომ ახალმა ქარხანამ მიმდინარე წლის განმავლობაშივე მოგვცეს 6.000 ტონა პროდუქცია.

სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს წინადადება მიეცა სასწრაფო წესით შეუდგეს ტუფის დამუშავებას და მიმდინარე საამშენებლო სეზონისათვის დაამზადოს - 14.000 კუბიკური მეტრი ტუფი.

შინამრეწველთა კოოპერატიულ კავშირს მიეცა დავალება სასწრაფოდ შეუდგეს საამშენებლო მასალათა წარმოების საქმეს და მიმდინარე წლის განმავლობაშივე დაამზადონ —ქუთაისის ფარგლებში—10.000.000 ცალი აგური, ოზურგეთის მაზრაში 2 მილიონი ცალი და სენაკის მაზრაში 2 მილიონი ცალი აგური. საამშენებლო მასალათა წარმოების მოსაგვარებლად, შინამრეწველთა კოოპერატიული კავშირი უნდა შეუდგეს შინამრეწველ-მწარმოებლების არტელებში გაერთიანებას. იმავე კავშირს დავალებული აქვს მოაგვაროს კირის დამზადება შინამრეწველური საშუალებებით ძეგვის რაიონში და სად. იორის მახლობლად. ორივე აღნიშნულ რაიონში შინამრეწველთა საშუალებით დამზადებული უნდა იქნას 4.500 ტონა კირი.

წინადადება მიეცათ ყველა სათანადო ორგანიზაციებს, მიიღონ გადამჭრელი ზომები აგურისა და კრამიტის წარმოების გასაძლიერებლათ ქარელის, სურამის, თიანეთის, თბილისის, სუფსისა და ლანჩხუთის ქარხნებში. გარდა ამისა დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაწყებული მუშაობა აგურის ახალი ქარხნის ასაგებათ ღრმა-ღელეში. ქარხანამ უნდა მოგვცეს 10.000.000 ცალი აგური.

საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს დაევალა სწრაფი ტემპით აწარმოოს სახურავი ფიქალის დამუშავების საქმე და მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაშივე დაამზადოს არა ნაკლებ 5.000 ტონა სახურავი ფიქალისა.

**ყველა სამუშაოს შესასრულებლად გადადებულია 1.786.000 მანეთი**

იმ მიზნით, რომ ყველა ზემოთ დასახელებული სამუშაოები შესრულებულ იქნას თავის დროზე და არ დაბრკოლდეს საამშენებლო მასალათა მომარაგების საქმე, მთავრობის კომისიამ გადასწყვიტა გადადოს 1.786.000 მანეთი, რაც განაწილებულ იქნება ყველა გათვალისწინებულ სამუშაოთა მწარმოებელ ორგანიზაციებს შორის. აღნიშნული თანხიდან 1.400.000 გადაწყვეტილია გადადებულ იქნას სარეზერვო ფონდიდან, ხოლო დანარჩენი 258.000 მანეთი გადადებული იქნება ადგილობრივი საშუალებებიდან.

აღნიშნული თანხა, მთავრობის კომისიას სავსებით საკმარისად მიაჩნია იმისათვის, რომ დამზადებული იქნას საკმაო რაოდენობის საამშენებლო მასალები. ამ მოსაზრებით მთავრობის კომისიის დავალებით თბილისის აგურის ქარხნებმა უნდა დაამზადონ ნაცვლად 30.000.000 აგურისა 35.000.000 ცალი აგური. ტყვირის აგურის ქარხანამ უნდა დაამზადოს —3.500.000 ცალი აგური, ნოსირის—ამდენივე, სამტრედიისამ—ამდენივე, ლანჩხუთის აგურის ქარხანამ—3.000.000 ცალი აგური, ზუგდიდის ქარხანამ—800.000 ცალი, ოზურგეთის —800.000 ცალი, ხაშურის ქარხანამ — 1.000.000 ცალი და გურჯაანის ქარხანამ — 1.000.000 ცალი აგური. სულ ამგვარად დამზადებული იქნება 52.100.000 ცალი აგური. გარდა ამისა შინამრეწველთა კოოპერაციის ხაზით დამზადდება 17.100.000 ცალი აგური, ხოლო სულ წლის განმავლობაში საამშენებლო სეზონი უზრუნველყოფილი იქნება 69.100.000 ცალი აგურით.

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ გარემოებას, რომ გარდა აგურისა, დამზადებული იქნება აგრეთვე 14.000 კუბ. მეტრი ტუფი,—მაშინ სავსებით გადაჭრილად უნდა ჩავთვალოთ საამშენებლო მასალათა მომარაგების საკითხი.

კირი წელს დამზადებული იქნება მთელ რესპუბლიკაში 64.500 ტონას რაოდენობით. გაჯი დამზადებული იქნება თბილისში—14.000 ტონა და გორის ოლქში—6.000 ტონა, სულ 20.000 ტონა.

კრამიტის დეფიციტის დაფარვა გადაწყვეტილია სახურავი ფიქალის გამოყენებით. კრამიტი მთელ რესპუბლიკაში დამზადებული იქნება 3.700.000 ცალის რაოდენობით. დეფიციტი უდრის—3.300.000 ცალს. იმ შემთხვევაში, თუ სახურავი ფიქალი საკმაო რაოდენობით არ იქნა, სახურავ მასალათ გადაწყვეტილია ყავრის გამოყენებაც.

## ვისწავლოთ დანაკარგების გამოყენება

მიუხედავად იმისა, რომ დანაკარგებთან ბრძოლის კამპანია ერთ თვეზე მეტია დაიწყო, ტრესტებს დღემდე ამ მიმართულებით პრაქტიკულათ არაფერი გაუკეთებიათ. ჯერ-ჯერობით ტრესტებს იმისი საიც კი არა აქვთ, თუ რა იკარგება უსარგებლოდ მათ წარმოებებში და რა შეიძლება გაკეთდეს დღესვე, რომ ამ დანაკარგების რაოდენობა შემცირდეს, ან სრულებით მოხდეს აღნიშნული დანაკარგების ლიკვიდაცია.

**საწვავი ბრიკეტი ნახერხისგან**

დამზადებულია მცხეთის სახერხ ქარხანაში. ბრიკეტი 50 პროც. მეტ სითბოს შეიცავს, ვიდრე გამხმარი რცხილის შეშა

—:—

საქ. ს.მ.უ. საბჭოსთან გამოყოფილია მრეწველობის დანაკარგებთან მებრძოლი ცენტრალური კომისია, რომელიც დღემდე მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და რომლის პრაქტიკული საქმიანობაც მხოლოდ თათბირების მოწყვევაში გამოიხატა. ამავე დროს, რაღაც მოსაზრებით გაუქმდა. ს.მ.უ. საბჭოსთან არსებული რაციონალიზაციის განყოფილება, რომელიც იყო მოწოდებული ეხელმძღვანელებია დანაკარგებთან ბრძოლის საქმიანობისათვის.

იქ, სადაც დანაკარგებთან ბრძოლის საქმე დაწყებულ იქნა—შედეგებიც საგულისხმოა მიღებული. როგორც ცნობილია, სატყეო მრეწველობაში შენიშნული იყო დიდძალი დანაკარგები მარტო სახერხი ქარხნები ყოველდღიურად ჰკარგავენ რამოდენიმე ათეულ ტონა ხის ნახერხს, საიდანაც შესაძლებელია საუკეთესო ხარისხის საწვავი მასალის—ე. წ. ნახერხის ბრიკეტების დამზადება.

ნახერხისაგან საწვავი ბრიკეტების დამზადების ცდები ჯერ-ჯერობით ჩატარებულია მარტო მცხეთის სახერხ ქარხანაში. აღნიშნულ ქარხანაში დადგეს ბრიკეტების დასამზადებელი მანქანა, რომელიც ყოველდღიურად ამუშავებს 70—80 ფუთ ხის ნედლ ნახერხს.

**ცდებმა კარგი შედეგები მოგვცა**

ცდების შედეგად გამოირკვა, რომ ნახერხისაგან დამზადებული ბრიკეტი 50 პროცენტით მეტ სითბოს ენერგიას შეიცავს, ვიდრე გამხმარი რცხილის შეშა. ამავე დროს ბრიკეტი მეტი ხნის განმავლობაშიც იწვის და შედარებით იაფიც ჯდება.

თვითეული მუშა 8 საათის განმავლობაში დაამზადებს დაახლოებით ნახევარ ტონა ნახერხის ბრიკეტს. ნახერხისაგან ბრიკეტების დამზადება საბჭოთა კავშირში არსად სწარმოებს. უცხოეთში კი ნახერხის გამოყენება დიდი ხანია სწარმოებს.

სატყეო მრეწველობის ტრესტს გადაწყვეტილი აქვს ფართო მასშტაბით შეუდგეს ნახერხის გამოყენებას და ნახერხისაგან ბრიკეტების წარმოება შემოიღოს გარდა მცხეთის სახერხი ქარხნისა, თბილისისა და ბორჯომის სახერხ ქარხნებშიაც. ბორჯომის ქარხანაში ბრიკეტები დამზადებული იქნება მაგარი ჯიშის ხეების ნახერხისაგან, საიდანაც უმაღლესი ხარისხის ბრიკეტები იქნება მიღებული.

მომავალი შემოდგომიდან განზრახულია დამზადებული ნახერხის ბრიკეტების გამოშვება ბაზარზე. დანარჩენ უპირატესობათა გარდა, ნახერხის ბრიკეტები ადვილად გადასაზიდი და შესანახიცაა.

## სად რამდენი იკარგება უსარგებლოდ

საქართველოს პროფსაბჭომ კავშირების ცენტრალურ გამგეობებს შორის გამოაცხადა კონკურსი დანაკარგებთან ბრძოლის ერთთვიურის საუკეთესოდ ჩატარებაზე. ჯილდოთ დანიშნული იქნება საწარმოო ექსკურსია საბჭოთა კავშირში.

საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაიწყო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ყველა საწარმოში შეიქმნას ფონდები, რომლებიც გამოყენებული იქნება მუშების დასაჯილდოებლად მათ მიერ სასარგებლო წინადადების წარმოდგენისათვის დანაკარგებთან საბრძოლველად.

სამეურნეო ორგანოების გამოანგარიშებით განსაკუთრებით დიდი დანაკარგებია ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში. მარგანეცის რეცხვის დროს ჭიათურაში დანაკარგები დაახლოებით 35 პროცენტს უდრის, ხოლო ტყიბულში რეცხვის დროს დაახლოებით 25 პროცენტი იკარგება. სპეციალისტების აზრით, წარმოების ძირითადი რეკონსტრუქციის გარეშეც შეიძლება დანაკარგების პროცენტი თვალსაჩინოდ შემცირდეს.

თბილისში სპილენძის სატკეც ქარხანაში მზა სპილენძის გადანაჭრები 30 პროცენტს აღწევს. გარდა ამისა, სპილენძის 30 პროცენტი შლაკში რჩება.

თბილისის და ქუთაისის მაუდის ფაბრიკებში ნართის დანაკარგი სართავ განყოფილებებში 13 პროცენტს აღწევს ნორმალური 3 პროცენტის ნაცვლად.

თბილისის ტყავეულობის ქარხანაში ყოველ წელიწადს მტკვარში იყრება ასი ათასი ფუთი ნათრიმლი მასალა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სათბობად.

## როგორი იქნება საქ. მრეწველობა 1930-31 წელში

გუშინ, საქ. ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმთან შესდგა თათბირი მომავალი 1930-31 სამეურნეო წლისათვის საქ. მრეწველობის საკონტროლო ციფრების გაირკვევის შესახებ. თათბირზე მოსმენილ იქნა ყველა ტრესტების წარმომადგენელთა მოხსენებები მათ წარმოებებში საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობის შესახებ.

თათბირმა დაადგინა მომავალი წლის საკონტროლო ციფრების ლიმიტები განსაზღვრულ იქნას შემდეგნაირად:

ლითონის ტრესტის ხაზით, საკონტროლო ციფრების რაოდენობა, ანუ კაპიტალურ დაბანდებათა ჯამი განისაზღვროს — 2.724.000 მანეთით. ამ თანხითვე გაგრძელებულ უნდა იქნას თბილისის ლითონის მექანიკური ქარხნის მშენებლობა, უნდა მოხდეს არსებული ქარხნების რეკონსტრუქცია და გაფართოება. ტრესტის საწარმოებმა 1930-31 სამეურნეო წლის განმავლობაში უნდა მოგვცენ 9 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია, რომლის თვითღირებულებაც უნდა შემცირდეს 7 პროცენტზე მეტით.

აჭარმრეწველობის წარმოებებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა ჯამი განისაზღვრულია 450.000 მანეთით.

თამბაქოს ტრესტის ხაზით გადაწყდა გამოთხოვილ იქნას 611.000 მანეთი. ამ თანხიდან 100.000 მანეთი განზრახულია სოხუმის თამბაქოს ფაბრიკების გასაფართოვებლად და 56.000 მანეთი — ბათომის თამბაქოს ქარხნის მოწყობილობათა განსაახლებლად. ტრესტის ყველა საწარმოებმა წლის განმავლობაში უნდა გამოუშვან 5 მილიარდამდე ცალი პაპიროსი. პროდუქციის თვითღირებულება წლევანდელთან შედარებით, დაკლებულ უნდა იქნეს 12 პროცენტით.

სამკერვალო მრეწველობის ხაზით გადაწყდა 300.000 მანეთის გამოთხოვა. ამ თანხიდან მოხდება არსებული სამკერვალო ფაბრიკის შენობის გაფართოება. წლის განმავლობაში სამკერვალო წარმოებები გადაამუშავებენ 27 მილიონ მანეთის პროდუქციას.

ტყავის მრეწველობის საკონტროლო ციფრების ლიმიტი განსაზღვრულია 1.900.000 მანეთის რაოდენობით.

აბრეშუმის მრეწველობის საკონტროლო ციფრად წინასწარ დამტკიცდა 5.040.000 მანეთი, ხოლო საქ. ქიმკომბინატის საწარმოების ხაზით, საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა ჯამი განისაზღვრა, 600.000 მანეთით.

მარგანეცის მრეწველობისათვის მიღებულია 7.94..000 მანეთი.

აღნიშნული ციფრები, ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო საორიენტაციოთ.

## ყურადღება საფეიქრო მრეწველობას

აზერბეიჯანიდან დამაფიქრებელი ცნობები მოდის საფეიქრო მრეწველობაში ჩამორჩენის შესახებ. ლენინის სახელობის ფაბრიკას ბაქოში და განჯის სართავ-საქსოვ ფაბრიკას თებერვალში გეგმის შესრულებას დააკლდათ 30 პროცენტი. ის გარემოება, რომ აზერბეიჯანის უდიდეს საფეიქრო ფაბრიკებს გეგმის შესრულებას დააკლდათ ასეთი თვალსაჩინო პროცენტი, გვავალებს მივიღოთ ყოველივე ზომები ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის არა მარტო აზერბეიჯანის, არამედ აგრეთვე საქართველოს და სომხეთის საფეიქრო მრეწველობაში.

ჩამორჩენა ერთ რაიონში აუცილებლად გავლენას მოახდენს საფეიქრო მრეწველობის საერთო მდგომარეობაზე. თვითეული მუშა პასუხს უნდა აგებდეს არა მარტო თავისი ფაბრიკის, თავისი ცეხის, არამედ აგრეთვე მრეწველობის მთელი დარგის საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის.

18 მარტს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დასადებად შეიკრიბნენ თბილისის მაუდის ფაბრიკის და აბრეშუმის საქსოვი ახალი ფაბრიკის მუშები რიცხვით 2.500 კაცი. მუშებმა განიხილეს საკითხი აზერბეიჯანის საფეიქრო მრეწველობის ჩამორჩენის შესახებ და ერთხმად გამოიტანეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები თავიანთი საწარმოო გეგმების არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ლენინის სახელობის ფაბრიკას და განჯის ფაბრიკას გაეგზავნათ დეპეშა, რომელშიაც თბილისის ფეიქრები მოუწოდებენ მათ მიჰბაძონ ამ მაგალითს.

## შრომის დისციპლინა დავიწყებულია

(გ ო რ ი)

1928 წელში გორის საკონსერვო ქარხანაში დამზადდა 430.038 კილოგრამი კონსერვი. ამავე წელიწადში მუშების საშუალო ხელფასი უდრიდა 49 მან. 05 კაპ. 1929 წელში ქარხნის პროდუქცია გადიდებულ იქნა 552.300 კილოგრამამდე, რაც შეადგენს გეგმით გათვალისწინებულ პროდუქციის მხოლოდ 70 პროცენტს. ამრიგად ქარხანას 1929 წელში შეუსრულებელი დარჩა წარმოების გეგმის 30 პროც. გეგმის თანახმად შრომის ნაყოფიერება უნდა აწეულიყო 34 პროცენტით. ფაქტიურად კი აიწია მხოლოდ 30 პროც., თვითღირებულება, გეგმით გათვალისწინებულ 7 პროცენტის ნაცვლად, შემცირებულ იქნა მხოლოდ 37 პროცენტით, მხოლოდ ხელფასი, გეგმით გათვალისწინებულ 0,4 პროცენტის ნაცვლად გადიდებულ იქნა 6,9 პროცენტით; 1928 წელში საშუალო ხელფასი უდრიდა 49,05 მანეთს, 1929 წელში კი 52 მან. 48 კაპეიკს. 1929 წ. —25.885 სამუშაო დღიდან გაცდენილი იქნა 246 დღე, რაც 55 პროცენტით აღემატება 1928 წლის გაცდენებს. აღსანიშნავია, რომ ეს გაცდენილი დღეები ქარხნის ადმინისტრაციას ბრალდებული აქვს როგორც საპატიო მიზეზით გამოწვეული.

აშკარაა, ადმინისტრაცია ზერელედ უყურებს როგორც შრომის დისციპლინის საკითხებს, ისე მთელი თავის სამუშაო გეგმის შესრულების საკითხს.

---

ს.კ.პ. (ბ) ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 24 მარტს, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება

### საქართველოს კომპარტიის (ბ) ქალაქის რაიკომის პლენუმი

უჯრედების მდივნებისა და ბიუროების წევრებს, ფაბქარხკომების ფრაქციების და 25 მარტის მთლიანი პარტიული დღისათვის გამოყოფილ მომხსენებელთა მონაწილეობით.

**დღის წესრიგშია: ამხ. ლოლობერიძის მოხსენება საქართველოს საკოლმეურნეო მოძრაობის მდგომარეობისა და მორიგი ამოცანების შესახებ.**

რაიკომის წევრები პლენუმზე შევლენ თავიანთი მანდატებით. დანარჩენები ბილეთებს მიიღებენ რაიკომის საქმეთა მმართველობაში. ბილეთები აღებულ უნდა იქნას არა უგვიანეს 23 მარტის დღის 3 საათისა.

**რაიკომის მდივანი ლომიძე.**

# მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

# მასების კონტროლის გზით

## სამშენებლო მრეწველობა დიდათ ჩამორჩება მოთხოვნილებას

**მშენებლობის სეზონი ბრკოლდება მთელ რიგ აუცილებელ მასალის დეფიციტის გამო.--თბილისის ლურსმნის ქარხანა, ქსნის აგურ-კრამიტის ქარხანა სამარცხვინოდ ჩამორჩებიან საწარმოო გეგმის შესრულებაში.--ბიუროკრატიზმი, უყაირათობა, უთადარიგო მუშაობა აძვირებს სამშენებლო მასალებს, აუარესებს მათ ხარისხს.--ქვიშა და ხრეშის დამზადების საქმე უყურადღებოდაა მიტოვებული.--სამშენებლო მრეწველობის პარტიულ და პროფორგანოებმა საფუძვლიანად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა წარმოების გაჯანსაღებისათვის ბრძოლის საფუძველზე**

სახალხო მეურნეობის შეუჩერებელი ზრდა, მშრომელი მასების კულტურულ მოთხოვნილებათა განვითარება, ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის და სხვ. მთელი თავისი სიმწვავით აყენებს საბინაო მშენებლობის საკითხს. ამით აიხსნება, რომ 1929-30 სამეურნეო წელში კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს მშენებლობაში გაიზარდა 152 პროცენტით, ესე იგი, თუ გასულ წელს კაპიტალურ დაბანდებათა თანხა მშენებლობაში უდრიდა **39.864** ათას მანეთს, წელს უნდა დაბანდებულ იქნას **99.995** ათასი მანეთი.

თავისთავად ცხადია, რომ ეს მდგომარეობა აკისრებს სათანადო ორგანოებს მაქსიმალური ზომები მიიღონ მშენებლობას უზრუნველსაყოფად მასალებით.. ამავე დროს არც სახელმწიფო საგეგმო კომისიას და არც საქ. მშენებლობის კომიტეტს არ გააჩნიათ სამშენებლო მასალების ბალანსი. საქ. სამშენებლო კომიტეტმა წინასწარ გამოიკვლია სამშენებლო მასალათა რაოდენობის საჭიროება მხოლოდ სამოქალაქო მშენებლობაში (კურორტები, სკოლები, საავადმყოფოები და სხ.), რომელიც მთელი მშენებლობის მარტო 25 პროც. შეადგენს. თუმცა საქ. საგეგმო კომისიამაც გაითვალისწინა საჭირო სამშენებლო მასალების რაოდენობა, მაგრამ არა მთლიანად და, გარდა ამისა, მის მიერ გამომუშავებული ვარაუდი დიდად განსხვავდება ამ.-კავკასიის საგეგმო კომისიის უფრო დასაბუთებულ ვარაუდისაგან ამ დარგში.

უნდა ითქვას, რომ ასეთ მდგომარეობას ხელი შეუწყო სამშენებლო ორგანიზაციათა დაუდევრობამაც. მათ არ წარმოადგინეს დროზე მოთხოვნილება სამშენებლო მასალებზე.

როგორია ფაქტიური მდგომარეობა? სამშენებლო მასალებს შორის პირველყოვლისა ყურადღებას იპყრობს **ხე-ტყის მასალა.** ამ მხრივ მშენებელი ორგანიზაციები იძულებული იქნებიან დაფარონ მოთხოვნილება როგორც ადგილობრივ, ისე შემოზიდული ხე-ტყით.

წინა წლებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა მშენებლობის მეორე მთავარ მასალას—აგურის განაწილებას, რადგან ეს მასალა საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდა. უკანასკნელ წლებში კი აგურის მოთხოვნილება მშენებლობის განვითარებასთან ერთად არაჩვეულებრივად გაიზარდა. ამიტომ აგურის, უკვე როგორც სადეფიციტო მასალის, გეგმიან განაწილებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მიმდინარე სამშენებლო სეზონში აგურის დეფიციტი ნავარაუდევია **15-25** მილიონ ცალამდე.. რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობის საბოლოოდ გადალახვისათვის საჭიროა გაცხოველებული მუშაობა აგურის ქარხნების ასაგებად და არსებულ ქარხნების გასაუმჯობესებლად. მაგრამ ეს არ სწყვეტს საკითხს მიმდინარე სეზონისათვის. დაგვრჩენია ერთად ერთი გზა-არსებულ ქარხნების მუშაობის მაქსიმალურად გაძლიერება, რომ გაიზარდოს აგურის პროდუქცია და ამასთანავე ფულადი დახმარების გაწევა აგურის მცირე შინამრეწველური ქარხნებისათვის, რომ ამ უკანასკნელებმა გაადიდონ თავიანთი პროდუქცია.

არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მშენებლობის მომარაგების დარგში ლურსმნებით. ლურსმნის დეფიციტი უდრის 73 პროცენტს. ამიტომ საჭიროა თბილისის ლურსმნის ქარხნის პროდუქცია — დაახლოებით 480 ტონა რაც შეიძლება მიზანშეწონილად იქნას განაწილებული სხვადასხვა მშენებელ ორგანიზაციათა შორის.

მშენებლობას საქმე ექნება აგრეთვე კირის ნაკლებობასთან. მიმდინარე სეზონში საქართველოში საჭირო იქნება 55-58 ათასი ტონა კირი. ქარხნებს კი შეუძლიათ მოგვცენ 39.000 ტონა. ამრიგად დეფიციტი შეადგენს დაახლოებით 17-20 ათას ტონას. აქაც მთელი თავისი სიმწვავით ისმება საკითხი კირის არსებულ ქარხანათა მუშაობის გაძლიერების შესახებ. ამასთანავე საჭიროა მიღებულ იქნას ენერგიული ზომები, რათა დაჩქარდეს თბილისის აღმასკომის ახალი კირის ქარხნის აგება.

დაახლოებით ასეთივე სურათია გაჯის მომარაგების დარგში. რაც შეეხება დამხმარე სამშენებლო მასალებს (ხრეში, ქვიშა, ქვა, და სხვ.), არ არის გამოანგარიშებული. ამ მასალათა საჭირო რაოდენობა. ისე კი ცნობილია, რომ ხრეშისა და ქვიშის დამზადება მეტად ნელი ტემპით და პრიმიტიული წესით სწარმოებს.

რით აიხსნება ასეთი მდგომარეობა? გარდა იმისა, რომ მშენებლობა არაჩვეულებრივად ფართოვდება და სამშენებლო მასალების დამამზადებელი მრეწველობა ვერ ასწრებს გაძლიერებულ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სხვა სუბიექტიური ხასიათის მიზეზებსაც.. ეს არის ცალკე სამრეწველო ერთეულების მოუქნელობა მუშაობაში, უთადარიგობა, უყაირათობა და ბიუროკრატიზმი. რით, თუ არა ამით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ თბილისის ლურსმნის ქარხანაში **1929-30** სამეურნეო წლის პირველ კვარტალში, წარსული სამეურნეო წლის პირველ კვარტალთან შედარებით, პროდუქცია დაეცა **23** პროცენტით, ხოლო საწარმოო გეგმის მიხედვით ეს დაცემა უდრის **30** პროცენტს. ეს გამოიწვია ლითონის სინდიკატის აშკარა ბიუროკრატიულ დამოკიდებულებამ თავის მოვალეობისადმი. ქარხანას დროზე არ მიეცა ნედლეული მასალა, ამის გამო შემოკლებულ იქნა საწარმოო გეგმა, მაგრამ ამ შეკვეცილი გეგმის შესრულებისათვისაც კი ქარხანას არ მიუღია ნედლეული.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა გვაქვს აგურის წარმოებაში. მაგალითად, აგურის ერთ-ერთი დიდი საწარმო—ქსნის ქარხანა სამარცხვინოდ ჩამორჩა გეგმის შესრულებაში. ადმინისტრაციის მიუტევებელი დაუდევრობით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამ ქარხანაში გაიყინა და გაფუჭდა პროდუქციის 40 პროცენტი. ამასთანავე არავითარი ზომები არ არის მიღებული ამ ქარხნის რეკონსტრუქციისათვის, რაც თავის დროზე გათვალისწინებული იყო. ყოველივე ამის შემდეგ შეუძლებელია, რომ ქსნის ქარხანამ შეასრულოს საწარმოო გეგმა მუშაობის უდიდესად გაცხოველებითაც კი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამშენებლო მასალების ხარისხის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო მასალების ხარისხი საშუალოზე მდარეა. ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ პროდუქციის ხარისხობრივი შემოწმება არ ხდება მასების აქტიური მონაწილეობით, პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციები არ ღებულობენ საჭირო ზომებს იმისათვის, რომ მუშათა მასები ჩააბან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, არ ხდება კონკრეტული კონდიციების გამომუშავება ამ მიმართულებით და სხვ. ადმინისტრაცია კი უმეტეს შემთხვევაში ფორმალურად ეკიდება საქმეს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ცნობილია, პროდუქციის ხარისხზე გავლენას ახდენს ნედლეული მასალის ხარისხი. მდგომარეობა ამ მხრივ დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. ეს გარემოება ერთვის თვით საწარმოო ერთეულების უმოქმედობას ხარისხის გაუმჯობესების დარგში და საბოლოო ანგარიშით ვღებულობთ ცუდი ხარისხის სამშენებლო მასალებს.

სამაგიეროდ სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს აგურის, კრამიტის, კირისა და გაჯის წარმოებაში. აქ ნედლეული საუკეთესო ხარისხის არის. მაგრამ სუსტადაა დაყენებული თვით საწარმოების მუშაობა. პროდუქციის დამუშავებას. მის დახარისხებას დამზადების შემდეგ, მოვლას გადაზიდვის დროს და სხვ. მეტად ცოტა ყურადღება ექცევა. ამიტომ არის, რომ, მაგალითად, თბილისის ქარხნები ვერ ამზადებენ პირველი ხარისხის აგურს. **აგური, რომელსაც თბილისის ქარხნები პირველი ხარისხის იარლიყით უშვებენ, ვერ სჯობია მეორე ხარისხისას.**

საამშენებლო მასალათა დამამზადებელ საწარმოების ერთ-ერთ მრავალ დაბრკოლებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მათი დიდი უმრავლესობის მუშაობა დამოკიდებულია ამინდზე. აგურის, კირის, გაჯის და ტინობის ქარხნები იძულებული არიან იმუშაონ ამინდთან შეფარდებით. ტეხნიკური მოუწყობლობა საშუალებას არ აძლევს მათ გაშალონ მუშაობა ცუდი ამინდების დღეებშიაც. ეს კი მეტად განსაზღვრავს საწარმოო პერიოდს და, რა თქმა უნდა, დიდ უარყოფით გავლენას ახდენს როგორც პროდუქციის რაოდენობაზე, ისე მის ხარისხზე.

სრული დატვირთვით ვერ მუშაობენ ხე-ტყის სახერხი ქარხნებიც. აღსანიშნავია მეტად კურიოზული ფაქტი: **ტყეებით მდიდარ ქარხნებში — საქართველოში ხე-ტყის სახერხ ქარხნებს არა აქვთ ნედლეული.** ამ მიზეზით არც წარსულ საოპერაციო წელში და არც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ხე-ტყის სახერხ ქარხანათა დიდ უმრავლესობას არ უმუშავნია სრული დატვირთვით. აშკარაა, რომ ასეთ პირობებში ქარხნები ვერ გადავიდოდნენ ორცვლიან მუშაობაზე, რაც ასე აუცილებელია.

მშენებლობის მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებად უნდა ჩაითვალოს ქვიშის, ხრეშის და ქვის სიძვირე. ფასების ზრდა ამ მასალებზე უმთავრესად გამოწვეულია ტრანსპორტის არაჩვეულებრივ დიდი ტარიფით. ცნობილია, რომ ძვირფასი საქონელი ყოველთვის უფრო ადვილად იტანს ტრანსპორტის ხარჯებს. სულ სხვაა იაფფასიანი საქონელი, როგორიცაა ხრეში, ქვიშა და სხვ. ამ შემთხვევაში გადაზიდვის ტარიფის დაწესებისას უნდა გათვალისწინებულ ყოფილიყო ეს სპეციფიურობა. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა საამშენებლო მასალებზე ტრანსპორტის ძველი ფასებივე დარჩა, ხოლო ქვიშისა, ხრეშისა და ქვის გადაზიდვაზე შემუშავებულ იქნა ახალი, შარშანდელთან შედარებით მეტად გადიდებული ტარიფი. უდავოა, რომ ეს არანორმალური მდგომარეობა თავის გავლენას მოახდენს მშენებლობის საერთო ღირებულებაზე. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ქვიშა-ხრეშის ხარისხის გაუმჯობესებას არ ექცევა სათანადო ყურადღება. ქვიშას ბევრ შემთხვევაში ურევია ტალახი, ხრეშიც არ არის წმინდა. ამ მასალის ამოსაღები კარიერების დამუშავება არ სწარმოებს გეგმის მიხედვით და სათანადო ტეხნიკური ხელმძღვანელობით. ზოგიერთი ქალაქის აღმასკომები (ქუთაისი) არც კი აქცევენ ყურადღებას ქვიშისა და ხრეშის დამზადების საკითხს. ამიტომ არის, რომ ამ საქმეს მისდევს ყველა,—სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები და აგრეთვე კერძო პირებიც. საჭიროა ასეთ ანარქიულ მდგომარეობას ბოლო მოეღოს. ამას დაჟინებით გვიკარნახებენ მშენებლობის გაიაფებისა და ხარისხობრივად გაუმჯობესების ამოცანები.

სამშენებლო მრეწველობის პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებს მეტი აქტივობა მართებთ. წარმოების საკითხები ადგილობრივ პარტიულ და პროფკავშირულ მუშაობაში არ პოულობენ სათანადო ადგილს. საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგი: **„ფაბქარხკომები პირით საწარმოსაკენ“** ჯერ კიდევ არ განუხორციელებიათ აღმშენებლობის დარგში მომუშავე პროფესიონალურ ორგანიზაციებს. საჭიროა მუშაობას საფუძვლიანად გარდაქმნა ახალ საფუძველზე. პირველ ყოვლისა ამაზე უნდა იზრუნონ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა. ისინი უნდა ჩაუდგნენ სათავეში წარმოების გაჯანსაღების საქმეს. ამ მიზნით გადაჭრით და ენერგიულად უნდა ჩატარდეს პარტიის დადგენილება ერთმმართველობის განხორციელების შესახებ. ამასთანავე უნდა გაცხოველდეს საზოგადოებრივი მუშაობა. მუშათა მასები აქტიურად უნდა დაირაზმონ წარმოების კონკრეტული საკითხების გარშემო. არ უნდა დარჩეს გამოუმჟღავნებელი უყაირათობის, ბიუროკრატიზმის და სხვა უმსგავსოების არც ერთი ფაქტი. ეს კი შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ ადგილობრივი ორგანიზაციები ფართოდ გაშლიან საქმიან თვითკრიტიკას.

ის სამარცხვინო მდგომარეობა, რომელიც დღეს გვაქვს სამშენებლო მასალათა მრეწველობაში, დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. დრო აღარ ითმენს. მშენებლობის სეზონი უკვე მიმდინარეობს. თვითეულ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ახლო მომავალი გვიჩვენებს, რამდენად გაამართლებენ სამშენებლო მასალათა მრეწველობის ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი, პროფესიონალური ორგანიზაციები და პარტორგანოები მათზე დაკისრებულ საპასუხისმგებლო ამოცანას.

## რაციონალიზაციის საკითხებს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა

### იქ, სადაც ტარდება რაციონალიზაცია

ჯერ კიდევ 1928 წლის აგვისტოში ს.მ.უ.ს.-ის ორგანოებს მიეცა წინადადება იმავე წლის 1 ოქტომბრისათვის ყველა ტრესტებთან და მსხვილ წარმოებებთან რაც-ორგანოების დაარსების შესახებ. იმავე ხანებში ც. საქ. კომისიის მე-3 პლენუმმა შეიმუშავა დაწვრილებითი დირექტივა რაციონალიზაციის ორგანოების ძირითადი ამოცანების შესახებ.

ამ დირექტივების შესრულების შემოწმებამ დაგვანახვა, რომ რაც-მუშაობა საქართველოში **სათანადო სიმაღლეზე არ სდგას.** უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ რაც. ორგანოების დაარსება ძალზე დაგვიანებით დაიწყო. თვით საქ. ს.მ.უ.ს. ცენტრალურ აპარატთან თავის დროზე არ იყო ჩამოყალიბებული რაც. ორგანო. რაც. ორგანოების დაარსების საქმე ადგილებზე კიდევ უფრო მოისუსტებდა. 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის დაარსებულმა რაც. ორგანოებმა ვერ შეასრულეს მათზე დაკისრებული ამოცანები, რაც, ერთის მხრივ, მიეწერება განთავისუფლებულ მომუშავეთა უყოლობას და, მეორე მხრივ, რაციონალიზატორული საქმის მცოდნე პირების სიმცირეს.

აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის წარმოებებთან რაც. ორგანოები დღემდე არ მოიპოვება. ცხადია, რომ ამ პირობებში ც. საქ. კომისიის პლენუმის მიერ დასახული მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლების ცხოვრებაში გატარებასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ამ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ხარჯების შემცირება, ბევრგან არ არის შესრულებული.

ტრესტებთან არსებულ რაც. ბიუროების მიერ შედგენილი გეგმები არადამაკმაყოფილებლად ჩაითვლება, რადგანაც მათში გათვალისწინებულია უმთავრესად წარმოებათა ტეხნიკური რეკონსტრუქციის საკითხები და არა არსებულ მოწყობილობათა მაქსიმალურად და რაციონალურად გამოყენება.

მიუხედავად ყოველივე ამისა უნდა აღინიშნოს, რომ რაც. მუშაობა, როგორც ს.მ.უ.ს. ცენტრალური აპარატში, ისე ტრესტებში და საწარმოებში მაინც ტარდებოდა, როგორც ადმინისტრატიულ განკარგულებათა სახით, ისე საწარმოო და ეკონომ-თათბირების, მუშათა გამომგონებლობის და სხვ. სახით.

მრეწველობის რაციონალიზაციის მხრივ ჩვენ ასეთი სურათი გვაქვს:

**26 კომუნარის სახ. ქარხანაში.** გადამწყობ საამქროში დაარსებულია სპეციალური ჩამოსხმელი განყოფილება, რასაც შედეგად მოჰყვა ჩამოსხმის საქმეში გაცდენათა აღმოფხვრა. ამავე საამქროში დადგმულია რევოლვერ და კვადრატული მილების დამამზადებელი ძლიერი დაზგა, რამაც შედეგად მოგვცა მუშაობის შერჩევის შემთხვევათა შემცირება 20 პროცენტით. ჩამოსხმელ საამქროში დადგმულია 5 ტონიანი ონკანი, (ამით შავმუშათა რიცხვი შემცირებულია 25 პროცენტით). დადგმულია აგრეთვე ფრეზერის დაზგა, რაც წლიურად იძლევა 4.000 მანეთის ეკონომიას.

**ბამბის ფაბრიკაში** ჩატარებულია კაპიტალური რეორგანიზაცია. გაფართოვებულია საწყობი. ბამბის დამუშავება სწარმოებს ერთ შენობაში. მანქანათა რიცხვი აყვანილია 17-დე. ბამბის ფაბრიკის პროდუქცია გ.-წ. ნოემბრიდან გაზრდილია 67 პროცენტით (წინა ნოემბერთან შედარებით).

**ტყიბულის მაღაროების** აღმოსავლეთ უბანში, ნახშირის დამახარისხებელ პუნქტიდან დატვირთვის ადგილამდე ნახშირის გადაზიდვის საქმე მექანიზაციაქმნილია, რამაც მოგვცა მუშა-ხელის ეკონომია. დამახარისხებელ პუნქტამდე, 150 საჟენის მანძილზე მოწყობილია მექანიკური ბრემსბერგი. დასავლეთ უბანში გატარებულია მსხვილი ნახშირის რეცხვა.

**ინფუზორიტის წარმოებაში** აშენებულია ფარდულები დიატომიტის გასაშრობად. გაყვანილია წყალსადენი 1760 მეტრის მანძილზე. შეკეთებულია გზა და სხვ. ამ ღონისძიებათა გატარებით მოსალოდნელია ინფუზორიტის ამოღების გადიდება 100 პროცენტით.

**მარელისის მოხრილ-ავეჯეულობის ფაბრიკაში** საორთქლე განყოფილებაში ხის კარების ნაცვლად გაკეთებულია თუჯის კარები. დადგმულია ტრანსპორტიორები ნახევარფაბრიკატების ერთი სართულიდან მეორე სართულზე მისაწოდებლად. ცხელი წყლისათვის გაკეთებულია 2 ავზი.

მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული ღონისძიებანია გატარებული აგრეთვე თამბაქოს ფაბრიკებში, ტყავის ქარხნებში და სხვ., მაგრამ, როგორც ეს ზემოდ აღინიშნულია, რაციონალიზაცია ტარდება უმთავრესად არა არსებულ ტეხნიკურ მოწყობილობათა მიზანშეწონილად გამოყენებით, არამედ ახალ ტეხნიკურ მოწყობილობათა შემოღებით.

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ, მოისმინა რა სამრეწველო ჯგუფის მოხსენება მრეწველობის რაციონალიზაციის შესახებ, საჭიროდ ჩასთვალა რაციონალიზატორთა კადრის მომზადება. ამ მიზნით გამოტანილია დადგენილება—ერთ უმაღლეს სასწავლებელში რაციონალიზაციის სპეციალური კათედრის დაარსების შესახებ. გარდა ამისა, ინდუსტრიალურ ტეხნიკუმებშიც შემოღებულ უნდა იქნეს სწავლა ამ მიმართულებით. ამ საკითხის დამუშავება მიენდო საქ. ს.მ.უ.ს.-ს და განათლების კომისარიატს.

საქ. მ.გ.ი. კოლეგიის დადგენილებით 3 თვის შემდეგ ჩატარებული იქნება რაცმუშაობის მასიური გამოკვლევა მრეწველობაში.

## სად მიდის თბ. საუწყებო მილიციის თანხები

თბილისის საოლქო ადმინგანთან არსებობს საუწყებო მილიცია, რომლის დანიშნულებაა, წარმოება - დაწესებულებების დაცვა, საუწყებო მილიციაში ირიცხება 500-დე თანამშრომელი. აქვს მას ცალკე ბუხჰალტერია და ბიუჯეტი, რომელიც დამყარებულია წარმოება-დაწესებულებებიდან შემოსულ თანხებზე. ეს თანხები ხშირად იზრდებიან ახალი დაწესებულებების მომატებით, მაგრამ დამატებითი თანხები, რომლებიც აქ გროვდება, არ ხმარდება საერთო საქმეს და ხშირად კერძო პირთა ჯიბეში მიდის. მაგალითად, საუწყებო მილიციის ყოფ. უფროს მიხეილ წერეთელს წაღებული აქვს 500 მან., ყოფ. ინსპექტორს კოლია გეგეჭკორს ამდენივე. წერეთელი ახლა მსახურობს ბათომში (ტყავტრესტში), გეგეჭკორი კი ქუთაისში. ისინი კარგ ჯამაგირს ღებულობენ, მაგრამ არც ერთი არ ფიქრობს მილიციიდან წაღებულ ფულის დაბრუნებას. ეს მსხვილი თანხებია, ისე 100—50 მან. ვის არა აქვს აქედან წაღებული. ყველას მიაქვს, ვისაც ადმინისტრაცია მოწყალების თვალით უყურებს.

გარდა ამისა, საუწყებო მილიციის თანხებიდან დამატებით ჯამაგირი ეძლევა ბიურო-კოლექტივის მდივანს და მის ტეხნიკურ მდივანსაც. ბიურო-კოლექტივის მდივანი საკმაო ჯამაგირს (170 მან.) ღებულობს რაიკომიდან, მაგრამ ეს „არ ყოფნის“ მას და საუწყებოდან ზედმეტად აძლევენ 72 მან. თვეში; ხოლო ტეხნიკური მდივანი ნომინალურად ჩარიცხულია უმცროს მილიციელად და იღებს ხელფასს აქედანვე. საუწყებოს ფულს ყველა სჭამს, ვისაც კბილი აქვს, და რომ დაეფარათ ეს ამბავი, მისცეს ბიურო-კოლექტივის მდივანსაც: ჩვენც ვჭამთ, მაგრამ შენც გაძღები, შენც სუ და ჩვენც სუთ.

ასე იხარჯება საუწყებო მილიციის თანხები ტყუილა-უბრალოდ. ამავე დროს ხშირად მილიციელებს თავის დროზე არა აქვთ ტანისამოსი, ზოგჯერ გვიანდება ჯამაგირის დარიგებაც, უხდებათ ხშირად 8 საათის მაგიერ 16 საათი დგომა და ზედმეტ ხელფასს არ აძლევენ იმ მოტივით, რომ თანხები არ არისო. რასაკვირველია, ეს იწვევს თანამშრომლებში კანონიერ უკმაყოფილებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმის გამოსწორებას არავინ ფიქრობს.

აღსანიშნავია, რომ საუწყებო მილიციის ბუხჰალტერიას არავინ ზემდგომ ორგანოებიდან არ უკეთებს რევიზიას,—მათ ჰგონიათ, რომ ადმინგანში ერთი ბუხჰალტერიაა და საუწყებოსი კი ყოველთვის ხელუხლებელი რჩება. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ამდენ ხანს არ გამოაშკარავდა ზევით აწერილი მდგომარეობა. დროა ყოველივე ეს მზის სინათლეზე იქნას გამოტანილი და ასეთ უმსგავსოებას ბოლო მოეღოს. უნდა მოხდეს საუწყებო მილიციის ფინანსიური მხარის კვლევა. საჭიროა მისი ბუხჰალტერიის გაერთიანება ადმინგანში. დამნაშავენი, საზოგადოებრივ ფულების მიმთვისებელნი პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი.

**მებრძოლი.**

## პასუხი უნდა აგონ

თბილისში (გოგებაშვილის ქ. № 10), ვინმე იოსებ მერაბიშვილის სახლში, ცხოვრობს კავშირის წევრი კონდრატი თომას ძე ბზეკალავა. 1929 წლის მარტიდან ბზეკალავა ითვლება უმუშევრად. მერაბიშვილმა მოისურვა მისი გასახლება ბინიდან, რისთვისაც მან ყოველგვარი საშუალება იხმარა. სხვათა შორის, მერაბიშვილმა განცხადება შეიტანა უმუშევართა გამწმენდ კომისიაში, რომ ვითომ ბზეკალავა ვაჭარია. კომისია ეყრდნობა ასეთ შეუმოწმებელ ცნობას და ბზეკალავას რიცხავს ბირჟიდან.

ამით გათამამებული მერაბიშვილი ბზეკალავას უჩივის 1 უბნის სახალხო სასამართლოში, რომ ის, როგორც ვითომ ვაჭარი გასახლებულ იქნას. სასამართლო მოითხოვს მისგან საბუთს ბზეკალავას ვაჭრობის შესახებ და აძლევს ქაღალდს, რომ მერაბიშვილს უფლება აქვს მიიღოს საჭირო ცნობა (თუ ასეთი მოიპოვება) სათანადო დაწესებულებიდან. ადმინგანის კანცელარიის უფროსი ლუტაშვილი არ აკვირდება—თუ ვის შეეხება ცნობა და აწერს მეორე გვერდზე, რომ კონსტანტინე სილიბისტროს ძე ბზეკალავა დაჯარიმებულია და არის შინაური სასადილოს პატრონი. ლუტაშვილისათვის სულ ერთია—კონდრატი თუ კონსტანტინე, თომას ძე თუ სილიბისტროს ძე. რომ სამი თვის წვალების შემდეგ პირველი უბნის გადასახადთა ინსპექციას არ მიეცა ცნობა იმის შესახებ, რომ კონდრატ თომას ძე ბზეკალავას არავითარი სავაჭრო, არც მისი მსგავსი რამ არ ჰქონია თბილისში, — ვინ იცის სანამდი მივიდოდა უმუშევრის დაჩაგვრა.

პასუხი უნდა აგოს გამწმენდ კომისიამ, რომელმაც შეუმოწმებელი ცნობებით გამორიცხა ბზეკალავა; გ. ლუტაშვილმა, რომელმაც გასცა წმინდა ჩინოვნიკური ცნობა და უმუშევარი სახლის პატრონის კლანჭებში მოამწყვდია; მერაბიშვილი კი უნდა აილაგმოს და მიეცეს პასუხისგებაში ცილისწამებისა და მდგმურის შევიწროებისათვის.

**ახლობელი.**

## გათავხედებულნი

(თბილისის ოლქი)

სოფ. კაზრეთის ზოგიერთ მუშაკების ბოროტმოქმედებას სისტემატიური ხასიათი აქვს. მიხა ათაბეგოვი (ტყის მცველი) ეწევა მექრთამეობას, ნათლიმამობას და სხვა. სოფ. ბალიჭის მცხოვრებ აბრამ ბერიძეს და კოლა ავქაფაშვილს დაუჭრია უბილეთოდ მოჭრილი ხე-ტყე, რომელიც სოფ. კაზრეთის გლეხკომის თავმჯდომარეს ბასილაშვილს ჩააბარა, ამ უკანასკნელმა 3 მანეთი გადაიხადა ხე-ტყის გლეხკომის შენობაში გადმოტანისათვის. მალე ათაბეგოვმა ხე-ტყე გლეხკომს წამოართვა და სოფ. რატევნის მცხ. მიხა ლაზარაშვილს 4 ვედრო ღვინოში მისჰყიდა. ღვინო მიითვისა, გლეხებს კი ხე-ტყის გადასატანი 3 მანეთიც არ მისცა.

სოფ. ბალიჭის მცხ. არშაკ ყაფლანოვს და კოლა ავქაფაშვილს დაუჭრია უბილეთო ხე-ტყე, რომელიც სოფ. ქვეშის მცხ. ვასო ურუშაძეს 60 მან. მიჰყიდა.

ათაბეგოვი სოფ. ხაჩინის მცხ. არშაკ კარაპეტიანცს სისტემატიურად აძლევს უბილეთო ხე-ტყეს, სამაგიეროდ ართმევს დინამიტებს და მდინარე მაშავერაში თევზებზე ნადირობს.

მიხა ათაბეგოვი გამოუსწორებელი ლოთია, ერთხელ მას ღარიბი გლეხის ისაკ ათაბეგოვის ძაღლი დაედევნა. ათაბეგოვმა ეს იუკადრისა, ძაღლს თოფი დაახალა და იქვე მოჰკლა.

ათაბეგოვმა, მიხა ჩუნუხიძეს მთელი ორი ოთახის ტყის მასალა უბილეთოდ მისცა. სამაგიეროდ ერთი შემწვარი ბატკანი გამოართვა.

გიორგი მიხას-ძე ჩუღუხიძეს, რომელიც ტყეში უბილეთოდ ხეებს სჭრიდა ცული წაართვა და ერთ ბოთლ არაყზე გაჰყიდა. გურჯ ყაფლანოვს, არშაკ და ტიგრან ათაბეგოვებს 400—450 ცალი მერქანი უბილეთოდ გაჩეხვაზე 15 მან. გამოართვა და გაუშვა.

ტყისმცველ მიხა ათაბეგოვს არ ჩამოუვარდება მისი „ამხანაგი“ აგრეთვე ტყისმცველი თანაზა ფეიფანოვი.

მან დავით გრიგორის ძე დემურაშვილს უბილეთოდ მისცა ხე-ტყე და 20 მან. აიღო. არშაკ ყაფლანოვს უბილეთოდ მისცა 300 ხე, სამაგიეროდ ერთი ბატკანი აიღო. არტემ ათაბეგოვს უბილეთოდ მისცა ხე-ტყე და აიღო 5 ფუთი კარტოფილი და 10 გირვანქა ერბო. ფეიფანოვმა ნება დართო მიხა და გიგლა ათაბეგოვებს, ასლან, კოლო და არშაკ ყაფლანოვებს 250 ძირი უბილეთოთ ეძოვებით ტყეში მთელი წლის განმავლობაში, რისთვისაც ერთი ძირი გამოართვა მათ.

ტიგრან ათაბეგოვი გამოუსწორებელი ლოთია. სისტემატიურად ქეიფში ატარებს დროს და თოფის სროლით იკლებს მთელს სოფელს. ასეთი ქეიფის დროს, როდესაც ჩაუარა კოწა ყაფლანოვის სახლს, ძაღლი დაინახა და თავმოწონების მიზნით ძაღლი მოჰკლა, პატრონს სიკვდილით დაემუქრა, რომ არ გაესაჩივრებია. ტიგრან ათაბეგოვმა კოოპერატივის ნოქრად ყოფნის დროს 200 მანეთი გაფლანგა. ამ თავგასულ ტყის მცველებს მხარს უმშვენებს პარტიის წევრი დავით დემურაშვილი, რომელიც სისტემატიურად ლოთობს და ორგანიზაციის დავალებებს გულგრილად ასრულებს. ეს არის ნამდვილი გაკულაკებული „კომუნისტი“ ყავს 300 სული ცხვარი, 6 ხარი, 4 ძროხა, 10 ღორი, 1 ცხენი, აქვს 11 დესეტინა საუკეთესო სახნავი მიწა, რვა თვალი სახლი და სხვა.

ქვეშის თემსაბჭოს თავმჯდომარე შაქრო ლომიძეც არ ჩამორჩება შეხმატკბილებულთა ამ კამპანიას. ლომიძე დღეს ისე არ გაუშვებს, რომ არ გადაჰკრას. მას კავშირი აქვს კულაკობასთან და შეძლებული გლეხობასთან. ისეც შეძლებული თუ რაიმე პატივს გეცემს, თორემ საწყალს რა აქვს, რა უნდა მოგცესო, ხშირად გაიძახის ლომიძე.

საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება ამ უმსგავსოებას, რომელიც ქვეშის თემში ხდება, თორემ შემდეგ გვიანღა იქნება.

**უტყუარნი.**

## პროტექცია უნდა აღმოიფხვრას

(კახეთის ოლქი)

მოუმზადებლად ოლქის ცენტრალურ დაწესებულების გურჯაანში გადმოტანამ ძალიან ცუდ პირობებში ჩააყენა თანამშრომლები, უმთავრესად უბინაობის გამო. მთელი წლის და ორი წლის განმავლობაში მათ ძინავთ დაწესებულებებში მაგიდებზე, უფრო იღბლიანებს კი ზამთარში მაინც ჰქონდათ მიცემული ბინები კურორტ ახტალის ბარაკებში.

დიდი იმედით მოველოდებოდით ახალ შენობების დამთავრებას, სადაც გვპირდებოდნენ ბინებს. მართლაც, 3 შენობა წელს ზამთრისათვის დამთავრებულ იქნა, და შეუდგნენ ბინების განაწილებას. მაგრამ ეს განაწილება მოხდა ყოვლად უმსგავსოდ და უსამართლოდ. იჩინა თავი პროტექციამ და ნათლიმამობამ, ძმა-ბიჭობამ.

ბინები მისცეს ისეთ „მსხვილ“ თანამშრომლებს, რომელნიც ასე თუ ისე მოწყობილი იყვნენ; მისცეს ისეთებსაც, ვისაც განაწილების კომისიაში და კოლმეურნეობის განყოფილებაში „მეგობრები“ აღმოაჩნდნენ. უბინაო თანამშრომლების განცხადებები განხილულიც არ იქნა. მაგალითისათვის მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს: აღმასკომის სამი თანამშრომელი ქალები: კარგოზაშვილი, ნასიძე და ზალდასტანიშვილი, რომელნიც შიგ დაწესებულებაში ცხოვრობენ, 2 წელიწადი, თხოულობდნენ ერთ ოთახს. ოთახი იყო, მაგრამ ეს ოთახი ვიღაცას წყალობით გადაეცა არა ამათ, არამედ ეუფუნაშვილის ქალს, რომელსაც სოფელ გურჯაანში ბინა ჰქონდა, და სულ ახლოს იქნა გადმოყვანილი ქვემოდ (კილომეტრის მანძილზე), აღმასკომში.

აშკარაა, რომ პროტექციას ჰქონია ადგილი და ეს იწვევს დიდ აყალ-მაყალს. საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ჩაიხედოს ბინების გამანაწილებელ კომისიის საქმიანობაში და პროტექციის ნაშთები ძირიანფესვიანად ამოთხაროს იქიდან, თორემ მალე დამთავრებული იქნება მეოთხე სახლიც და ადგილი შესაძლებელია მსგავსი ისტორია კვლავ განმეორდეს.

**სიმართლის მთქმელი.**

## ანტისაბჭოთა ელემენტები მასწავლებელთა როლში

(სოფ. საზანო, შორაპნის მაზრა)

საზანოს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში მოკალათებული არიან უცხო ელემენტები, როგორც მაგალითად: აზნაური ბუბა (ლეონიდე) ჟღენტი და ნესტორ ჩიქოიძე.

ბუბა ჟღენტი მენშევიკების დროს მსახურობდა სახალხო განსაკუთრებულ რაზმში ადიუტანტის თანამდებობაზე. ვინ იცის, თუ რამდენი ცოდვები აქვს მას ჩადენილი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის შორაპნის მაზრიდანაც ყოფილა განდევნილი. რაღაც მახინაციებით 1926 წ. ის ტყუობ. მასწავლებლად საზანოს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში, სადაც თავის კუდაბზიკაობას არ იშლის. თავი მოაქვს მცოდნე მასწავლებლად, მაგრამ სინამდვილეში კი არის არამცოდნე და ზედმიწევნით ცუღლუტი. გაკვეთილის დროს საათში იცქირება, თუ როდის გავიდეს სკოლიდან, შეჯდეს თავის ცხენზე და წავიდეს ჩხარში (სადაც მას ჰყავს ოჯახი), ან ბაზარში, რათა არ ჩამორჩეს გაკოტრებულ თავად-აზნაურებს ჩოლრობაში (რომელიც მას ემარჯვება) და დაუსინჯავი ცხენები არ გამოეპაროს. 1928 - 29 სასწავლო წლის ბოლოს მოწაფეთა ცოდნის გამორკვევის შემდეგ ხსენებულ ჟღენტმა მიიღო საყვედური (ოქმში აღნიშნით) მის საგნებში მოწაფეთა მოუმზადებლობის გამო. მას კარგად ეხერხება ლაქუცობა ხელისუფლების ზოგიერთი ადგილობრივ წარმომადგენლების წინაშე. აღმასკომის თავმჯდომარე შ. თორთლაძეს, რომელიც მეტად საეჭვო პიროვნებაა, კოოპტაციის სახით ჟღენტი შეჰყავს საბჭოში. საკითხავია—როდის ან ვინ აღუდგინა ხმის უფლება მენშევიკების სახალხო განსაკუთრებულ რაზმის ადიუტანტს, როდის მოინანია მან თავისი ცოდვები?

ჟღენტი ერთი შეხედვით თითქოს საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. 1926 წლიდან ის განათლების მუშაკთა ადგილკომის სარევიზიო კომისიაში ირიცხებოდა, მაგრამ მას ორი წლის განმავლობაში ერთი ოქმიც არ დაუწერია ადგილკომის რევიზიის გარშემო. მიუხედავად ამისა „ძმა-ბიჭებს“ (განსაკუთრებით იყვნენ) ის გაჰყავთ ადგილკომის თავმჯდომარედ. ჟღენტმა თავისი უმოქმედობის კვალი დააჩნია ადგილკომის მუშაობას. არც ერთი ჟურნალ-გაზეთი ადგილკომს ხაზით არ გამოუწერია; წრეების საქმიანობა [illegible]. მასწავლებლების ხელფასი ხშირად 2 - 3 თვით იგვიანებს, მაგრამ საქმის მოგვარებაზე ჟღენტი თავს არ იტკივებს.

მეორე „პედაგოგი“—ნესტორ ჩიქოიძე მენშევიკების დროს ახალციხეში საველე სასამართლოს წევრად და მდივნად იყო, რომელიც იღებდა მონაწილეობას მუშებისა და სტუდენტობის დახვრეტაში. მას ლოთობისა და სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის რამოდენიმეჯერ გამოუცვლიათ ადგილი. საკვირველია, როგორ მოახერხა მან კომპარტიაში შეძრომა? მაგრამ სიცრუე და ბოროტება არ დაიმალება. პარტწმენდის დროს მან მოიტეხა ფეხი და მისი დამალული ბოროტმოქმედებანი გამოაშკარავდა. ამის შემდეგ ის მაინც რჩება საზანოში გლეხ. ახ. სკოლაში საზ-მეცნიერების მასწავლებლის თანამდებობაზე, თუმცა ამ საგანში მას არაფერი გაეგება. გასულ წელს მესამე ჯგუფი გაუშვა ისე, რომ პროგრამი სამესამედიც არ გაუტარებია. ის მეტ დროს ატარებს ლოთობაში, გადადის სოფელში, დაითვრება და უგრძნობლად დაეცემა ლაბორატორიაში, სადაც მოწაფეები ფანჯრებიდან მას უჭვრეტენ და დასცინიან. სკოლაში თითქმის სისტემატიურად იგვიანებს, გაკვეთილებს გადაცემის მაგივრად აბდა-უბდას ყვება.

საჭიროა ასეთი უცხო ელემენტები განიდევნონ სკოლიდან.

**მცოდნე.**

## ქვედა საფეხურის აპარატის წმენდა ნელი ტემპით მიმდინარეობს

**ცენტრალურ ხელისუფლების დირექტივებს ქვედა საფეხურში მოკალათებული ბიუროკრატები და მავნებლები უხამსად ამახინჯებენ. — დაუშვებელია წმენდის გადადება მიმდინარე კამპანიების მომიზეზებით. — სას.-სამ. კამპანია, კოლექტივიზაცია და საბჭოთა საანგარიშო - შესამოწმებელი კამპანია უშუალოდ უნდა დავუკავშიროთ ქვედა საფეხურის აპარატის გაწმენდას გახრწნილ, გადაგვარებულ და უვარგის ელემენტებისაგან**

## საბჭ. აპარატის შემოწმება ჭიათურაში

(წერილი ჭიათურიდან)

2 მარტს ჭიათურის ცენტრალურ მუშათა კლუბში გაიხსნა საბჭოთა აპარატის შემმოწმებელი კომისიის პირველი სხდომა. წმენდას დიდძალი მუშები ესწრებიან. პირველ რიგში ამოწმებენ მილიციას. რაიმილიციის მუშაობის შესახებ მოხსენების გარშემო გამართული კამათიდან გამოირკვა მთელი რიგი უმსგავსოებანი ამ აპარატში. მუშათა ფართო მასები ცხოველ მონაწილეობას იღებენ ამ უმსგავსოებათა გამოაშკარავებაში. მილიციაში თავი მოუყრია უცხო და გადაგვარებულ ელემენტების მნიშვნელოვან ნაწილს.

დავიწყოთ მილიციის უფროსის თანაშემწე მოქ. პოლიკარპე მახვილაძიდან. ის გამწმენდ კომისიას წინასწარ აფრთხილებს, რომ მის წინააღმდეგ გამოვა სამი პიროვნება, კომისია ეკითხება მახვილაძეს—როგორ გაიგო ეს მან, რაზედაც უპასუხებს: „რის გამომძიებელი ვარ, თუ ესეც ვერ გავიგე“. ცდილობს მოიგერიოს თავდამსხმელთა იერიში სხვადასხვა ხრიკებით, მაგრამ ტლანქმა სინამდვილემ თავი არ დაზოგა.

მახვილაძეს მენშევიკების დროს უჭირავს ხელთ მილიციის უფროსობა. მას მოხუცებული ქალის დახრჩობა დაბრალდება. საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქარელში მექრთამეობისათვის დაედვა ბრალი, მაგრამ თავი იძვრინა მით, რომ ქრთამის მომცემი თავის საიდუმლო აგენტად მონათლა. ქარელში მის მეორე დანაშაულს ჩაუდენია—გაუფლანგავს სახაზინო ფული—500 მან., მაგრამ ეს ბრალდებაც მიაფუჩეჩა, ფული აფანსად იყო გაცემულიო.

ბოლო დროს იგი მედიდურად ზის კაბინეტში და მასთან შემსვლელ თანამშრომლებს და გლეხებს უდიერად ეპყრობა. ვისაც სურს, იმას იღებს სამსახურში, თუნდა იგი ბოროტმოქმედიც იყოს. მის მიერ მიღებულმა მილიციელმა სამმართველო გაქურდა, გაიქცა და დღესაც ეძებენ. სამუშაო დროის უმეტეს ნაწილს ახმარს ხელფასის სიებსა და სხვა ანგარიშებთან კომბინაციას; ხევს და ასწორებს სიებს, როგორც მას მოუხდება. თანამშრომლების ერთი მეორის წინააღმდეგ აქეზებს და ზოგიერთ მათგანს თავის ზრახვების იარაღად იყენებს. მილიციისათვის საგებ-სახურავის შესაძენად ფული მიიღო და ჯიბეში ატარებდა, იმ დროს, როცა მილიციელები სიცივით კანკალობდნენ. თავის ნაცნობ ქალს ვაშაძეს მილიციელს უგზავნის დამცველად. მილიციელების შეძენილ ობლიგაციებიდან მიღებული ფულიდან განიზრახა 60 მან. მითვისება. მახვილაძე საქმის წარმოებას და საერთოდ მუშაობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. შრომის კანონი მისთვის არ არსებობს და თანამშრომელთა შორის საქმის განაწილებას უყურადღებოდ ეკიდება. რა თქმა უნდა, ასეთი უფროსი დაწესებულების მუშაობაში გახრწნის მეტს ვერაფერს შეიტანს.

**ხაჟაპურიძე ალექსანდრე**—მარქაფის უფროსი თანამშრომელი. იგი თანამშრომელთა შორის თვითნებურად ანაწილებს მუშაობას. თუ ამაზე ხმა ამოიღო ვინმემ, სცემს. მკლავაძიობა მას შენარჩუნებული აქვს მენშევიკური მილიციის რიგებიდან.

**ჩიჩინაძე გრიგოლ**—უფროსი მილიციელი. მენშევიკებთან ერთად ებრძოდა ბოლშევიკებს და ბოლშევიკ ჯარისკაცებს ჰკრიდა იარაღს. 1924 წელს ავანტიურაში მიიღო მონაწილეობა ხელისუფლების წინააღმდეგ.

**კაპანაძე ილიკო**—უმცროსი მილიციონერი მენშევიკების გვარდიელი. ის ამ გარემოებას ფარავს პარტიაში შესვლისას, რის გამომჟღავნების შემდეგ გამოირიცხა პარტიიდან. კაპანაძე ხელმეორედ შეძვრა პარტიაში, მაგრამ მალე მიწა გაყიდა და ისევ გაძევებულ იქნა. კაპანაძე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს ბოლშევიკებს იარაღით ხელში ებრძოდა.

**ცუცქირიძე ვასილ**—სიმულიანტი, ლოთი და ხულიგანი. ხულიგნობისათვის კომკავშირის რიგებიდან გამოძევებულია. ეს ვაჟბატონი გამოუსწორებელი აღმოჩნდა. ერთხელ დათხოვნილი მილიციის რიგებიდან, მეორედ მიიღეს პირობით, მაგრამ ახლაც თავის ზნეჩვეულებას არ იშლის.

**გვალია გალაქტიონ**—გამოუსწორებელი ლოთი და თავხედი. ხელობად აქვს გადაქცეული სიმთვრალის დროს დებოშის ატეხა და სროლა. დისციპლინა მისთვის არ არსებობს. იპარება სადარაჯოდან. კომკავშირის რიგებიდან გამორიცხულია პასიობისათვის.

**დარბაიძე გრიგოლ**—უფროსი მილიციელი. ცნობილია ბანდიტების ხელის შეწყობით, რის გამო მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით. ამ მხრივ იგი გამოსწორდა და ბანდიტებს სდევნის, მაგრამ სწორ გზაზე მაინც ვერ დადგა. ბიუროკრატიზმში გადავარდა. ამა თუ იმ საქმეზე იბარებს გლეხებს სამმართველოში და თვითონ უფროსის დაუკითხავად 2-3 დღით საქეიფოდ მიდის სოფლებში. დარბაიძე მახვილაძის მარჯვენა ხელია.

**ჩინჩალაძე ვლადიმერ**—უმცროსი მილიციელი—არის თავაწყვეტილი და უდისციპლინო. დავალებით გაგზავნილი ერთ სოფელში, იგი მეორე სოფელში ამოყოფს თავს, იქიდან [illegible] მილიციაში და თვითონ საქეიფოდ რჩება.

**ცირეკიძე ვასილ**—უმცროსი მილიციელი. ეს ვაჟბატონი სტოვებს სადარაჯოს და დაიარება სადაც მას მოესურვება. დისციპლინის მას არა სწამს რა. პასიობისათვის გამორიცხულია კომკავშირიდან.

საერთოდ ჭიათურის რაიმილიციის შემადგენლობაში ბლომად აღმოჩნდა საეჭვო ელემენტები და უდისციპლინო ხალხი. მაშინ, როდესაც მილიციის შემადგენლობა ჭრელია და აპარატის მუშაობაში მთელ რიგ ნაკლს აქვს ადგილი, მილიციის უფროსი ამხ. ლობჟანიძე გამოდის კომისიის წინაშე და აცხადებს, რომ მან ყოველივე ეს მხოლოდ ახლა, წმენდის დროს გაიგო. უბედურებაც ისაა, რომ მილიციის უფროსს თავის დროზე არ შეუმჩნევია მისი თანამშრომლების უმსგავსოებანი, რასაც თან სდევდა საბჭოთა აპარატისათვის სახელის გატეხა და მილიციის მუშაობის ნაყოფიერების შენელება. მართალია, მან პასუხისგებაში მისცა გამფლანგველები და ლოთები, მაგრამ ეს როდი კმარა.

გამომჟღავნებულ მასალების მიხედვით კომისია საფუძვლიანად გასწმენდს მილიციის პირად შემადგენლობას და ამით უზრუნველჰყოფს მომავალში მისი მუშაობის გაჯანსაღებას.

მილიციის აპარატის წმენდის დამთავრების შემდეგ ჩატარდა რაიაღმასკომის წმენდა. მრავალ მიღწევებთან ერთად რაიაღმასკომის საქმიანობაში შემჩნეულია სექციების სუსტი მუშაობა, ქალაქში წყლის ნაკლებობა, ქალაქის გარეთა უბნებში გზებისა და ქალაქის ნახევარ ნაწილში კანალიზაციის უქონლობა. აღმასკომის პირად შემადგენლობაში აღმოჩნდა ბნელი წარსულით მოცული ერთი პიროვნება.

**ლეჟავა სავლე**—აღმასკომის მასალების საწყობის გამგე. ამ მოქალაქემ დღემდე დაფარა, რომ იყო მენშევიკური პარტიის წევრი, აგრეთვე არ აღიარა, რომ იგი გვარდიელი იყო და ჭიათურის შტაბის წევრი. მიუღია მონაწილეობა 1918 წელს სახხერეში ბოლშევიკების გამოსვლების წინააღმდეგ. 1921 წ. მას მონაწილეობა მიუღია სახერის ხიდზე ფრონტიდან გამოქცეული მენშევიკურ მთავრობის ჯარისკაცების დახვრეტაში. იგი ხელმძღვანელობდა სოფ. კორბოულში რაზმს, რომელიც აჯანყებულ გლეხობას ებრძოდა.

**პ. ჯაჯანიძე.**

## ვინ სცემს სასამართლოს ორგანოების პრესტიჟს

თბილისში დაიწყო პროკურატურის და სასამართლოს ორგანოების აპარატის წმენდა. აპარატის მდგომარეობის შესახებ ამხ. ვ. სტურუას მიერ მოხსენების გაკეთების შემდეგ პირველად გამოძახებულ იქნა ბიძინა ლასხიშვილი, რომელიც მსახურობს 1 უბნის სახ. სასამ. სამოქ. განყოფილების მდივნად. მას ბრალდება ვექილებთან კავშირი, მუშაობის დროს სხვა საქმით გართობა (რომანების კითხვა) და ვინმე გიორგაძისათვის ყალბი საბუთის გაკეთება სასამართლოს ბეჭდის დასმით, აგრეთვე სასამართლოს დადგენილების შეცვლა და საქმის გაჭიანურება. ვერც ერთი წაყენებული ბრალდება მან ვერ გააბათილა და ბოლოს „გამოსავალი“ ჰპოვა იმაში, რომ ყველა ბრალდება კერძო ინტერესების ნიადაგზეა წაყენებულიო.

2. თამარ ჩაგარიძე 1 უბნის სახ. სასამ. მდივნის თანაშემწე. სისტემატიურად არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ბრძანებით ჰქონდა გამოცხადებული უკანასკნელი და სასტიკი გაფრთხილება დაუდევრობისათვის, მეორედ იქნა დაქვეითებული. მას შემდეგაც განაგრძობს თავის მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. სხვათა შორის, ამბობს: მე კომკავშირის უჯრედი არ მომწონს და არც მსურს მასთან თანამშრომლობა; კავშირი აქვს დამცველთა კოლეგიის წევრებთან, უბეჭდავს მათ სხვადასხვა განცხადებებს და საჩივრებს; სასამართლოს სხდომის დროს მოსულებს ათვალთვალებს და შემდეგ კანცელარიაში ატარებს დროს ლაპარაკით—ეს და ეს ლამაზია, შავი თვალები აქვს და სხ.; ბრალდებულებს უწერს განცხადებებს. მან ვერ უარყო ბრალდებები და ლასხიშვილივით განაცხადა, რომ ჩემ წინააღმდეგ გალაშქრება კერძო ინტერესებითაა გამოწვეულიო.

3. ლუდმილა ვარონინა, 1 უბნის სასამართლოს მემანქანე, სასამართლოს ორგანოებში 30 წელი მსახურობს. ბეჭდავს კერძო განცხადებებს, აგვიანებს სამსახურში, ზოგჯერ ფოქსტროტს მართავს კანცელარიაში მუშაობის დროს, საზოგადოებრივ მუშაობას არ ეწევა.

4. ქსენია ნაზუქოშვილი—მეორე უბნის სახ. სასამ. მდივნის თანაშემწე, სასამართლოებში მუშაობს 1917 წლიდან. მუშაობის დროს ამხანაგის საუზმის მოპარვისათვის გამოეცხადა გაფრთხილება; კავშირის წევრი იყო 1917 წლიდან, გამორიცხული იქნა კავშირიდან საწევროს გადაუხდელობის გამო. დასცინოდა კავშირს და თანამშრომლებს ეუბნებოდა: თქვენ თუ კავშირის წევრები ხართ, რას გიკეთებთ კავშირიო. შემდეგ, წმენდის მოახლოვების დროს გახდა კავშირის წევრი. არავითარ საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობას არ იღებს, გაურბის დემონსტრაციებს.

წმენდას თანამშრომლები 100 პროცენტით დაესწრნენ. მაგრამ ისინი პირველ დღის, თუ არ ავიღებთ გამონაკლისს, პასიობას იჩენდნენ. გამწმენდი კომისია შესაფერ განაჩენს გამოუტანს აღნიშნულ პირებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებით საბჭოთა სასამართლოს ავტორიტეტს სცემდნენ.

**ბ—ვ.**

## თავგასული ადმინისტრატორი

ს. გელაშვილი სახხერეში ითვლება ერთსა და იმავე დროს შრომის დაცვის თავმჯდომარედ და ადმინისტრატორადაც (არის არტელის უფროსი). პირველ თანამდებობას გელაშვილი ბოროტად იყენებს, რადგან მუშებს ამუშავებს ზედმეტ საათებში. ამ ბოლო დროს ისე გაკადნიერდა, რომ სამუშაო ადგილზე ფეხით მისვლას არ კადრულობს და მუშებს დაჰყავთ „ვაგონეტკით“.

გელაშვილმა წითელი კუთხის ხელმძღვანელად დაიქირავა კომკავშირელი პ. ქავთარაძე, რომელსაც თვეში 15 მანეთს აძლევს. გასული წლის ოქტომბრის ხელფასი დღესაც მიუცემელი აქვს. გასულ წელს დღიურ მუშას ა. დუმუაშვილს დააკლო ჯამაგირზე 90 კაპეიკი და ა. ფალავანდიშვილს 5 მანეთი. მუშების შეკითხვაზე თუ რათ აკლიათ ჯამაგირი —უპასუხებს: „მეტი არ გერგებათ“-ო. მუშებმა მიმართეს გზის ოსტატს და მოიტანეს ნარკვევი, რომ მათ ერგებათ 5 მან. და 90 კაპ. გელაშვილი უბრუნებს მათ 5-90 კაპ. მუქარით: „ორასი კაცის სამუშევარი, რომ მქონდეს თქვენ არ გამუშავებთ“-ო.

ყოყოჩობა, ტრაბახობა და მუქარა მუშებისადმი გელაშვილს ხელობათ აქვს შემოღებული. წითელი კუთხის ეზო შემოღობილი იყო ეკლიან მავთულებით, რაც მუშების ქონებას შეადგენდა, ეს კი გელაშვილმა მოხსნა და მუშებს თავისი საკუთარი ბოსტანი გააკეთებინა სამუშაო საათების დროს.

**დიმი.**

## გამოძახილი წერილებზე

### მუშკორი გონჩაროვი გამართლებულია

თბილისის აღმასკომის ვეტ-ფერშალი მუშკორი ამხ. გონჩაროვი ადგილობრივ პრესაში ათავსებდა მამხილებელ შენიშვნებს სავეტერინარო საქმის მდგომარეობის ნაკლოვანებათა შესახებ. ქალაქის ვეტერინარულ ქვეგანყოფილების ზოგიერთ მუშაკებმა მას დაუწყეს აშკარა თუ ფარული დევნა. სხვათა შორის, მათ არა სწორი ცნობების მიწოდებით შეცდომაში შეიყვანეს აპარატის გამწმენდი კომისია, რომელმაც დაადგინა ამხ. გონჩაროვის გამორიცხვა პირველი კატეგორიით. მაგრამ ცილისწამება და მუშკორის დევნა გამოაშკარავებულ იქნა. საქართველოს მუშგლეხინის კოლეგიამ, რომელმაც განიხილა ეს საკითხი, დამტკიცებულად სცნო მამხილებელ მუშაობისათვის ამხ. გონჩაროვის დევნის ფაქტი სავეტერინარო ქვე-განყოფილების გამგის შენგელაიას და პირველი მიკროსკოპიული სადგურის გამგის ხუციშვილის მხრით, რომელთაც გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. ამასთან, ამხ. გონჩაროვის მუშკორულ მოღვაწეობის საერთო [illegible] აღიარებასთან ერთად, კოლეგიამ აღნიშნა ამ მოღვაწეობაში დახრის ცალკე ელემენტები.

### დაუსაბუთებელი ბრალდება

თქვენი გაზეთის 29 იანვრის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია სათაურით—„პროტექციის ხელი ქუთაისის მუშკოოპში“.

წერილი ეხებოდა ქუთაისის მუშკოოპის პასუხისმგებელ თანამშრომლებს. ავტორი აღნიშნავდა, თითქოს „პორტფელოსანი“ პირების წყალობით მუშკოოპში გამეფებულია პროტექცია და მოსამსახურეების არაკანონიერი გზით მიღება.

ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ მოახდინა კორესპონდენციაში აღნიშნულ ბრალდებათა გამოკვლევა.

გამოკვლევამ გამოააშკარავა, რომ კორესპონდენცია მოკლებულია სინამდვილეს და ჩირქს სცხებს ქუთაისის მუშკოოპის თანამშრომლებს.

**ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილება.**

## იშვიათი ბიუროკრატი

რკ. გზ. მეხუთე სალიანდაგო უბნის კანტორის გამგედ არის მოქ. შალვა ორჯონიკიძე—იშვიათი ბიუროკრატი და საქმის გამჭიანურებელი. მის მაგიდასთან კაცს მისვლა ვერ გაუბედნია. მუდამ განრისხებული და მედიდური გამომეტყველებით იყურება. რაიმე საკითხზე ხშირად ისეთ მიკიბულ-მოკიბულ პასუხს მოგცემთ, რომ ვერაფერში გაერკვევით.

გარდა ამისა, ამ ვაჟბატონმა ახირებული წესები შემოიღო საქმის წარმოებაში, კანტორაში შვიდი კაცი ერთ ოთახში მუშაობს. ყველა თანამშრომლები თვით გამგე ორჯონიკიძის პირისპირ სხედან და მის განრისხებულ თვალებში იყურებიან, თუ რას უბრძანებს შესასრულებლად.

საქმის წარმოების ახალი წესების თანახმად რომელიც მან შემოიღო, ლაპარაკი, სიტყვიერად მითითებების მიცემა და ახსნა-განმარტება დაუშვებლადაა მიჩნეული. ყველა განკარგულებანი ერთი მაგიდიდან მეორეზე და [illegible] ხდება წერილობით. გამგე ორჯონიკიძე სხვას არაფერს არ აკეთებს, გარდა ამ ქაღალდების წერისა, იმ დროს, როდესაც აუარებელი ცოცხალი საქმეა გასაკეთებელი.

მის მიერ გაცემულ აუარებელ განკარგულებათა შორის არის ასეთი მარგალიტები:

ორჯონიკიძე სწერს მის გვერდით მჯდომ საქმის მწარმოებელ სახუაძეს: ერთი კვირის წინ მემანქანე ქალს გადავეცი (მემანქანეც გვერდზე მუშაობს) დასაბეჭდად ქაღალდები, მაგრამ დღევანდლამდე არ დაუბეჭდია.. გამოარკვიე და წერილობით მომახსენეთ.

სწერს მეორე თანამშრომელს ცინაძეს: ანკეტა, რომელიც რეგისტრატორს უნდა ჰქონოდა, აღარ აღმოჩნდა, ეს ყოვლად შეუწყნარებელია. წერილობით მოახსენეთ რეგისტრატორის დაკარგვის მიზეზი. ცინაძე კი ისე ახლოს ზის გამგე ორჯონიკიძესთან, რომ მუშაობის დროს მის მაგიდაზე უდევს ხელი, ის ფიქრობს: ასეთი რამე ხომ სიტყვითაც ითქმებოდა, რატომ კარგავს დროს ამგვარ ქაღალდების წერაში. მაგრამ რას გაუბედავს კანტორის უფროსს, ნება მისი უნდა აღსრულდეს და სრულდება კიდეც.

ეს ქაღალდი ციხაძის წარწერით გადაეცემა რეგისტრატორის მაგიდაზე, რეგისტრატორი აწერს ახსნა-განმარტებას და სხვ.

კანტორის სინამდვილიდან მსგავსი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება. ასეთი მიმოწერა თანამშრომლებს შორის სისტემატიურია და ნახევარი დრო ამაზე იკარგება. კანტორის თვითეულ თანამშრომელს დასტობით ულაგიათ ჯიბეში გამგისაგან მოწერილი განკარგულებათა ქაღალდები.

საჭიროა ბიუროკრატიულ სენისაგან ორჯონიკიძის განკურნება.

**ძველი რკინისგზელი.**

## ვაჭარი საბჭ. სამსახურში

ივ. ფაიფულაკტოსი ვაჭარია, რომელსაც ქ. სენაკში აქვს თხილის საწმენდი ქარხანა. იქ ჰყავდა 50-100 მუშა კერძოთ დაქირავებული. ქარხ. პატრონი ეწეოდა მათ უხეშ ექსპლოატაციას, რის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა მიწა-ტყის პ.-კავშირის სენაკის განყოფილებას.

ეს ხმისუფლება აყრილი ვაჭარი ვიღაცის პროტექციით მოეწყო „ზაქსელხოიუზი“-ს თანამშრომლად დაფნის ფოთლის დამზადების საქმეზე დასავლეთ საქართველოში. ადგილობრივი გლეხობა, ვინც ეს ამბავი გაიგო გაკვირვებულია. ამბობენ: „გუშინ ტყავს გვაძრობდა და ნუ თუ ახლა საბჭოთა მოსამსახურე გახდა“-ო. აშკარაა, რომ ფაიფულაკტოსი ამ სამსახურს ბოროტად გამოიყენებს, როგორც გამოქექილი ვაჭარი.

შეიძლება ვინმემ სთქვას: ის სპეციალისტია და ამიტომ დაინიშნეთ, მაგრამ ეს არ არის სწორი. გაკოტრებულ ვაჭრებს სპეციალისტად მოაქვთ თავი, მაგრამ დუქნის დაკეტისთანავე მათ საბჭ. აპარატში, ისიც ისეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, არავინ შეუშვებს. საჭიროა ამ საქმის გამორკვევა.

**მაგარი.**

## მზადება წმენდისათვის

(ვანი, ქუთ. ოლქი)

ვანის რაიონში 5 მარტიდან დაიწყო საბჭოთა აპარატის წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობა. წმენდის კამპანია უპარტიო გლეხურ მოსახლეობაში საკმაო გამოძახილს პოულობს. ჩატარებულია ახსნა-განმარტებითი საუბრები: პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირის წევრთა და გლეხთა საერთო კრებებზე.

ქოხ-სამკითხველოების და კორესპონდენტთა რაიონული ბიუროს ხელმძღვანელობით გამოშვებული იქნა კედლის გაზეთის სპეცია- გამოყოფილია ხუთი ბრიგადა, რომელშიც ბით გაკრულია თვალსაჩინო ადგილებზე პლაკატები და ლოზუნგები.

გამოყოფილია ხუთი ბრიგადა, რომლებშიც შედიან კომკავშირელები, პროფკავშირის წევრები, მოჯამაგირეები და კოლმეურნეობის წევრები. ისინი დაგზავნილი არიან რაიონის სხვადასხვა სოფლებში მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ დამხმარე კომისიებს, რომლებიც გამოყოფილი იყვნენ პროფკავშირებთან, თითქმის არაფერი გაუკეთებიათ წინასწარი მუშაობის ჩასატარებლად, რომ სარაიონო გამწმენდ კომისიას მომზადებული ნიადაგი ჰქონოდა წმენდის დასაწყებად, რის გამო გამწმენდ კომისიას თვითონვე მოუხდა წმენდის წინ მოსამზადებელი მუშაობის წარმოება.

**ვ. წიქაძე.**

# „კათოლიკური ეკლესია მუდამ კულტურის ჩამხშობად გამოდიოდა“

### (წერილები რედაქციის მიმართ)

სავსებით ვუერთდები საბჭოთა კავშირის მშრომელების სამართლიან აღშფოთებას რომის პაპის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოლაშქრების გამო. რელიგია და განსაკუთრებით კათოლიკური ეკლესია რომის პაპის მეთაურობით კაცობრიობის ისტორიის დიდ მანძილზე თავისი ინკვიზიციით და ცენზურით მუდამ დამხშობად ევლინებოდა ადამიანთა პროგრესსა და კულტურას. იგი ყოველთვის გამოდიოდა რეაქციის მესვეურის როლში მასების წინააღმდეგ. რომის პაპის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრება მიმართულია არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ გალაშქრებად, არამედ ეს არის იმავე დროს გალაშქრება იმ დიადი კულტურული მშენებლობის წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა კავშირში სწარმოებს და რომლის წარმატებით დაგვირგვინებაში დაინტერესებული უნდა იყოს ყველა ქვეყნის მშრომელი, ყველა ხელოვანი და სამეცნიერო მუშაკი.

**სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი—ზაქ. ფალიაშვილი.**

შემთხვევით ვერ დავესწარი უნივერსიტეტის მეცნიერულ მუშაკთა კრებას, რომელზედაც გამოტანილი იყო პროტესტი რომის პაპის გამოსვლის წინააღმდეგ.

ამით ვაცხადებ, რომ მეც უერთდები ამ პროტესტს და ვიზიარებ იმ დებულებებს, რომელიც გამოთქმული იყო ჩემი ამხანაგების რეზოლიუციაში.

**პროფ. ალადაშვილი.**

# მეფრინველეობის საექსპორტო გეგმა შესრულებული არ არის

გუშინ სახკომსაბჭოში, ამხ. გ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით, შესდგა რესპუბლიკანურ საექსპორტო თათბირის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებები ღვინისა და მეფრინველეობის პროდუქტების ექსპორტის მსვლელობის შესახებ. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ღვინის ექსპორტი დასავლეთში ნორმალურად მიმდინარეობს. გარდა ამისა წელს ღვინო და მევენახეობის სხვა პროდუქტები გაზიდულ იქნება გეგმაზე — 130.000 მანეთის გადაჭარბებით. ღვინის (უმთავრესად კონიაკის და ლიქიორების) ექსპორტი წელს იზრდება აღმოსავლეთ ქვეყნების ხარჯზე. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ამ ქვეყნებში ჩვენი ღვინის დიდი მოთხოვნილება იყო ამ სამი ოთხი წლის წინედაც. აღმოსავლეთ ქვეყნებში ღვინის გაზიდვის უფლება გადაცემული ჰქონდა „დალგოსტორგ“-ს, რომელმაც ვერ შესძლო ამ ქვეყნების ბაზრების მოვლა. უკანასკნელ ხანებში საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მიზანშეწონილად სცნო, რომ ამიერ-კავკასიის (უმთავრესად საქართველოს) ღვინოს გაზიდვა აღმოსავლეთში დაეკისროს საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, რომელიც უკვე შეუდგა სათანადო მზადებას.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მეფრინველეობის პროდუქტების საექსპორტო გეგმა არ არის შესრულებული.

საქართველოდან საზღვარგარეთ გადის მხოლოდ ახალი კვერცხი, რომელიც იხმარება საავადმყოფოებში. ამიტომ ამ საქონელს დიდი სიფრთხილით მოვლა სჭირდება და დიდ მოთხოვნილობებსაც უყენებენ. ახლო მომავალში შავ ზღვაზე იმუშავებენ მაცივარიანი გემები, რაც საშუალებას მოგვცემს უმტკივნეულოდ გავადიდოთ კვერცხის ექსპორტი და გავაგრძელოთ ექსპორტის პერიოდი ივლისის დამლევამდე.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა საჭიროდ სცნო გაძლიერებულ იქნას კვერცხის დამზადება და ამ საქმეში ჩაბმულ იქნან საზოგადოებრივი ორგანიზაციები (კომკავშირი, ქალთა ორგანიზაციები და სხვ.), მიზანშეწონილად იქნა ცნობილი გაცივებული კვერცხის გაზიდვა მაცივრებიან გემების საშუალებით. გარდა ამისა სათანადო ორგანოების წინაშე აღიძრა შუამდგომლობა, რომ დამამზადებელ ორგანიზაციებს მიეცეს ავტოტრანსპორტი შორეულ რაიონებში (ახალქალაქი და სხ.) დამზადებულ კვერცხის გადმოზიდვის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად.

აღნიშნულ იქნა აგრეთვე, რომ ბუმბულისა და გერმის დამზადების გეგმა ვერ სრულდება, ვინაიდან ბაქოში ეს საქონელი ჩვენ დასამზადებელ ფასებზე ორჯერ უფრო ძვირად იყიდება.

მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რომ ბაქოში გაიხსნას კოოპერატიული სავაჭრო პუნქტი, რომელმაც ბუმბული უნდა გაყიდოს მტკიცე ფასებში.

დასასრულ, განხილულ იქნა 1930-31 წლის ექსპორტის საკონტროლო ციფრების პროექტი. ამ პროექტის მიხედვით 1930-31 წლის საექსპორტო გეგმა 49 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის გეგმას. პროექტით გათვალისწინებულია მთელი რიგი ახალი საქონლის (ზილი, ბარიტი, მარმარილო და სხვ.) გაზიდვა.

# ტრაქტორი—საექსპორტო საქონლის გადაჭარბებით დამზადებისათვის

აფხაზეთის მონადირეთა კავშირმა მიმდინ. წლის პირველი თვეების განმავლობაში დაამზადა 1.671 მანეთის მეორე ხარისხოვანი ბეწვეული, რომლის დამზადებაც აფხაზეთის საექსპორტო გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა.

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამართველომ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის წინაშე, რომ ხსენებული საქონის გეგმაზე გადაჭარბებით დამზადებისათვის აფხაზეთს პრემიად მიეცეს ერთი საზღვარგარეთიდან შემოტანილი ტრაქტორი. ბეწვეულის დამზადება აფხაზეთში გრძელდება და მოსალოდნელია, რომ ამ დამზადებისათვის აფხაზეთი პრემიად მიიღებს მეორე ტრაქტორსაც.

## მუშკორების საყურადღებოდ

დღეს, საღამოს 7 საათზე, სახკინმრეწვის შენობაში (პლეხანოვის 164) შესდგება სცენარების: „ბაყრა“-ს და „მამობილი“-ს განხილვა, რის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინო სურათი.

მუშკორებისა და კედლის გაზეთების წარმომადგენლების დასწრება ხასურველია.

# მეორე ქართული დივიზიის პარტკონფერენცია

გუშინწინ, საღამოს 6 საათ„ წითელ არმიისა და ფლოტის სახლში გაიხსნა ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის მეოთხე პარტიული კონფერენცია.

საპატიო პრეზიდიუმში ამხ. სტალინის, ვოროშილოვის, ორჯონიკიძის, კალინინის, გამარნიკის, კახიანის და აქსენტოვსკის დასახელებას კონფერენცია მქუხარე ტაშით შეხვდა.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეული იქნა 15 კაცი.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და კავკასიის წითელ დროშოვან არმიის რევსაბჭოს. კონფერენციას მიესალმენ სხვადასხვა სამხედრო ნაწილებიდან და სამოქალაქო ორგანიზაციებიდან. მქუხარე ტაშის ცემით შეხვდა კონფერენცია პირველ ქართულ დივიზიის დელეგაციის მისალმებას. გარდა ამისა კონფერენციას მიესალმენ ცვალებადი წითელარმიელების, უპარტიო მეთაურების, დამკვრელთა ჯგუფების, თბილისის მესამე სტამბის მუშების წარმომადგენლები.

მისალმებების შემდეგ კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენება; არმიის პოლიტსამმართველოს მოხსენება; დივიზიის პოლიტგანყოფილების მოხსენება, დივიზიის პარტიული კომისიის ანგარიში; მოხსენება საბრძოლო მომზადების შესახებ და არჩევნები.

გუშინ, კონფერენციამ მოისმინა ამხ. იპოს მოხსენება არმიის პოლიტსამმართველოს მუშაობის შესახებ.

მუშათა ახალი სახლი ბათუმში

# ავტომობილებისა და ტრაქტორების შემკრები ქარხანა თბილისში

ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ განიხილა ამიერ-კავკასიაში ავტომობილებისა და ტრაქტორების შემკრები ქარხნის აგების საკითხი. საბჭომ აღიარა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესი მოითხოვს, რომ ამიერ-კავკასიაში, მიმდინარე ხუთწლედის განმავლობაში მოეწყოს ავტომობილებისა და ტრაქტორების ამწყობი ქარხანა, რითაც გაუმჯობესებული იქნება სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მანქანების მიწოდება.

ამიერ-კავკ. ს.მ.უ. საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ მიმდინარე სამეურნეო წლის დასასრულს დაწყებულ იქნეს ავტომობილებისა და ტრაქტორების ამწყობი ქარხნის აგება თბილისში, როგორც ამიერ-კავკასიის ადმინისტრატიულ და ეკონომიურ ცენტრში. ქარხნის ასაგები ადგილი ამორჩეულ უნდა იქნეს ნავთლუღის რაიონში.

ავტომობილების და ტრაქტორების შემკრები ქარხნის აგების საქმე გადაცემული აქვს საზ-ბა „ზაკავტოპრომტორგს“, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს სამზადისს.

ქარხნის აგება და საბოლოო მოწყობა სულ დაჯდება 3 მილიონი მანეთი, რაც უკვე შეტანილია მომავალი წლის საკონტროლო ციფრებში. ქარხნის მშენებლობა უნდა დამთავრდეს ერთ წელიწადში.

ყოველწლიურად ქარხანა გამოუშვებს — 1.800 ცალს ავტომობილსა და ტრაქტორს. ავტომობილებისა და ტრაქტორების ნაწილებს ქარხანა მიიღებს ნიჟნი-ნოვგოროდის ავტომანქანათა დამამზადებელ ქარხნიდან.

27 მარტს ამიერ-კავკ. ს.მ.უ. საბჭოში დანიშნულია თათბირი, რომელზედაც საბოლოოდ იქნება განხილული ქარხნის მშენებლობის დაწყების საკითხი. საქ. ს. მ. უ. საბჭოს განზრახული აქვს აღძრას საკითხი, რომ აღნიშნული ქარხნის მშენებლობისათვის ხელმძღვანელობა მიენდოს საქართველოს ლითონის მრეწველობის ტრესტს.

# ფართლეულის ფარულად ვაჭრობის წინააღმდეგ

მიუხედავად იმისა, რომ მანუფაქტურის კერძო სავაჭროები თბილისში ყველა დაიხურა კერძო ვაჭრები მაინც განაგრძობენ ბაზრებში და სახლებში ფართლეულით ვაჭრობას. წინეთ კერძო ვაჭრები ფართლეულის შეძენას ახერხებდნენ სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანიზაციებიდან. ამ მიზნით ისინი მიმართავდნენ მრავალგვარ ხრიკებს, როგორიცაა ნოქრების მოსყიდვა, ყალბი საბუთები, მუშკოოპის ზოგიერთ უღირს წევრების წიგნაკებით სარგებლობა და სხ.

ენერგიული ზომების მიღების შემდეგ, ეს საშუალება მათ მოესპოთ, თუმცა ასეთ ბოროტმოქმედებას ნაწილობრივ ეხლაც აქვს ადგილი.

სამაგიეროთ კერძო ვაჭრები ბოლო ხანებში მიმართავენ შემდეგ ოინებს: სათანადო ორგანოების დადგენილებით არა წევრთათვის გამოყოფილი იქნა ფართლეულით რამდენიმე კოოპერატიული სავაჭრო, სადაც არაწევრებს ფართლეულის შეძენა შეუძლიათ ორმაგ ფასებში.

სწორედ ამ სავაჭროებში კერძო ვაჭრები და მათი აგენტები იძენენ ფართალს და შემდეგ გლეხებზე ჰყიდიან სამაგ და უფრო მეტ ფასებში. თბილისის აღმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელმა განყოფილებამ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და შეუდგა ფართლეულით ფარულად მოვაჭრე პირებს წინააღმდეგ ზომების მიღებას.

9 თებერვლიდან 19 მარტამდე განყოფილების ინსპექტორების მიერ აღმოჩენილი იქნა ბინებში, ფარულ საწყობებში და სარდაფებში დიდძალი საქონელი, დაახლოებით 14.000 მანეთის ღირებულება.

ბოროტმოქმედნი შეპყრობილი არიან. საქონელი მათ ჩამოერთვათ და გადაეცათ სათანადო ორგანიზაციებს.

# ქალაქი—კომუნა

თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება შეუდგა წინასწარ მუშაობას სოციალისტური ქალაქის გასაშენებლად.

განზრახულია სოციალისტური ქალაქი გაშენდეს ღრმა-ღელეს რაიონში, მცხეთის მიმართულებით. სპეციალისტების კომისიამ უკვე გამოიკვლია აღნიშნული რაიონი და კომუნა-ქალაქის გასაშენებლად ღრმა-ღელეს რაიონი სცნო საუკეთესო ადგილად.

კომუნა-ქალაქი თავის ტერიტორიით არა ნაკლები იქნება ძველ თბილისზე. ქალაქის შენება დაიწყება წინასწარ შემუშავებული მტკიცე გეგმით. ამიერიდან ყველა დიდი ახალი სახლი აგებული იქნება კომუნა-ქალაქის ტერიტორიაზე.

სახლები აიგება ახალი ყოფა-ცხოვრების ნიადაგზე. (საერთო სასადილოები, საერთო სამზარეულოები, სამკითხველოები, საბავშო კერები, საბავშო ბაღები და სხ.) ყოველ სახლს ექნება საკუთარი ეზო და ბაღი. გარდა ამისა მთავარი ბაღები ისე მოეწყობა, რომ მთელი ქალაქი შემოსილ იქნას ტყით და მცენარეებით. გაყვანილი იქნება მთავარი სწორი ქუჩები, მოეწყობა ფიზკულტურის და სხვადასხვა სახის სავარჯიშო მოედნები.

ამრიგად საფუძველი ეყრება კომუნა-ქალაქის გაშენების საქმეს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არსებულ ყოფა-ცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

# ბოროტმოქმედება საბაზრო კომიტეტში

მუხრანის ბაზრის (თბილისში) კომიტეტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, გამოკვლეული იქნა კომიტეტის მუშაობა.

გამოკვლევამ კომიტეტის საქმიანობაში აღმოაჩინა მრავალი ბოროტმოქმედება და გაფლანგვის შემთხვევები. კომიტეტის თავმჯდომარე კალანდაძე და მდივანი ჩიქვინიძე მთელი წლის განმავლობაში ბოროტად იყენებდნენ თავიანთ უფლებებს.

არც ერთი საბუთი არაა წესიერად შესრულებული, ქვითარები დაკარგულია, აგრეთვე უკვალოდ დაკარგულია 17 საქვითრო წიგნი, რომლითაც შეიძლებოდა 510 მანეთის შეგროვება. ვაჭრებიდან აკრეფილი თანხები არაა გატარებული სალაროს წიგნაკებში, ან გატარებულია ნაკლები რაოდენობით.

ჩიქვანიძემ შარშან შვებულების კომპენსაცია მიიღო ორჯერ, ერთხელ ფულათ, მეორეთ ნატურით. აგრეთვე მას უკანონოთ მიღებული აქვს „ზედმეტი საათების ნამუშევრის“ 106 მ.

გარდა ამისა, როგორც გამოაშკარავდა, ჩიქვინიძე ყოველდღიურ შემოსავლიდან ითვისებდა 40 პრ. „ჯილდოს“ სახით.

კალანდაძემ და ჩიქვანიძემ თვითნებურად გაიდიდეს ხელფასი, რის უფლება მათ არ ქონდათ.

ამრიგად მუხრანის საბაზრო კომიტეტის თანხებიდან გაფლანგულია რამდენიმე ათასი მანეთი. გაფლანგულ თანხის გამოკვლევა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

# სასამართლო

## ანტისაბჭოთა ელემენტების შურისძიება

ს. კოდის-წყაროში (მანგლისის რაიონი) ღარიბი გლეხობა სტიქიურად ჩაება საკოლმეურნეო მოძრაობაში.

ღარიბი გლეხების სასოფლო-სამეურნეო კოლექტივში გაერთიანებამ გონება დაუკარგა კულაკებს და ყველა ჯურის ანტი-საბჭოთა ელემენტებს. მათ ათასგვარი ჭორებით და პროვოკაციით სცადეს გლეხობის ამ სტიქიური მოძრაობის ჩაშლა, კოლექტივიზაციის იდეისათვის სახელის გატეხა, მაგრამ ვერას გახდნენ.

მაშინ ანტი-საბჭოთა ელემენტებმა გადასწყვიტეს საკოლმეურნეო მოძრაობის სათავეში მდგომ პირთა ტერორის ქვეშ დაყენება.

კოლექტივიზაციის შეურიგებელი მტრები გახლდათ ვანო თედოს ძე წიკლაური და ვანო ალექსის ძე მიგრიაული. ვინ არიან ისინი?

ისინი არიან სოფლის ყველაზე მდიდარ და კონტრ-რევოლუციონურად განწყობილი ელემენტები. ჯერ კიდევ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაწილების დროს გამოაშკარავდა მათი ავან-ჩავანი. მათ გადამალეს სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი ობიექტების დიდი ნაწილი. წიკლაურმა გადამალა—ხარები, ცხენები, ძროხები, ცხვრები. ასევე მოიქცა მიგრიაულიც. დიდძალ საქონელთან ერთად მან გადამალა 14 ძირი ფუტკარი და სხვ.

ვინ ამოიღეს მათ მიზანში? ის, ვინც ყველაზე უფრო ახლოს იყო ღარიბ გლეხობასთან, ის, ვინც თავგამოდებით მუშაობდა ღარიბთა შესაკავშირებლად და კოლექტიურ მეურნეობაში გასაერთიანებლად, ის, ვინც შეუპოვრად იბრძოდა პარტიისა და ხელისუფლების ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

მათ გადასწყვიტეს ტერორის ქვეშ დაეყენებინათ საბჭოს აქტიური წევრი ივანე ქავთარაძე, ერთ-ერთი თავგამოდებული მებრძოლი კოლექტიურ მეურნეობათა ჩამოყალიბებისათვის.

23 იანვარს, საღამოს, ქავთარაძე ბრუნდებოდა მანგლისიდან თავის სოფელში—კოდისწყაროში. ძველი მანგლისის მახლობლად მას წამოეწიენ წიკლაური და მიგრიაული, სტაცეს ხელი წააქციეს მიწაზე და დაუწყეს უმოწყალოდ ცემა. ქავთარაძე ჰყვიროდა, ითხოვდა შველას.

წიკლაური და მიგრიაული ურტყამდნენ ქავთარაძეს და ჩასძახოდნენ: „ეხლა ხომ გაანებებ თავს კოლექტივიზაციას“.

ქავთარაძეს მოეშველნენ მგზავრები და გაანთავისუფლეს თავდამსხმელებისაგან.

ქავთარაძე ისე სერიოზულად აღმოჩნდა ნაცემი, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში ლოგინად იყო ჩავარდნილი. ის ჯერაც არ არის მორჩენილი.

წიკლაური და მიგრიაული დაპატიმრებული არიან.

საქმის გამოძიება უკვე დაამთავრა სახალხო გამომძიებელმა ცვარიანმა. ბრალდებულებს წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის $58^{8}$ მუხლი (კონტრ-რევოლუციონური დანაშაული), რომელიც ითვალისწინებს უმაღლეს სასჯელს.

საქმეს გაარჩევს უზენაესი სასამართლო.

გერ.



წითელარმიელები ტოპოგრაფიის გაკვეთილზე

# შემთხვევები

### დაჭრა

გ. წერეთელმა ჩხუბის დროს რევოლვერით დასჭრა ს. დაშტოიანი. წერეთელი დაპატიმრებულია.

### ვაგონ ქვეშ

კახეთის ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონის ქვეშ მოჰყვა გ. ფოცხვერია, რომელიც მსუბუქად დაშავდა.

### ქურდობა

მეჭედავეთა კლუბიდან მოიპარეს 250 მანეთის ნივთები.

### დაჯახება

ტრამვაის ვაგონი № 234 უნივერსიტეტის ქუჩაზე დაეჯახა გლეხ ს. ბექაურის ურემს, ურემი დაიმსხვრა.

# ქრონიკა

### ა. ქ. სას.-სამ. ბანკის რეორგანიზაცია

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის აქციონერთა საერთო კრებამ დაადგინა, ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი გადაკეთებულ იქნეს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო, კოოპერატიულ-კოლმეურნეობის ა. ქ. კონტორათ.

ამასთან დაკავშირებით უქმდება რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კავშირები და აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

### ტრამვაის რელსების დაგება შპალებზე

ამჟამად ტრამვაის რელსები აგია მარტო მიწაზე, რის გამო ხაზები ზიანდება და მოითხოვს ხშირ შეკეთებას, რაც თავის მხრივ ზედმეტ ხარჯებს გარდა, იწვევს ქუჩებში უსუფთაობას და მტვერს.

ამის თავიდან ასაცილებლად, კომუნალურმა განყოფილებამ გადასწყვიტა ტრამვაის რელსები დააგოს შპალებზე. ეს სისტემა უკვე შემოღებულია საბჭოთა კავშირის სხვა მთავარ ქალაქებში (მაგალითად ბაქოში). შედეგები მეტად დამაკმაყოფილებელია.

თბილისის ტრამვაისათვის საჭირო შპალების დიდი ნაწილი უკვე დამზადებულა. ჯერჯერობით რელსები შპალებზე დაგებული იქნება ქალაქის მთავარ ქუჩებში.

ამ საქმეზე წელს დაიხარჯება 150.000 მანეთი.

### ორდღიანი ტერშეკრება

№ ქართულ მსროლელ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეული აცხადებს 1903, 1904, 1905 და 1906 წლებში დაბადებულ ცვალებად შემადგენლობის იმ წითელარმიელთა საყურადღებოთ, რომლებიც მიწერილი არიან საკავშირო ასეულზე, რომ 27 მარტს დილის სრულ 7 საათისათვის ისინი უნდა გამოცხადდნენ ასეულში (ძნელაძის ქ. № 21).

არ გამოცხადებულთა მიმართ მიღებული იქნება ზომები.

### რძის ნაწარმოების გაყიდვის შესახებ

მუშკოოპის სავაჭროებთან შედარებით კერძო ვაჭრები რძის პროდუქტებს, კვერცხს და ხორცს ჰყიდიან 200—300 პროცენტით უფრო ძვირად. მაგალითად, კარაქი მუშკოოპის სავაჭროებიდან წევრებს ეძლევათ კილო 3 მან. 50 კაპ., კერძო სავაჭროებში კი კილო კარაქი 12—13 მანეთი.

თბილისის აღმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილების ცნობით, ამიერიდან კერძო ვაჭრებს ეკრძალებათ ასე ძვირათ რძის პროდუქტების გაყიდვა. რძის პროდუქტები, კვერცხი და ხორცი კერძო ვაჭრებს შეუძლიათ გაყიდონ მხოლოდ 20 პროც. ძვირად კოოპერატიულ ფასებთან შედარებით.

### კარტოფილის მეურნეობა

თბილისის ოლქში კარტოფილის ნათესების გასაფართოვებლად მიღებულ იქნა 9 ვაგონი კარტოფილი.

### თბ. აღმასკომში

◆ ტრამვაის ახალი ორი ქვე-სადგურის ასაგებათ თბ. აღმასკომმა გადასდო 525.000 მან.

◆ **გოგირდის ახალი წყარო.** გოგირდის აბანოების ახლო აღმოჩენილ იქნა გოგირდის ახალი წყარო, რომლის ერთ-ერთი აბანოსთან შესაერთებლად გადაიდო 25.000 მ.

◆ მაუდის ფაბრიკის მუშებისათვის სახლის ასაგებათ კომუნალურ განყოფილებას გადაეცა 170.000 მან. სახლს ექნება 60 ოთახი.

◆ სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ეზოს კეთილმოსაწყობად აღმასკომმა გადასდო 6000 მან.

### ახალი კადრები

◆ შოფერების მოსამზადებელ კურსებზე შრომის ბირჟამ გაგზავნა 200 კაცი.

◆ სამხატვრო ინსტიტუტის საალმშენებლო ფაკულტეტზე იგზავნება 35 მუშა.

◆ **ინჟინრები.** ახლო ხანში იხსნება საინჟინრო 1 წლიანი კურსები, რომელზედაც მიღებული იქნებიან გამოცდილი ტეხნიკოსები.

◆ **ათოსთავების მომზადება.** იხსნება ათოსთავების მოსამზადებელი კურსები 130 კაცისათვის.

### სხვადასხვა

◆ **ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ტეხნიკუმი.** ამიერ-კავკასიის ჰიდროტეხნიკუმს ეწოდა ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის ტეხნიკუმი.

◆ **ექიმთა კონფერენცია.** დღეს, 23 მარტს, საღამოს 7 საათზე სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტში მოწვეულია თბილისის ექიმთა მე-8 კონფერენცია.

◆ **ს. კლდიაშვილის მოთხრობების წიგნი.** რედაქციამ მიიღო ს. კლდიაშვილის მოთხრობების წიგნი, „შრომა“-ს გამოცემა.

## ხელოვნების ქრონიკა

### ჭიათურის თეატრის გასტროლები თბილისში

მიმდინარე წლის 16 აპრილიდან თბილისში იწყება ჭიათურის მუშათა თეატრის გასტროლები. საგასტროლოდ მოემგზავრება თეატრის მთელი შემადგენლობა რეჟისორ ბ. ფრანგიშვილის მეთაურობით. გასტროლები იწარმოებს თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (ყოფ. სახალხო სახლი). თეატრი სულ გამართავს 10 წარმოდგენას.

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ უკვე შეისყიდა ათივე წარმოდგენა კავშირებისათვის.

◆ **პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში** დღეს წარმოდგენილი იქნება ალ. ბოკერიას პიესა „ზუმბური“. პიესას დგამს შ. ახვაბაძე.

◆ **ხალხურ სიმღერების კონცერტი.** 24 მარტს, ორშაბათს, მეჭედავეთა კლუბში გაიმართება მიხა ჯიღაურის (კახური) და ალ. მახარაძის (გურული) გუნდების კონცერტი.

# რადიო-გადაცემა

### კვირა, 23 მარტი

დღეს, დილის 10 საათიდან—10 ს. 50 წ. გადაცემულ იქნება საბავშო მუსიკალურ-ლიტერატურული დილა. 10 ს. 50 წ.—11 ს. 30 წუთამდე—რადიო-გადაცემა სოფლისათვის; ექიმის საუბარი; საშინაო და საერთაშორისო მიმოხილვა, ქართულ ენაზე, 11 ს.—30 წ.—13 საათამდე—პოპულიარული საგლეხო კონცერტი; 13 ს.—13 ს. 25 წ.—გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საათი; საუბარი — „ბრძოლა მავნებლებთან“, ქართულ ენაზე. 13 ს. 25 წ. 15 საათამდე—კონცერტი.

17 საათიდან (საღამოს 5 საათი), თბილისის რადიო სადგურის საშუალებით გადაცემული იქნება: 17 ს. 30 წუთამდე—კომკავშირელების რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე. 17 ს. 30 წ.—18 საათამდე—საუბარი ანტირელიგიური ციკლიდან: „პირველყოფილი რელიგიური რწმენის წარმოშობა“, ქართულ ენაზე. 18 ს.—18 ს. 30 წ.—მხატვრული კითხვის საათი. 18 ს. 30 წ.—19 ს. 5 წ.—ლექცია ციკლიდან—„დავეხმაროთ საბჭოთა პედაგოგს“; ლექციის თემაა—„განათლების მუშაკების როლი სასოფლო სამეურნეო კამპანიაში“, ქართულ ენაზე, 18 ს.55 წ.—19 ს. 15 წ.—საერთაშორისო და საშინაო მიმოხილვა, რუსულ ენაზე, 19 ს. 15 წ.—19 ს. 40 წ.—დაუსწრებელი კოოპერატიული კურსები რადიოთი—ლექცია ფინანსების შესახებ, ქართულ ენაზე; გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები; დროის შემოწმება; 19 ს. 40 წუთზე დაიწყება ოპერა „ტოსკას“ ტრანსლიაცია; ანტრაქტებში რეკლამები, უკანასკნელი ამბები.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, საღამოს 8 საათზე შესდგება სახელმწ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საირიგაციო ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა. სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ ამხ. ონიკ ავაქოვი და გიორგი გულულოვი.

დღეს, 23 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში მოწვეულია სექტორთა ხელმძღვანელების, პარტორგანიზატორების და კომჯგუფთა მდივნების გაერთიანებული თათბირი.

---

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929-30 წ. სეზონი

კვირას, 23 მარტს, მე-4 აბონემენტის მე-12 წარმოდგენა მ. ი. ბრეხმან-შტეინგელის მონაწილეობით და ნ. კ. პეჩკოვსკის უკანასკნელი გამოსვლა ტოსკა
ორშაბათს, 24 მარტი, აბონემენტის გარეშე, ალ. ბატურინის და დ. დ. გოლოვინის მონაწილეობით სევილიელი დალაქი.
სამშაბათს, 25 მარტს, მე-10 აბონემენტის მე-9 წარმოდგენა მ. ი. ბრეხმან-შტენგელის მონაწილეობით და ნ. კ. პეჩკოვსკის უკანასკნელი გამოსვლით ვერტერი.
შესასვლელი და მუდმივი ბილეთები არ გამოდგებიან ვინც დღის 2-ნახ. საათამდე აბონემენტის უკანასკნელ გადასახადს არ შეიტანს წარმოდგენაზე არ დაიშვება.
ხ. 506

| | | |
|---|---|---|
| აპოლო | 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. | საზღვარგარეთის ახალი სურათი<br>მსოფლიოს ჩემპიონი<br>24 მარტიდან—დადგმა გრძელდება. |
| სოლეი | 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. | საუკეთესო კომედია<br>უკანასკნელი ამბები<br>24 მარტიდან—დადგმა გრძელდება. |
| როზა ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი) | | ჟენი იუგო და ვ. კრაუსი სურათში<br>მკვდარი მარყუში<br>24 მარტიდან—დადგმა გრძელდება. |
| პალასი | 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ. | 11 ეშმაკი<br>24 მარტიდან<br>ცისფერი საყელოები |
| სპარტაკი | ყოფ. არფასტო | მხატვრული ფილმი<br>შავი იალქანი<br>24 მარტიდან—დადგმა გრძელდება. |
| დარბაზი | 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ. | საუკ. კომედია ჰაროლდ ლოიდის მონაწ.<br>ლუი მეზღვაური<br>პროგრ. გარეშე: ნადირობა გორილაზე მარ-კნაბეს გამოსვლა ორკესტ. აკომპან. |

რეჟისორმა შ. ბერიშვილმა
დაამთავრა სურათი
საკანი 79-ს დადგმა
მალე საუკეთესო კინოებში.

საქართვ. წითელი ჯვრის
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)
საავადმყოფო და პოლიკლინიკა
კამოს ქ. № 54, ხანაპირო № 15—ტელეფ. № 9—17, 21—99.

საავადმყოფოს განყოფილებები:
ქირურგიული განყ. — — გამგე პროფ. ა. მაჭავარიანი.
თერაპევტიული „ — — „ პროფ. ა. ალადაშვილი
სამეანო „ — — „ პროფ. ი. თიკანაძე
გინეკოლოგიური „ — — „ პროფ. გ. ლამბარაშვილი
ყურის, ყელის და ცხვირის გამგე ნ. ასპისოვი.
ლაბორატორია — — — „ ექ. ექ. ი. ხათრიძე, ენ. ფალიაშვილი და გ. ჩიგოგიძე,
მიიღება ყოველგვარი ანალიზები (სეროლოგიური და ბაქტეროლოგიური Wassermann-ის რეაქცია და სხვა)
რენტგენის კაბინეტი — — — ექიმი ზ. ნაზარაშვილი.

პოლიკლინიკა:
ზემოჩამოთვლილ დარგების კაბინეტებში კონსულტანტებათ არიან იგივე პროფესორები: 11 ს.—1 ს.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს — პროფ. გ. მუხაძე
კვირაში სამჯერ: სამშაბ., ხუთშაბათობით და შაბათობით 2—3 ს.
მედიც. დოქ. ნ. ვეხელეზოროვი 2—3, ორშაბათი, ოთხშაბ., პარასკევი.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს ექ. გ. ჩაჩიკიანი 3—5 საათამდე.
თერაპევტიულ კაბინეტში — — პროფ. შ. მიქელაძე 2—3 საათამდე.
შინაგანი, ბავშთა ტუბერკულიოზი ექ. ი. ტ. ვორობიოვი 4—5 საათ.
გინეკოლოგიურ კაბინეტში ღებულობს ექ. ი. თუმანიშვილი 4—6 ს.
უროლოგიურ კაბინეტში — დოცენტი ა. წულუკიძე 2—4 საათამდე.
ტუბერკულიოზის კაბინეტში — დოცენტი ი. აბაკელია 11—1 საათ.
ყელის, ყური და ცხვირის კაბინეტი 11—1 ს. და 3—4 პროფ. ნ. ასპისოვი
თვალის სნეულებათა კაბინეტში პროფ. ვ. მუსხელიშვილი 1—3 საათ.
ვენერიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. ა. ჯავრიშვილი 4—6 საათ.
იმავე კაბინეტში კონსულტანტათ პროფ. ბურგსდორფი.
ნერვიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. პონდოევი 3—5 საათამდე.
ბავშთა ავადმყოფობის კაბინეტში ექ. მ. ურელიძე 2—4 საათამდე.
კუჭ-ნაწლავებთა დაავადებანი ექ. ი. მჭედლიშვილი 2—4 საათამდე.
კბილის სნეულებათა კაბინეტში ექ. ვ. ტოტვენი 12—3 საათამდე.
პოლიკლინიკაში არსებობს ფიზიო ტერაპევტიული კაბინეტი, სადაც სწარმოებს ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობა.
პოლიკლინიკაში ავადმყოფებს გადახდებათ ერთი მან.

## საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციების და სამრეწვ. წარმოებათა საყურადღებოდ

ს. ს. რ. კ. შრომის და თავდაცვის საბჭოს 1929 წლ. 29 აგვისტოს დადგენილების განსახორციელებლად და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებასთან შეფარდებით იმ მიზნით, რომ მოხდეს სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების საალმშენებლო მასალებით და საწარმოო-ტეხნიკურ საქონლით მომარაგების კონცენტრაცია ერთ ორგანოში და რათა გეგმიანად და დაუბრკოლებლად სწარმოებდეს საქართველოს სამშენებლო და სამრეწველო ორგანიზაციების მომარაგება აღნიშნული მასალებით და დაწესებულ იქნას სათანადო კონტროლი ამ საქმეში,—

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო საზოგადოების გამგეობის დადგენილებით

საქ. სახვაჭრობასთან დაარსდა

საქართველოს მრეწველობის და აღმშენებლობის, მომარაგების სამმართველო

„მრეწვმშენმომარაგება“,

რომლის მთავარი ამოცანაა საქართველოს აღმშენებლობისა და მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის და მთელი განსაზოგადოებული სექტორის ცენტრალიზაციაქმნილი საპასუხისმგებლო კომპლექტური და არა კომპლექტური მომარაგება საალმშენებლო მასალებით და საწარმოო-ტეხნიკური დანიშნულების საქონლით.

მომარაგება-სასაწყობო და სატრანზიტო მშენებლობასთან ან საწარმოოსთან მიტანით.

აღნიშნული სამმართველო მუშაობს სრული სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, დამოუკიდებელი ბალანსით, საბრუნავი კაპიტალით და საბანკო კონტოკორენტული ანგარიშით.

ცნობებისათვის მსურველებმა უნდა მიმართონ: თბილისი, კეცხოველის ქ. № 5, „მრეწვმშენმომარაგება“.
მისამართი ტელეგრაფით: თბილისი—„მრეწვმშენმომარაგება“
ტელ.: დირექცია—7-71. „მრეწვმშენმომარაგების“ საერთო ტელ. 13-83.
საგეგმო ეკონომიური განყოფილება—24-22.

გამგეობა.

## მიიღება ხელისმოწერა გაზეთ „კომუნისტ“-ზე აპრილის თვისთვის

1) გაზეთის თავისდროზე მიღებისათვის საჭიროა ხელისმოწერა დასრულდეს მარტის 30-მდე.

2) ვინც 1 აპრილის შემდეგ გამოიწერს გაზეთს, ის წარსული დღეების ნომრებს ვერ მიიღებს.

დააჩქარეთ ხელისმოწერას! 0—1

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

**კ. ს. ფონ-ირეტელი** პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურება, ტრიპერი, სიფილისის, ბუასილი და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილით 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

**დ. ს. რიჟინაშვილი** კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ.-კუთხე. ტელ. 10—14. 25—4

**კ. ი. ჯალალოვი** ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 1—6-საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

**ა. ვ. მიქაბერიძე** პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დღ. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—

**ლოგოპედი ა. ა. პაიშაური** ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—1

**ი. ი. ბერიშვილი** ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

**ტერ-ოვაკიმოვი** სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასტენია), პსიქოტერაპია. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 25—1

**გ. გ. შახნაზაროვი** სპეციალურად სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი ავადმყოფების მიღება ნაშუადღევს 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვახერის ქ. (ყ. კრასნოგოროს) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე) 25—1

## საქართველოს გზატკეცილების, უმირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის 1-ლი უბანი

აცხადებს, რომ ამა წლის მარტის 30-სა დილის 10 საათზე, უბნის ბინაზე (მაჩაბლის ქ. № 8), ინიშნება

## შეჯიბრება

შემდეგ სამუშაოების გაცემაზე:

1) 8 ქვის ჯებირის აღდგენა, რისთვისაც საჭიროა მშრალი ქვის წყობა 1000 კუბ. მეტრი და ფილა ქვის დაფენა 4000 ოთხკუთხი მეტრის ვარაუდით.

2) მისაყრდნობ კედლის აგება, ქვის წყობით მშრალ ხსნარზე დაახლოვებით 300 კბ. მ. მოცულობით.

აღნიშნული სამუშაოები მდებარეობენ მლეთ—ფასანაურის რაიონში.

განცხადებები დახურულ კონვერტში უნდა გადაეცეს უბნის უფროსს, ზემოაღნიშნულ მისამართით შეჯიბრების დაწყებამდე შემდეგ წარწერით: „პირველი უბნის უფროსს 30 მარტის შეჯიბრებისათვის“.

ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომელნიც არ არიან განთავისუფლებულნი საწინდარის შემოტანისაგან ვალდებულნი არიან შეჯიბრების დაწყებამდე შემოიტანონ სალაროში განცხადებულ თანხების 10 პროც. ხოლო განთავისუფლებულნი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ სათანადო საბუთები.

უბანი იტოვებს უფლებას სამუშაოს გაცემისას იხელმძღვანელოს არა მარტო განცხადებულ ფასებით.

## მეორე „სარეწკრედიტის“

1-ლ სარეწკრედიტთან შეერთების გამო.

ყველა პირებმა და დაწესებულებებმა, რომელთაც რაიმე პრეტენზიები და ანგარიშები აქვთ მეორე სარეწკრედიტთან, ასეთები უნდა წარუდგინონ სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. თარხანოვს, პირველი „სარეწკრედიტის“ შენობაში, სიონის ქუჩაზე № 13, ყოველ დღე დილის 10-დან შუადღის 12 საათამდე ა. წ. 15 აპრილამდე, რის შემდეგაც არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

ნ.504 2—1 სალიკვიდაციო კომისია.

## დაიკარგა

აზრაფინა ივანეს ასული გორგიაშვილი
25 წლის
მნახველს ვთხოვ მაცნობოს
კლარა ცეტკინის № 177.
გ. გორგიაშვილთან.

თანახმად სრულიად ს.ქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სოც საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს 1929 წლ. 15 მარტის № 12 ცირკულიარისა ადმინგანის მმართ ბიურო აცხადებს, რომ მოქ. სტეფანე ივანეს-ძე მახარაშვილმა თავისი სახელი და გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე და სახელზე მახარაძე არჩილი. 1081

თვითგანვითარებისთვის და საჭიროდ. გამოცდებისათვის
ვამზადებ
მოწაფეებს
7 წლ. და 10 წლედ. დამთავრებულებს სპეც-ტეხნიკუმში: ინდუს. რ. ქიმიურ. ფარმაც. და უმაღლეს სასწავლებელში მუშათა ფაკულ. 1 და 2 კურს. და მუშათა უნივერსიტ. შესასვლელად, შემდეგ საგნებში: არითმეტ. ალგებ. გეომ. ტრიგონომ. რუსულსა და გერმანულ ენაში, ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტ მოწაფეებსაც. ნახვა და ჩაწერა 1—7 საათამდე. მისამართი: კარლ მარქსის მოედნის ახლოს (ყოფ. ვორონცოვის მოედანი), პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 5. 6—1

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი და ნინა და სიძე ვასო, დისშვილები: ბაბული, მადლენა და სულიკო ფოცხვერიები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი ძმის და ცოლისძმის

**გიორგი ივანეს-ძე ბიბილეიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. დიდ-ჯიხაიშში. სამშაბათს, 25 მარტს, სერგეთის სასაფლაოზე. 1072

გულმოკლული მშობლები ივანე და მარიამი, მეუღლე ქსენია, შვილები: გოგუცა, ნათელა და ოთიკო; ძმა იოსები, რძალი ნატაშა; დები: დომნა ბიბილეიშვილი, აგრაფინა რუხაძისა შვილებით: მიშა და ვლადიმირი, ნინა ფოცხვერია შვილებით ბაბულა და მადლენათი, თამარა შაგიანიძისა; სიძეები ვასო ფოცხვერია, დათიკო შაგიანიძე მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ

**გიორგი ივანეს-ძე ბიბილეიშვილის**

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა სამშაბათს, 25 მარტს, სოფ. დიდ-ჯიხაიშში. ნ. 514

დღეს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

**მარიამ უთნელიშვილის**

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს რევაზი, გიორგი, ბარბარე, მარიამი და მარუსა უთნელიშვილები და გიორგი თაქთაქიშვილი. 1067

მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ელისაბედი, შვილები: ნინა, ემელიანე, პატარა ქიკო და მუკა, რძალი ქსენია, სიძე ია, შვილისშვილები: კუკური, გიგი და პატარა ენრიკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ

**ლავრენტი გრიგოლის-ძე გრიგოლიას**

ხსოვნის აღსანიშნავათ 25 მარტს, სოფ. საჯილაოში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 1060

სახ. უნივერსიტეტის ლიტერატურულ დარგის ახლად კურსდამთავრებულნი: ე. დიასამიძე, თ. ოყრეშიძე, ე. გამრეკელი, ალ. გვენცაძე, შ. დოლაქიძე და დავით მეგრელიძე იუწყებიან ძვირფასი მეგობრის

**ევსევი სიმონის-ძე გახტაძის**

გარდაცვალებას. 1079

ღრმად დამწუხრებული რაჟდენ და ალექსანდრე ვარლამის-ძე მიქაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 16 მარტს, მოსკოვში უდროოდ გარდაიცვალა მათი ძვირფასი მამიდაშვილი

**ვლადიმერ (ლადო) შილაკაძე** 1075

უდროოდ დაკარგულ, სახ. უნივერ. სამკურნალო ფაკულტეტის დოცენტ

**ვლადიმერ ყარამანის-ძე ცეცხლაძის**

დედა ელენე, მამა ყარამანი, მეუღლე ნატალია შვილებით თეია და მიშათი ულრმეს მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც მათი უზომო მწუხარება გაიზიარა. 1083

თბილ. სახელ. უნივერ. პედ. ფაკ. სიტყვიერების დარგის კურსდამთავრებულნი: ზ. სალარიძე, თ. ვარახიშვილი, ე. უშვერიძე, ბ. რატიშვილი, ნ. გივიშვილი, შალ. ურიდია, ს. აქირთავა, დ. ცქვიტინიძე, ვალ. კეშელავა და მარ. ნიშნიანიძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ამხანაგის

**ევსევი სიმონის-ძე გახტაძის**

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა დღეს, 23 მარტს, სოფ. ტობანიერში. 1080

გულდათუთქული დედა ასინო, დები: ლელე და ქეჟუნა, ძმები: სიმონ მეუღლით, აკაკი და ამბერკი ლომთათიძეები და ბესარიონ კუპრაძე, სიძე დათიკო ჩხატარაშვილი შვილებით: თამარა და ნაზიკოთი აუწყებენ ნაცნობ ნათესავებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი, მუშათა უნივერსიტეტის მსმენელი

**ნინა (ნინიჭკა)**

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე ბინაზე (მალაკნის ქ. № 25) დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, სამშაბათს, 25 მარტს, 4 ს. 1084

## ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგულა და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

| | |
|---|---|
| — ავშ. საწ. წიგნ. № 1386, შემნახველ სალაროს წიგნაკი და საზბანკიდან ფულის მისაღები ჩეკი—არამ გრიგორიანის სახელზე. | 1665 |
| — პურის წიგნ. № 25853—თამარ ლეჟავა—ცომაიას სახელზე. | 1657 |
| — პურის წიგნ. (4-სულის) „ა“ ლიტერი № 7226—არჩილ ივანეს-ძე ლომიძის სახელზე. | 1061 |
| — კოოპერ. წიგნ. № 363—შურა კერესელიძის სახელზე. | 1058 |
| — მუშკ. წიგნ. № 33—პლატონ ჯორბენაძის სახელზე. | 1068 |
| — კავშირის წიგნ. № 67081—გაცემ. განათ. მუშაკთა კავშირის მიერ—ჯალილ მირზოევის სახელზე. | 1071 |
| — კომკავ. ბილეთ. № 52 09 თედორე ილარიონის-ძე ხაჟომიას სახ. | 1073 |
| — რძის ტალონი გიორგი ზაზაურაშვილის სახელზე. | 1074 |
| — რკ. გზ. კავშ. წიგნ. № 19860—სურენ ხუბეროვის სახელზე. | 1076 |
| — ბავშვის პურის წიგნ. „გ“—ელიზა ხოსიტაშვილის სახელზე. | 1077 |
| — რძის აბონემ. გედეონ სოფრომაძის სახელზე. | 1078 |
| — კომუნალურ მეურნ. მუშაკთა კავშ. წიგნ. № 1215—გრიგოლ კოზმაძის სახელზე. | 1069 |
| — პურის წიგნ. „ბ“—ერემია სიმონის-ძე მელქაძის სახელზე. | 1062 |
| — პურის წიგნ. „გ“ მერი მელქაძის სახელზე. | 1063 |
| — პურის წიგნ. რუბენ ამიროვის სახელზე. | 1064 |
| — პურის წიგნ. (3-სულის) № 5479—სოლომონ მასხულიას სახელზე. | [illegible] |

ტირაჟი—56.089
პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904